პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმიანათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76, (მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დაწესებულებისათვის ქალაქში—85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“.
განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს.

ხუთშაბათი 30 ოქტომბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 249 (1104)

დღიური

— იტალიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი ძლიერდება: მას ამ ჟამად 8 ათასი წევრი ჰყავს.

— სამხრეთ-სლავიის ციხეებში [illegible] ტებმა შიმშილობა გამოაცხადეს.

— იტალიის ფეიქართა გაფიცვა [illegible] ჯვებით.

— პოლონეთის განაპირა რაიონებში მცხოვრებმა გლეხებმა უარი განაცხადეს ხარკის გადახდაზე.

— ახლო მომავალში მოელიან იტალიის შრომის კონფედერაციის ყრილობის გახსნას.

დიდი გამარჯვება

ქოთა კავშირის იურიდიული ა საფრანგეთის მიერ ჩვენი უდი- მორიგი გამარჯვებაა საერთა- სო ფრონტზე.

ფრანგეთი ყველაზე უფრო შეუ- ბელი მტერი იყო საბჭოთა ხე- ფულების. იგი იყო მთავარი სუ- ჩამდგმელი მშრომელთა რესპუბ- ბის წინააღმდეგ წარმოებულ ტერვენციის და ბლოკადის. საფ- ეთი აქტიურ დახმარებას უწევ- ნუსტის და საქართველოს -რევოლიუციას, ის აქეზებდა გამოსალაშქრებლად მასთან ურ მდგომარეობაში მყოფ სა- ქიფოებს.

გრამ საფრანგეთის იმპერიალიზ- ისე როგორც სხვა ქვეყნების, ჯახა საბჭოთა რესპუბლიკების რომელთა სიმტკიცის და უკუქცეულ შეულშემტერეული.

რაც ჩვენი ქვეყნების ბლოკადამ, ომიურმა იზოლიაციამ გასჭრა. ჭოთა ხელისუფლებამ აღორძი- ავისი მეურნეობა და გზა გაი- მსოფლიო ბაზრებისაკენ.

ანკარის პოლიტიკა სავსებით გა- რდა მუშურ-გლეხურ სახელმწი- ან დამოკიდებულების საკითხ- ა ეს გახდა მისი დამხობის ერთ- მიზეზად.

ქასი თვის წინად საფრანგეთში იმხდარ საპარლამენტო არჩევნების თ მთავარ ლოზუნგად ე. წ. მემარ- ენი ბლოკმა წამოაყენა საბჭოთა ვშირის ცნობა, მასთან ნორმალუ- ურთიერთობის აღდგენა. მემარ- ენე ბლოკმა გაიმარჯვა და პუან- ე ერრიომ შესცვალა.

უცილებელი იყო დაპირების გა- ლება, ამომრჩეველ მასსების ნე- ყოფისათვის ანგარიშის გაწევა. ეჭ- არ არის, რომ საფრანგეთის ხალხის რთო მასსა მოწყურებულია მშვი- ობიანობას, ჩვენთან მეგობრულ და- კიდებულების განახლებას. ამავე ოს საფრანგეთის [illegible] ნხია სასიცოცხლოდ დაინტერესე- ია საბჭოთა კავშირთან ეკონო- რი ურთიერთობის აღდგენაში.

რრიო მაინც [illegible] ოთა კავშირის შეურყეველობა სიძ ემ, მისმა ეკონომიურმა აღორ- ებამ, საერთაშორისო ძალთა გან ობილებამ, რომელიც თანდათანო- თ იცვლებოდა ჩვენდა სასარგებ- დ, აიძულეს ერრიო გადაედგა ის ბიჯი, რომელსაც მკითხველი გაეც- ბა დღეს გაზეთში, ე. ი. იური- ულად ეცნო საბჭოთა მთავრობა.

სანიშნავია ის გარემოება, რომ ნგეთის მიერ ჩვენი ცნობა მო- ორედ იმ მომენტში, როცა ის ბურჟუაზიის გაფრთხილებულ იამ საბჭოთა კავშირის წი- ეგ უმაღლეს მწვერვალს მიაღ-

ვალად წარმოადგენს ინგლისს- ანგეთის ინტერესთა წინააღმდე- ეს ერთ-ერთ თვალსაჩინო გამო ულებას. ინგლის-ამერიკის ბლოკ- ა, რომელიც ჩამოყალიბდა ლონდო- ის კონფერენციაზე, საგრძნობლად შეარყია საფრანგეთის საერთაშორისო პოზიციები. ერრიო საბ- ოთა კავშირის ცნობით და მასთან დაახლოვებით ფიქრობს ინგლისის გავლენის შესუსტებას.

აგრეთვე საგულისხმოა, რომ საფრანგეთს და ამერიკას ერთგვარი „რუმი“ შეთანხმება ჰქონდათ ერთმანეთთან, რომლის მიხედვით მათ საერთოდ უნდა ემოქმედათ საბჭოთა მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხში. ამ „შეთანხმების“ დარღვევა და ერრიოს დამოუკიდებელი გამოსვლა მოწმობს, რომ, იმავე შინაგან წინააღ[illegible] გამო, იშლება ანტისაბჭოთა ერთიანი ფრონტის უკანასკნელი ნაშთები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საფრანგეთის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობამ გამომაფხიზლებელი გავლენა უნდა იქონიოს ინგლისის ამომრჩეველზე, აგრეთვე ამერიკაზეც. რაც უფრო გვიან შეუთანხმდებიან ინგლისი და ამერიკა, აგრეთვე სხვა ქვეყნები საბჭოთა კავშირს, მით უფრო წააგებენ ისინი.

რაც შეეხება თვით საფრანგეთის მთავრობის ნოტას, რომელითაც მან იცნო ჩვენი მთავრობა,—იგი შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების სრულ და ყოველგვარ წინასწარი პირობის გარეშე ცნობას.

ხაზგასასმელია, რომ ნოტის მიხედვით დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენა და ელჩების დანიშვნა. ელჩების დანიშვნის საკითხში ერრიოს ნაბიჯი განირჩევა მაკდონალდის პოლიტიკისაგან: უკანასკნელმა ელჩების დანიშვნა დაუკავშირა საერთო შეთანხმების საკითხს, რომლის გადაჭრამდე რწმუნებულების ინსტიტუტი არჩია. ეს ნიშნავდა დიპლომატიურ ურთიერთობის არა სრულ აღდგენას. ეხლა მაკდონალდისათვისაც ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთი დათმობით კონსერვატორებისადმი მან ბევრი წააგო.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ნოტის შემდეგი ადგილი: „ამიერიდან ჩაურევლობა შინაურ საქმეებში მტკიცე წესად დაედება ურთიერთობას ორივე სახელმწიფოს შორის“.

ჩვენ ასეთ განცხადებას შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ.

ნოტაში არის ნახსენები საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული „სადავო“ საკითხები. ეს საკითხები გადაწყდება განხილვის საგნად იმ მოლაპარაკების დროს, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება.

საბჭოთა ხელისუფლება თავის მხრივ, ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა ხელშეუხებლობის ნიადაგზე, მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა მიღწეულ იქნეს შეთანხმება ყველა საკითხებში.

ვიმეორებთ, რომ ევროპის უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოს—საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობით უკანასკნელმა მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია, რომელსაც ფრიად თვალსაჩინო შედეგები მოჰყვება არა მარტო ჩვენთვის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა გაცილებით უფრო მკვიდრი გახდა.

კერძოდ ამ აქტით იმედის უკანასკნელი ნასახი ჩაეფერფლათ როგორც რუსეთის თეთრგვარდიელებს, ისე ჩვენებურ კონტრ-რევოლიუციონერებს, რომელთაც ამას წინედაც მიეცათ საშუალება დარწმუნებულიყვნენ, რომ ევროპის იმპერიალიზმი უძლურია დაეხმაროს მათ შავი ზრახვების განხორციელებაში.

მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები

V. ანტი-სარწმუნოებრივი საკითხი. გადასახადების შესახებ. „ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრა“. დაზღვევის საქმე.

ანტი-სარმუნოებრივ პროპაგანდის სფეროში ჩვენ, ჩვენი ქვეყნის თავისებურ პირობათა გამო, იძულებული ვიყავით უფრო სხვა ზომებისათვის მიგვემართა, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა რუსეთში.

სარწმუნოებამ და ეკლესიამ საქართველოში უკვე დიდი ხანია (ჯერ კიდევ 1905 წლიდან) დაკარგეს მნიშვნელობა და ავტორიტეტი გლეხობის ფართო მასსების თვალში. ეკლესიები ჯერ კიდევ მაშინ იხურებოდა სოფლებში და არაფერი გასაკვირველი არ არის იმაში, რომ პირველ ხანებში მიწის რეფორმის გატარების გამო—რევოლიუცია შეეხო ეკლესიასაც და ადგილობრივმა გლეხობამ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობამ გადაწყვეტილება მიიღო ეკლესიების დახურვის შესახებ.

აქედან, რასაკვირველია, ის არ გამომდინარეობს, რომ ყველა ქართველი გლეხები აშკარა მატერიალისტებად გახდენ, რომ მათ აღარ სწამთ ღმერთი და ისინი ერთბაშად სოციალიზმის სამეფოში შევიდნენ. ჩვენ არ ვივიწყებდით ამას და არა ერთხელ გავგვიფრთხილებია ამხანაგები მეტისმეტი გატაცებისაგან.

მაგრამ ადგილობრივ ამხანაგებს, მასიო პატრიოტიზმისა ანდა თავმოყვარეობის გამო, არ სურდათ საიმე „რევიზია“ შეეტანათ ამ საკითხში. გურიაში ეს საკითხი არ აინტერესებს გლეხებს და ის არც არის იქ დასმული. სამეგრელოში კი, როგორც ეს ჩვენ გამოვარკვიეთ გლეხებთან საუბრის დროს მოხუცებული გლეხები და ბევრთ ქალები მოითხოვენ, რომ გახსნილი იქნეს რამოდენიმე ეკლესია მაინც. „თქვენ ყველაფერი კარგი გაქვთ,—ამბობდენ, მაგრამ ცუდი არ იქნებოდა, რომ ჩვენ საშუალება გვქონდეს ეკლესიებში შესვლის“.

გამოსვლების დროს კონტრ-რევოლიუციამ გამოიყენა რელიგიურათ განწყობილი ხალი. თავის პროკლამაციებში პარტიულ კომიტეტის წევრებს წამოყენებული ჰქონდათ ლოზუნგი:

„ძირს ურჯულო ურიები, გაუმარჯოს ქრისტიანულ სარწმუნოებას“-ო.

აი ამიტომ იყო, რომ ჩვენ დავადგინეთ შევსწყვიტოთ ეკლესიების დახურვა მომავალში, იქ კი, სადაც არიან მორწმუნენი, ყოველის მხრივ გავაადვილოთ ეკლესიების გახსნის და ამ უკანასკნელთა მორწმუნეთა ჯგუფებისათვის იჯარით გადაცემის საქმე, თანახმათ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა.

და ეს სწორი გადაწყვეტილება აუცილებლათ უნდა იქნეს გატარებული და განხორციელებული ადგილებზე, რადგან ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ არა ეკლესიების დახურვა მიგვიყვანს ჩვენ რელიგიის მოსპობამდი, არამედ თვით რელიგიის მოსპობა და რელიგიური განწყობილების აღმოფხვრა მიგვიყვანს ეკლესიების სრული და საბოლოო დახურვამდი, რადგან ისინი უკვე არავისათვის საჭირო არ იქნება.

ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია სოფლათ გადასახადების საკითხი.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღება დიდი შეღავათი იყო სოფლისათვის და ამ დროიდან რაიმე უკმაყოფილებას და მითქმა-მოთქმას ადგილი არ აქვს.

მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატის აპარატი ძველებურათ მუშაობს, იქ აქამდი სწორი წარმოდგენა და ნამდვილი ცნობები არ აქვთ გლეხთა მეურნეობის შესახებ ცალ-ცალკე მაზრებში.

ამიტომ ადგილი აქვს გადასახადის არათანასწორათ განაწილებას სხვადასხვა მაზრებს შორის და აგრეთვე ამ გადასახადის შემცდარათ გაწერას ადგილობრივ გადამხდელებზე.

ეს სისტემა აუცილებლად უნდა შეიცვალოს უკეთესი სისტემით.

მაგრამ, გარდა ამისა, ადგილებზე ერთიანი გადასახადის სისტემას არღვევენ კიდევ იმით, რომ მიმართავენ საკუთარ გადასახადების გაწერას სხვადასხვა საჭიროებებისათვის. ხშირათ ეს ხდება ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრის სახით, ამასთანავე ამ „თვითდაბეგვრას“ ნამდვილათ სავალდებულო და იძულებითი ხასიათი აქვს.

აღმასკომი ან რომელიმე სხვა ორგანო (ამას ეხლა სჩადიან, თურმე გლეხკომებიც) იწვევს გლეხთა კრებას და ამ კრებაზე კენჭის ყრით—ხელების აწევით—სწყვეტენ საკითხს იმის შესახებ, რომ მოაგროვონ ფულები სკოლების, ჰიდრო-ელექტროსადგურის (ეს საქართველოში მოდათ გადაიქცა) ასაგებათ ანდა სხვა რაიმე საჭიროებებისათვის. კრებას გამოაქვს დადგენილება, აღმასკომი იწყებს გადასახადის გაწერას ცალ-ცალკე გლეხებზე, მილიციონერი კი აგროვებს ამ გადასახადს. ამას იწოდება „ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრა“.

მაგალითად, აგარაკ ბახმაროზე დაწესებული იყო ერთდროული გადასახადი—3 მან. თვითეულ სულზე. ამ გადასახადს, თურმე, გლეხებმა „ჰაერის გადასახადი“ უწოდეს (გადასახადი კარგი საკურორტო ჰაერის სარგებლობისათვის).

გადასახადების გარდა, უკანასკნელი დროის განმავლობაში დაბებში შემოღებულია სახლების სავალდებულო დაზღვევა, რაც უკმაყოფილებას იწვევს ამ დაბებში მცხოვრებს გლეხებში. ხონის რაიკომის მდივანი იტყობინება, რომ ხონში, (რომელიც მენშევიკებმა ქალაქად გადააკეთეს) შემოღებულია სახლების სავალდებულო დაზღვევა.

ხონის მცხოვრებლების უმრავლესობას შეადგენენ მშრომელი გლეხები, რომელთაც აქვთ ხის სახლები, უფრო შეძლებულებს კი ქვის სახლები.

მიუხედავათ ამისა, ხის სახლებზე უფრო მეტს ახდევინებენ თურმე, ვიდრე ქვისაზე (ალბათ იმიტომ, რომ ქვის სახლები უფრო „ძნელათ“ დაიწვება).

გლეხები ამის წინააღმდეგი არიან, ისინი ასობით მიდიან ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ეუბნებიან:

„სახლი თუ დაიწვება, ჩვენ დავვეწვება. ჩვენ ამისათვის არ ვაწუხებთ მთავრობას“.

ამიტომ ისინი თხოულობენ, რომ მოხსნან მათ ეს გადასახადი. ამის გამო საჭიროა გადასინჯული იქნეს ეს საკითხი და შევაჩეროთ სავალდებულო დაზღვევა (სახლების, მსხვილფეხა საქონლის და სხვების, სოფლათ ეს დაზღვევა გაუქმებულია), რომელსაც სურს გაატაროს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს.

მ. კახიანი.

საფრანგეთმა იცნო საბჭოთა კავშირი

ცნობა მოხდა ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე

უახლოეს ხანში დანიშნული იქნება ელჩები მოსკოვსა და პარიზში

თეთრგვარდიელებმა დასტოვეს რუსეთის ყოფ. საელჩოს შენობა პარიზში

შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი,—დე-მონზიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ არის უდიდესი ისტორიული აქტი.—კაშენმა განაცხადა: „საფრანგეთის პროლეტარიატმა უკარნახა თავისი სურვილი მთავრობას“.—ამერიკელი სენატორი ბორას განცხადებით, ამიერიდან ევროპაში დამყარდება მშვიდობიანობა.—ემიგრანტები დაიბნენ.

საფრანგეთის ნოტა

მოსკოვი. 29 ოქტ. ამხ. ჩიჩერინის სახელზე მიღებულია საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოგზავნილი შემდეგი დეპეშა:

„გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს, ბატონ ჩიჩერინს.

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა, ერთგული იმ მეგობრობისა, რომელიც აკავშირებს საფრანგეთისა და რუსეთის ხალხს, დღეიდან სცნობს იურიდიულად საბჭოთა კავშირის მთავრობას,—როგორც მემკვიდრეს რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა მთავრობების,—რომლის ხელისუფლება აღიარებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა მიერ.

საფრანგეთის მთავრობა მზად არის ახლავე აღადგინოს ჩვეულებრივი დიპლომატიური ურთიერთობა საკავშირო მთავრობასთან.

გაუწყებთ რა ამ ცნობის შესახებ ნოტის გამოგზავნით, რომელიც სრულიად არ არღვევს საფრანგეთის მიერ მიღებულ და ხელმოწერილ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ არც ერთ ვალდებულებას, რესპუბლიკის მთავრობას სურს დაიჯეროს, რომ ორივე სახელმწიფოს შორის შეთანხმება შესაძლებელია. ამ შეთანხმების წინამორბედათაც ჩაითვლება დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა. ამიტომ საფრანგეთის მთავრობა განსაკუთრებით იცავს საფრანგეთის მოქალაქეთა იმ უფლებებს, რომელნიც მინიჭებული აქვთ მათ იმ ვალდებულებათა მიხედვით, რომელნიც მიუღია თავის თავზე რუსეთს ან მის ქვეშევრდომებს ყველა წინედ არსებულ სხვადასხვა მთავრობების დროს. ამ ვალდებულებათა დაცვა უზრუნველყოფილია უფლების საერთო პრინციპებით და ისინი ჩვენთვის წარმოადგენენ საერთაშორისო ცხოვრების ურყევ კანონს. ესვე ითქმის, შენიშვნებით, იმ ნივთიერ პასუხისმგებლობაზეც, რომელიც თავს იდო რუსეთმა 1914 წლიდან საფრანგეთის სახელმწიფოსა და მის მოქალაქეთა მიმართ.

ხელმძღვანელობს რა ამით, რესპუბლიკის მთავრობას სწადია ერთხელ კიდევ გაუწიოს სამსახური ევროპის მშვიდობიანობისა და მომავლის ინტერესებს, ამიტომ მისი განზრახვაა საკავშირო მთავრობასთან ერთად გამოსძებნოს ისეთი სამართლიანი პრაქტიკული გამოსავალი, რომელიც საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ ორ ერთა შორის ნაყოფიერი ურთიერთობა და ნორმალური აღებ-მიცემობა, რომლის დროსაც [illegible]

როგორც კი [illegible] ჩვენ მზადა ვართ [illegible] პარიზში თქვენი დელეგატები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან სრული უფლებებით, რომ დაიწყონ მოლაპარაკება ჩვენს რწმუნებულებთან. სანამ ეს მოლაპარაკება სასურველად დამთავრდებოდეს, ყველა ხელშეკრულებები, კონვენციები და შეთანხმებები, რომელნიც კი არსებობდენ საფრანგეთსა ან საფრანგეთის მოქალაქეთა და რუსეთს შორის, კარგავენ ძალას. უფლებრივი ურთიერთობა ფრანგებსა და რუსებს შორის, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის, უნდა მოწესრიგდეს ისე, როგორც ეს ხერხდებოდა დღემდის. აგრეთვე გადადებული იქნება მომავლისთვის ორივე სახელმწიფოთა შორის არსებული ყველა ანგარიშების ლიკვიდაცია. რუს მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად საფრანგეთში უკვე არის მიღებული ზომები ან მიღებულ იქნება.

დაბოლოს უდავოდ მიგვაჩნია, რომ ერთმანეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობა ურყევ წესად დაედება ამ ორი ქვეყნის ურთიერთ დამოკიდებულებას.“

ერრიო.

ცაკის პასუხი

მოსკოვი. 29 ოქტ. ვესალმებით რა საფრანგეთის მთავრობის წინადადებას საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დადგენის, პარიზსა და მოსკოვში ელჩების დანიშვნის საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობის დამყარების მიზნით მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ, საბჭოთა კავშირის ცაკი გამოსთქვამს რწმენას, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპეშაში აღნიშნულ საკითხებში ორივე სახელმწიფოს შორის მიღწეული იქნება შეთანხმება საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ხალხთა საკეთილდღეოდ იმ პირობით, თუ ორივე მხარე გამოიჩენს კეთილ სურვილს და სათანადო პატივისცემით მოეპყრობა ერთმანეთის ინტერესებს.

საბჭოთ კავშირის ცაკი უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ყოველგვარ გაუგებრობისათვის ბოლოს მოღებას და ორივე მხარეს შორის შეთანხმების მიღწევას იმ მიზნით, რათა შეიქმნას მკვიდრი ნიადაგი მეგობრულ ურთიერთობისათვის. საკავშირო ცაკი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის მუდმივი ლტოლვით საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფისკენ ყველა ქვეყნების მშრომელი მასსების ინტერესების მიხედვით და ყველა ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით.

კერძოთ, საბჭოთა კავშირის ცაკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას რომ შეთანხმება ძლიერ ხელსაყრელი იქნება ორივე ქვეყნისათვის, ვინაიდან მათ შორის დამყარდება მკვიდრო და მტკიცე ეკონომიური ურთიერთობა, რაც ხელს შეუწყობს საწარმოვო ძალების ზრდას და ორივე სახელმწიფოს შორის ვაჭრობის განვითარებას.

ისე, როგორც საფრანგეთის მთავრობა, საბჭოთა კავშირის ცაკი აუცილებლად სთვლის ორივე ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩაურევლობას, საერთოდ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში და კერძოთ საფრანგეთის მიმართ. ამიტომ ესალმება საფრანგეთის მთავრობას ამ საკითხში.

თანხმობას აცხადებს რა, რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკების ადგილათ დაინიშნოს პარიზი, საბჭოთა კავშირის ცაკი აცნობებს საფრანგეთის მთავრობას, რომ მან დაავალა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს და გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატს მიიღონ ზომები მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დასაწყებად, რათა მეგობრულად გადაიჭრას ორივე სახელმწიფოების წინაშე მდგომი საკითხები. ცაკი გამოსთქვამს იმედს, რომ ეს საკითხები სავსებით მოწესრიგებული იქნება ორივე ქვეყნის და საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესების მიხედვით.

ამხ. ჩიჩერინის განცხადება

მოსკოვი. 29 ოქტ. საფრანგეთის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის გამო, კრემლის სასახლის დიდ დარბაზში შესდგა საკავშირო საბჭოს და საბჭოთა კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს სასწრაფოდ გაერთიანებული პლენარული სხდომა.

ამხ. ჩიჩერინმა წაიკითხა ერიოს დეპეშა საფრანგეთის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ და განაცხადა:

„არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ [illegible] მნიშვნელობა აქვს [illegible] ერთი[illegible]ს დაჰკრას საბჭოთა კავშირთან სერიოზული შედეგები მოჰყვება მთელს საერთაშორისო მდგომარეობაში, როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოს სხვა კუთხეებში. ამ ნაბიჯს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ეკონომიურ დარგშიც. ეს ნაბიჯი ხსნის დაბრკოლებას, რომელიც წინ ეღობებოდა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას, რასაც ორთავე სახელმწიფოს უკანასკნელი ეკონომიური ინტერესები.

ამ აქტით,—ამბობს შემდეგ ჩიჩერინი,—დასრულდა იმ ურთიერთობათა მთელი ხანა, რომელიც შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკის დაარსების დღიდანვე. იმ დროს, როდესაც სხვა ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა უკვე აღიარეს ჩვენს რესპუბლიკასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა, საფრანგეთის მთავრობა ევროპის ყველა სხვა მთავარ სახელმწიფოებზე უფრო დიდხანს ჯიუტობდა. ამ რიგად ეს ნაბიჯი წარმოადგენს დასრულებას ისტორიის მთელი ხანის, რომლის განმავლობაში საფრანგეთის მთავრობას ეჭირა საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ გაცილებით უფრო შეურიგებელი პოზიცია, ვინემ ევროპის სხვა ხელმძღვანელ სახელმწიფოებს.

მე ვფიქრობ, რომ დღეს ნაადრევია ყველა იმ სადაო საკითხების დაწვრილებით გარჩევა, რომლებიც განხილული იქნება მომავალი მოლაპარაკების დროს. დღეს საკმარისია საერთო სახით მივიღოთ საფრანგეთის მთავრობის წინადადება: განვაახლოთ დიპლომატიური ურთიერთობა, დავნიშნოთ ელჩები და დავიწყოთ მოლაპარაკება.

ამ მოლაპარაკების დროს ჩვენ ვიხელმძღვანელებთ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების სურვილით, რათა განვავითაროთ მეგობრული ურთიერთობა ყველა ერებთან ყველა ქვეყნის მშრომელ მასსების სასარგებლოდ. კერძოდ, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც ეხლა განვითარდება ორივე სახელმწიფოს შორის და რომელზედაც მიუთითებს ერრიო, ძლიერ შეუწყობს ხელს საწარმოო ძალების ზრდას და ვაჭრობის განვითარებას საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის“.

ერთსულოვანი და ხანგრძლივი ტაშისცემით სესია ერთხმად ღებულობს საფრანგეთის მთავრობისადმი საპასუხო ნოტის ტექსტს, რომელიც ამხ. ჩიჩერინმა წარმოადგინა.

ამის შემდეგ ცაკის სესიის სასწრაფო სხდომა იხურება.

ამხ. კაშენის აზრი

პარიზი. 28 ოქტ. საფრანგეთის კომპარტიის ლიდერმა კაშენმა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„ამ დღეს საფრანგეთის კომუნისტებ საშუალება აქვთ გაზომონ ის გზა, რომელიც გაიარა უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში რევოლიუციონურმა იდეამ საფრანგეთში.

ჩვენ უდიდესი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ კლემანსო, პუანკარე და მილიერანი, რომლებმაც გაბედეს შეიარაღებული თავდასხმის მოწყობა მუშათა რესპუბლიკაზე, გადმოაყირავა საზოგადოებრივმა აზრმა. ეხლა ისინი განდევნილი არიან პოლიტიკური ასპარეზიდან, რადგან საფრანგეთის ოფიციალური წრეები იძულებული არიან სათანადო პატივისცემით მოეპყრან ზნეობრივ ძალას რუსეთის რევოლიუციისას, რომელიც სათავეში ჩაუდგა ძალაუფლებას“.

საუბარი ამხ. რიკოვთან

მოსკოვი, 29 ოქტ. „როსტას“ წარმომადგენელთან საუბრის დროს საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ საფრანგეთის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო სთქვა:

„საფრანგეთის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა აიხსნება იმით, რომ ევროპის ხალხი ილტვის მშვიდობიანობისაკენ. მშვიდობიანობის დაცვა აღუთქვა ხალხს ერრიოს მთავრობამ, რომელმაც შესცვალა პუანკარეს ომის სამინისტრო“.

მეორე მხრივ ამას მოითხოვდენ საფრანგეთის ეკონომიური ინტერესები; გარდა ამისა მთავრობაზე გავლენას ახდენდენ საფრანგეთის საქმიანი წრეები და საფრანგეთსაც, ისე, როგორც სხვა ქვეყნებს, ეშინია ძალიან არ დაიგვიანოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენით.

ერრიომ ერთ დროს ინახულა საბჭოთა რუსეთი და თავის პირად შთაბეჭდილებებიდან დარწმუნდა, რომ ყალბია ის ცნობები, რომელსაც საზღვარ-გარეთელი პრესა აქვეყნებს. შესაძლებელია, რომ საბჭოთა რუსეთში ჩამოსვლამ დახმარება გაუწია საფრანგეთის მთავრობას უფრო უკეთ გარკვეულიყო რუსეთის საქმეებში.

თუ ახლო ხანში ჩვენ მოვახერხებთ იაპონიასთან შეთანხმებას, მაშინ დამთავრებულად უნდა ჩავსთვალოთ მუშაობა ჩვენი კავშირსა და სხვა ქვეყნების შორის ნორმალურ ურთიერთობის აღსადგენად.

დარჩება მხოლოდ ერთი ამერიკა და თუ მომავალი არჩევნები დიდ ცვლილებას არ მოახდენს ამერიკის მთავრობის შემადგენლობაში მაინც. მიუხედავათ ამისა, ძალიან საეჭვოა, რომ ამერიკა, როცა იგი განკერძოებული იქნება რუსეთის საკითხში, კიდევ დიდხანს დარჩეს შეურიგებელ პოზიციაზე საბჭოთა კავშირის მიმართ“.

შთაბეჭდილება ამერიკაში

ნიუ-იორკი. 28 ოქტ. როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს სენატორმა ბორამ—საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„მე კმაყოფილი ვარ საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებით. ზავი, განიარაღება და ნორმალურ პირობების დამყარება ევროპაში ყოვლად შეუძლებელია სანამ მოგვარებული არ არის რუსეთის საკითხი. ეს კი შეუძლებელია მანამდი, სანამ რუსეთი ცნობილი არ იქნება ყველას მიერ“.

დე-მონზის განცხადება

პარიზი. 28 ოქტომბ. დე-მონზიმ საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა შემდეგი:

„პირველი ისტორიული ნაბიჯი, რომლის მიზანია საფრანგეთის და რუსეთის დაახლოვება, უკვე გადადგმულია. წარმოუდგენელია იმ ამოცანის სიძნელე, რომლის შესრულება მთავრობის თავმჯდომარემ მე მომანდო. საქმე იმას კი არ შეეხება, რომ შევარიგოთ ორი მოწინააღმდეგე ტენდენცია. საქმე იმაშია, რომ იმ უფსკრულში, რომელიც ჩვენ გვაშორებს, [illegible] ისეთი ხიდი, [illegible] და არა [illegible] ურთიერთობის.

მე იმედი მაქვს, რომ [illegible] გადავსძლევთ ამ ამოცანას. თვით ის ტონი, რომლითაც ერთმანეთს ელაპარაკებოდენ ერრიო და საბჭოთა მთავრობა, მოწმობს, რომ გამოყენებული იქნება ყველაზე უფრო სალი მეთოდები.

რაც არ უნდა მოხდეს—მე იმედი მაქვს“.

რეაქციონერები დაიბნენ

პარიზი. 28 ოქტ. „ეკო დე პარი“ და „ეკლერ“ ვერ ფარავენ ღრმა სასოწარკვეთილებას საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის გამო.

„ეკო დე პარი“ აცხადებს, რომ პარიზი გახდება ცენტრი ბოლშევიკების პროპაგანდისა საფრანგეთში, ბელგიაში, იტალიაში, შვეიცარიაში და ესპანეთში. გაზეთი ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„სუარ“ კომენტარიებს უკეთებს საბჭოთა კავშირის ცნობას საფრანგეთის მიერ და აცხადებს, რომ შეუძლებელია 160 მილიონიანი ხალხის იზოლიაცია. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა თუმცა დაგვიანებით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც შეიგნო, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური წესწყობილების დამყარება რუსეთში მხოლოდ თვით რუსეთის ხალხის საქმეა.

„ექსელსიორ“ ანალიზს უკეთებს საბჭოთა კავშირის ცნობის გამო შექმნილ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ რუსეთის საქმეთა კომისია უნდა შეუდგეს იმ საკითხების განხილვას, რომლებიც დაკავშირებულია ცნობასთან და კერძოდ რუს ემიგრანტების საკითხთან. გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობა მიმართავს საბჭოთა კავშირის მთავრობას თხოვნით, რათა მან გაავრცელოს ამნისტია იმ რუსებზე, რომელთაც სურთ დაბრუნება რუსეთში; მთავრობა განიხილავს აგრეთვე რუსეთის ემიგრანტების მიერ საფრანგეთის მოქალაქეობის მიღების გაადვილების საკითხს, ის გაარჩევს აგრეთვე საკითხს სპეციალური წესდების დაწესების შესახებ იმათთვის, რომელთაც არც საბჭოთა კავშირში დაბრუნება სურთ და არც საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება.

საელჩოს შენობა გადმოგვეცა

პარიზი. 29 ოქტ. მაკლაკოვმა რუსეთის საელჩოს შენობის გასაღებები გადასცა გარეშე საქმეთა სამინისტროს.

დაბეჯითებით ამბობენ, რომ საელჩოს არქივი ხელუხლებლათ არის დატოვებული.

ქრონიკა

ვინ უნდა ჩაითვალოს „სპეციალისტად“?

ე. წ. სპეცები ბლომად მოიპოვებიან დაწესებულებებში, კერძოდ სამეურნეო-კომერციულ ორგანოებში. ჩვეულებრივ მუშაკებთან შედარებით ისინი მეტად მაღალ გასამრჯელოს, სპეც განაკვეთებს იღებენ. ეს გარემოება მძიმე ტვირთად აწვება დაწესებულების ბიუჯეტს, ამცირებს დანარჩენ მუშაკების ხელფასს და ადიდებს წარმოების ხარჯებს.

ერთი ვიკითხოთ, ვინ არიან ეს სპეცები, რატომ ეძლევათ ზოგიერთ მუშაკთ მაღალი ხელფასი. თუ ჯამაგირი?

დაწესებულებათა ხელმძღვანელები ამბობენ, რომ გადიდებული გასამრჯელო ეძლევათ ისეთ პირებს, რომელნიც საფუძლიანად იცნობენ დაკისრებულ დარგს და საქმეს, კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, დატვირთული არიან ზედმეტი მუშაობით, ან ისინი წარმოადგენენ ისეთ მუშაკებს, რომელთა შეცვლა სხვებით არ შეიძლება, რომელთა მაგიერობის სხვები ვერ გასწევენ.

რომ ესა თუ ის მუშაკი დახელოვნებული უ და იყოს თავის საქმეში და რიგიანადაც უნდა ასრულებდეს მას, ეს თავისთავად იგულისხმება. ამისათვის მას უნდა ეძლეოდეს ჩვეულებრივი, საერთოდ დაწესებული ხელფასი, და არა ზედმეტი გასამრჯელო. არც მუშაობით ზედმეტად დატვირთვა გამოდგება გასამრჯელოს გადიდების საბუთად. ეს „დატვირთვა“ უფრო ხშირად იმას მოწმობს, რომ დაწესებულებაში მუშაობა არ არის რაციონალურად დაყენებული და განაწილებული.

მაშასადამე, რჩება საკითხი მხოლოდ ისეთი მუშაკების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით მაღალი კვალიფიკაცია ახასიათებთ და რომელთა შეცვლა მართლაც არ შეიძლება. ასეთები კი თითზე ჩამოსათვლელებიან. ასეთ კატეგორიას რა თქმა უნდა, ყველა დღევანდელი „სპეცი“ ვერ მიეკუთვნება. საჭიროა სპეცის ცნების სწორი განსაზღვრა და ამის მიხედვით სპეცგანაკვეთების საკითხის მოწესრიგება.

გაზ. „ტრუდ“ ეხება ამ საკითხს: „სპეცგანაკვეთების დამახინჯებულ დანიშვნასთან საბრძოლველად აუცილებელია, დაბოლოს, განვსაზღვროთ „სპეციალისტის“ ცნება და ეს განსაზღვრა იურიდიულად ჩამოვაყალიბოთ.

„სპეციალისტის“ ცნების რეგლამენტაცია მოითხოვს [illegible] გადაჭრას, ამასთან წინასწარ უნდა მივიღოთ ის დებულება, რომ სპეციალისტებს უნდა მიეკუთნონ განსაკუთრებით გამოჩენილი მუშაკები (რომელთა შეცვლა ნამდვილად არ შეიძლება), რომელთაც აქვთ მრავალწლის სტაჟი, განსაკუთრებული გამოცდილება, რომელიც უპირატესობას აძლევს მათ იმავე თანამდებობის ნორმალური კვალიფიკაციის მუშაკთა წინაშე, და ის პირები, რომლებმაც შეიძინეს თავისი კვალიფიკაცია ხანგრძლივი მეცნიერულ-ტეხნიკური მომზადებით“.

აუცილებლად საჭიროა „სპეცების“ საკითხის საფუძლიანი გადასინჯვა. არაფერს გავს ისეთი მდგომარეობა, როცა ყოველი მოანგარიშე „სპეცად“ ასაღებს თავს და სპეცგანაკვეთს იღებს. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ეს საგრძნობლად შეამცირებს წარმოება-დაწესებულებათა ხარჯებს.

ამხ. რადეკის წერილი

მოსკოვი. 29 ოქტ. კარლ რადეკი „პრავდის“ მეთაურში: „საფრანგეთის რესპუბლიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა“ აღნიშნავს, **რომ საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ სასარგებლო იქნება ორივე მხარესათვის, ვინაიდან შესაძლებელი ხდება მოლაპარაკება და შეთანხმება პრაქტიკულ საკითხის გარშემო ორივე ქვეყნის ინტერესების მიხედვით.**

საბჭოთა კავშირის ცნობით ევროპის უკანასკნელ და ძლიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოს მიერ. დამთავრდა ჩვენი ცნობა საერთოდ ევროპის მასშტაბით, რამოდენიმე მეორეხარისხოვან სახელმწიფოების გამოკლებით.

„საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი,—ამბობს რადეკი—ესალმება ამ აქტს კეთილგონიერების გამარჯვებისას, რომელიც მოითხოვდა თუნდაც იმის ცნობას, რაც არის და რაც იქნება.

საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა მიაღწიოს იმ სადაო საკითხების პრაქტიკულად გადასაჭრელად, რომლებზედაც ლაპარაკობს საფრანგეთის მთავრობის ნოტა.

საფრანგეთის დღევანდელი მთავრობა არ წარმოადგენს საფრანგეთის ხალხის მშვიდობიანი განვითარების გარანტიას, მაგრამ მისი არსებობა არის უკვე დამამტკიცებელი იმის, რომ საფრანგეთის ხალხი მოიქანცა ნგრევის პოლიტიკის უაზრო ავანტიურებისაგან, რომ ის ილტვის მშვიდობიანობისაკენ. საბჭოთა მთავრობა შეეცდება წავიდეს დათმობაზე საფრანგეთის მთავრობის მიმართ, როგორც წავიდა დათმობაზე მაკდონალდის მთავრობასთან მოლაპარაკების დროს მშვიდობიანობის და ხალხთა შორის მეგობრობის დამყარების მიზნით.

საფრანგეთის რესპუბლიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობით თავდება ევროპის ფარგლებში რუსეთის და საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლა პირველ პროლეტარულ რესპუბლიკის ცნობისათვის, გარდა რუმინეთის მემამულეებისა, რომელთაც ბესარაბია ჩამოგლიჯეს საბჭოთა კავშირს და ეშინიათ პლებისციტის იმის გამოსარკვევად, თუ ვის ეკუთვნის ბესარაბია, გარდა ოთხგვარ დიდების დამცველ შვეიცარიისა და ჰოლანდიელ ვაჭრებისა. რომელთაც სწორედ ისეთი ცბიერი იყონ, რომ თავის თავს ატყუებენ. ჩვენ გვაქვდა ცნობა ბატონ ბენეშის მიერ, რომელიც ჯერ კიდევ ელოდება, თუ როდის ზობს რუსეთს საბერძნეთში მშვენიერი ქ-ნი გიპიუსი. საიდუმლოების გამოაშკარავება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირს შეუძლია დამშვიდებით ელოდოს ცნობას ბატონ იუზის მიერაც, თუმცა ამას უსათუოდ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ცნობას ბატონ ბენეშის მიერ.

საუბარი მოძ. ქიამილ-ბეისთან

რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ცნობას საფრანგეთის მიერ?—ოსმალეთი და საბჭოთა კავშირი.—ოსმალეთის რესპუბლიკის წლის თავი

ოსმალეთის გარეშე საქმეთა კომისარიატის პოლიტიკურმა მრჩეველმა მოძ. ქიამილ-ბეიმ, რომელიც იმყოფება თბილისში, ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა შემდეგი:—ერთი წლის წინ ოსმალეთის ხალხის მიერ არჩეულმა დიდმა ეროვნულმა კრებამ რესპუბლიკად გამოაცხადა ოსმალეთი, აირჩია პირველი თავისი პრეზიდენტი, მუსტაფა-ქემალ-ფაშა, რომელიც მაშინ იყო ეროვნული კრების თავმჯდომარეთ.

მხოლოდ ერთი წელი გავიდა ამ ღირსშესანიშნავი ამბის შემდეგ, მაგრამ ოსმალეთმა მიაღწია მეტად მნიშვნელოვან წარმატებებს: ის თანდათან ჭიდის ალორძინების გზით, აძლიერებს თავის ეკონომიურ ძალებს, ანვითარებს თავის წარმოებას, აუმჯობესებს განათლების საქმეს. რესპუბლიკანურმა წესწყობილებამ თავისუფალი გასაქანი მისცა ოსმალეთის ხალხის საწარმოვო ძალებს.

სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენ ასე დიდი ზეიმით ვეგებებით მთელს ქვეყანაში ამ ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულს.

ქიამილ-ბეი შეეხო საბჭოთა კავშირის ცნობას საფრანგეთის მიერ, რომელიც ეხლა მოხდა. მან ასეთი აზრი გამოსთქვა ამის შესახებ:—დიდ სახელმწიფოებს შორის ოსმალეთმა პირველმა იცნო საბჭოთა კავშირი, ის დღემდე გადაუხვევლათ იცავს საბჭოთა კავშირთან ნამდვილ მეგობრულ ურთიერთობას. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირს იცნობენ ყველა სახელმწიფოები და ამრიგად ის შევა საერთაშორისო რჯახში, როგორც სწორუფლებიანი წევრი. ისეთი ძლიერი ქვეყანა, როგორიც არის საბჭოთა კავშირი, არ შეიძლება ჩამოცილებული იქნეს საერთაშორისო ასპარეზიდან. მე მრწამს, რომ ამას ახლო მომავალში შეიგნებენ ამერიკა და იაპონიაც, რომელთაც ჯერ კიდევ არ უცვნიათ საბჭოთა კავშირი.

დიდი კმაყოფილებით ვეგებულობთ ჩვენ დღევანდელ ამბავს, რომ საფრანგეთმა იცნო საბჭოთა კავშირი. იმედი გვაქვს, რომ თვით ცნობის ფორმულას მოჰყვება შემდეგი კონკრეტიული ეკონომიური შედეგები. ვიმეორებ, ამ ამბავს სიხარულით შეხვდებიან ოსმალეთში. როგორც წინათაც აღვნიშნე იმედი, რომ საბჭოთა კავშირს იცნობენ ყველა სახელმწიფოები; ეს არის მთელი ოსმალეთის ხალხის სურვილიც.

შემდეგ ქიამილ-ბეი ეხება ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობას და აღნიშნავს:—წელს ოსმალეთში საუკეთესო მოსავალია. ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. შეიძლება ვსთქვა, რომ ოსმალეთს საკმაოდ მოეპოვება ისეთი პროდუქტები, რომელთა გასაღება შეიძლება საბჭოთა კავშირის და კერძოდ ამიერ-კავკასიის ბაზრებზე: ალიჩები, ქსოვილები, ხილი, სელის ნაწარმოები, აბრეშუმი, ფორთოხალი, ლიმონი და ბევრი რამ ასეთი; ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ თქვენ. ფაქტიურად კომერციული ურთიერთობა ეხლაც გაჩაღებულია. ყოველდღიურ კომერციულ მუშაობაში გამოირკვა პრაქტიკული მუხლები სავაჭრო ხელშეკრულების, რომელიც, იმედი მაქვს, ახლო მომავალში დაიდება ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ქიამილ-ბეის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის მიზანია ოსმალეთის ექვსივე საკონსულოს დათვალიერება კავშირის ტერიტორიაზე.

ამ დღეებში ქიამილ-ბეი დაბრუნდება ანგორაში.

ინგლისის მუშათა კლასის მსჯავრი

ინგლისის კომპარტია მოითხოვს საქმის სასწრაფოდ გამოძიებას

ბურჟუაზია ძლიერ გაახარა ყალბი დოკუმენტის გამოქვეყნებამ

ამერიკის პრესის სიხარული ნაადრევი გამოდგა.—ინგლისის კომპარტია მოითხოვს მაკდონალდის გადადგომას და საბჭოთა კავშირის წინაშე ბოდიშის მოხდას.—გერმანიაში სუსტი შთაბეჭდილება დასტოვა „დოკუმენტის“ გამოქვეყნებამ.

კიდევ ერთი სიყალბე

ქრისტიანია. 28 ოქტ. „ტიდენს ტეგნ“ აქვეყნებს საიდუმლო წერილს, რომელსაც ვითომ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სახელით ხელს აწერს კუუსინენი; ეს წერილი, ვითომ გაეგზავნა ნორვეგიის კომპარტიას.

ეს წერილი, გაზეთის ცნობებით, ვითომ გაგზავნილი იყო იმ დროს, როდესაც მუშებსა და მწარმოებლებს შორის ადგილი ჰქონდა კონფლიქტს; ეს იყო მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს წერილი, შეიცავს დირექტივას ბრძოლის გამწვავების შესახებ, ამასთანავე წერილი პირდება მუშებს მატერიალურ დახმარებას. გაზეთი ხაზს უსვამს იმას, რომ ეს წერილი გავს იმ წერილს, რომელსაც ზინოვიევს აწერენ.

ამის გამო, ბურჟუაზიულმა პრესამ ისევ ასტეხა განგაში კომუნისტური პროპაგანდის შესახებ; პრესა ამტკიცებს, რომ ის დარწმუნებულია იმაში, რომ ზინოვიევი მართლა გაგზავნიდა ასეთს წერილს, თუმცა ამავე დროს ბურჟუაზიული გაზეთები ბეჭდავენ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს დეპეშებს ლონდონის ინციდენტის შესახებ.

კომპარტიის მოწოდება

ლონდონი, 28 ოქტ. ინგლისის **კომპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მოითხოვს გამოირკვეს იმ წერილის სიყალბე. რომელსაც ზინოვიევს აწერენ.** განცხადება მოითხოვს გამორკვეულ იქნეს გარსაკუთრებით გრეგორის და მაკდონალდის პასუხისმგებლობა და განმარტება, თუ რატომ არ არის გამოქვეყნებული გარეშე საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კონსერვატორების გამოსვლების შესახებ. **თავის დეკლარაციაში კომპარტია აცხადებს, რომ მაკდონალდი უნდა გადადგეს, მთავრობა ბოდიში და დაასახელოს დამნაშავე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გაკიცხული იქნება, რადგან უფრო მეტ ზიანს აყენებს მუშათა მოძრაობას, ვიდრე მიაყენებდა რომელიმე შეგნებული მტერი.**

იმედი გაუცრუვდათ

ნიუ-იორკი. 28 ოქტომ ნიუ იორკის პრესა თითქმის არც ეხება მომხდარ ინციდენტს, როგორც სჩანს, ლონდონიდან საწინააღმდეგო ცნობების მიწოდების გამო.

ნიუ-იორკის გაზეთებს ლონდონელმა კორესპონდენტებმა გადასცეს მაკდონალდის მიერ კარდიფში წარმოთქმული სიტყვა ისეთი შინაარსით, თითქოს მაკდონალდს დაედასტურებინოს ზინოვიევის წერილის სინამდვილე.

მხოლოდ „ნიუ-იორკ უორლდ“-ის კორესპონდენტი იტყობინება, რომ წერილი უსათუოდ ყალბია.

სახელმწიფო დეპარტამენტი აღფრთოვანებით შეხვდა წერილის გამოქვეყნებას, ის შესაძლებლადაც არ სთვლიდა ამის სიყალბეს და წინასწარმეტყველებდა, რომ **ინციდენტი გამოიწვევს საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გადადებას და განმტკიცებას საბჭოთა მთავრობასთაო.**

მაგრამ გუშინ შემდეგ ის სდუმს.

კომპარტიის წერილი

ლონდონი, 28 ოქტ. ინგლისის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა იმ წერილების ასლები, რომლებიც გრეგორის გაუგზავნა ცენტრალური კომიტეტის სახელით კომპარტიის მდივანმა ინგნებმა და მაკ-მანუსმა, რომელმაც, ვითომ, ხელი მოაწერა ყალბ დოკუმენტს; კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს იმ დოკუმენტის ფოტოგრაფიული სურათის გამოქვეყნებას, რომელსაც გარეშე საქმეთა სამინისტრო ზინოვიევს აწერს. ინგნებმა მაკდონალდს გაუგზავნა აგრეთვე პირადი ბარათი, რომელშიც სთხოვს მას დახმარება აღმოუჩინოს დოკუმენტის ფოტოგრაფიული სურათის მიღებაში. არაოფიციალური ცნობების მიხედვით, გარეშე საქმეთა სამინისტრომ უარი ეს მოთხოვნა.

ინგლისის მუშების ხმა

ლონდონი. 28 სექტემბერი. როგორც ვიცით, ამხ. ზინოვიევმა ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც წინადადება იძლევა დანიშნული იქნეს პროფკავშირების კომისია იმ წერილის სიყალბის გამოსარკვევად, რომელსაც ზინოვიევს აწერენ.

ინგლისის პროფესიონალური მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ პერსელმა დეპეშა გაუგზავნა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ლონდონელ კორესპონდენტს, რომელშიაც აცხადებს, რომ ზინოვიევის წინადადებას ის სამართლიანად და კეთილშობილურად სთვლის. ეს წინადადება, მისი აზრით, მიღებული უნდა იქნეს, რადგან ის სასარგებლოა ორივე მხარისათვის.

გამოძახილი გერმანიაში

ბერლინი, 28 ოქტ. „დოიჩე-ალგემაინე ცეიტუნგ“ აღნიშნავს, რომ ზინოვიევის წერილის გარშემო ატეხილ აურზაურს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

„როგორც სჩანს,—აღნიშნავს კორესპონდენტი,—ინგლისის ოპოზიციონური წრეებსაც ეხლა ეჭვი შეეპარათ დოკუმენტის სინამდვილეში“.

„ბერზენ კურიერ“ აღნიშნავს, რომ ინციდენტი წარმოადგენს მხოლოდ საარჩევნო მანევრს, რომელიც მიმართულია მაკდონალდის წინააღმდეგ.

„ფორვერტსიც“ სწერს, რომ მაკდონალდი, ისე როგორც ინგლისის მინისტრთა უმრავლესობა, ფიქრობს, რომ წერილი ყალბია. გარეშე საქმეთა სამინისტროს გამოსვლა კი ძალიან ნაადრევი იყო.

პრესის აზრი

ლონდონი. 28 ოქტ. კონსერვატიული და აგრეთვე ლიბერალური პრესა სასტიკად აკრიტიკებს მაკდონალდის სიტყვას.

კონსერვატიული „დეილი მეილ“, რომელიც მაკდონალდის სიტყვას აბდაუბდათ სთვლის სწერს:

„მაკდონალდმა ვერ გაბედა პირდაპირ ეთქვა, რომ წერილი ყალბია. პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მან უსირცხვილოთ შეიტანა ეჭვი გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეთა კეთილ სინდისიერებაში“.

კონსერვატიული“ „მორნინგ პოსტი“ სწერს:

„სწორედ საოცარია, რომ მაკდონალდმა გადასცა საპროტესტო ნოტა ისე, რომ არ იყო დარწმუნებული დოკუმენტის სინამდვილეში. შეიძლება მაკდონალდი ძალიან სინდისიერი კაცია, მაგრამ ხანდახან ის სასაცილო მდგომარეობაში ვარდება“.

„დეილი ტელეგრაფი“ მაკდონალდის სიტყვა სთვლის პოლიტიკურ ვილაჯობის და უსინდისობის საუკეთესო გამოხატულებათ.

„დეილი ექსპრესი“ სწერს, რომ „მაკდონალდმა მახვილი ჩასცა თავის პარტიას არჩევნების წინ“.

ლიბერალური „ვესტმინსტერ გაზეტა“ სწერს:

„მაკდონალდის სიტყვაში საინტერესო ადგილი იყო ის განსაკუთრებული გაიძვერობა, რომლის შემწეობითაც მას უნდოდა თავი დაეხწია გაჭირვებულ მდგომარეობისაგან. მაკდონალდის სიტყვა ამტკიცებს, რომ ის სრულიად იყო გაცნობილი საქმის ნამდვილ ვითარებასთან, ხოლო ეს კი უარყოფს იმას, თითქო ის დამნაშავე არ არის.

ლიბერალური გაზეთი „**მანჩესტერ გარდიენი**“ სწერს, „ორში ერთი ან ზინოვიევის წერილი ნამდვილია ან იგი შეთხზული არის. თუმცა მაკდონალდი, როგორც სჩანს, ფიქრობს რომ იგი შეთხზულია, მაინც ამბობს, ეს მე არ ვიციო. **ნოტის გაგზავნ არავითარ შემთხვევაში არ იყო საჭირო, სანამ მაკდონალდი საბოლოოდ არ გამოარკვევდა ამ საკითხს და თავის თავზე არ მიიღებდა მასუხისმგებლობას გამოტანილ გადაწყვეტილებისათვის**“.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი გერალდი“ კმაყოფილდება მცირე განცხადებით:

„მაკდონალდის სიტყვამ უკანასკნელი სული ამოაცალა „დეილი მეილის“ გაზით სავსე ბუშტს“.

წითელ რუსეთში

რექტორების თათბირი.

მოსკოვი. 28 ოქტ. გაიხსნა რექტორთა სრულიად რუსეთის თათბირი, რომელზედაც მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენლები, რიცხვით 130 კაცი.

[illegible] განათლების მთავარ [illegible] ხოდოროვსკიმ მოხსენებაში აღნიშნა, რომ სულ საბჭოთა რუსეთში გამორიცხულია უმაღლეს სასწავლებლებიდან 18,000 სტუდენტი. მუშების და გლეხების გამორიცხვა ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ არ აღმოაჩნდებოდათ არავითარი მომზადება მეცნიერულ მასალების შესათვისებლად. შემდეგ ხოდოროვსკი ეხება უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შედეგებს. არსებულ ცნობების მიხედვით, უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულია 12,713 სტუდენტი, მათგან—6773 მუშაკელია.

შრომის საბჭო.

მოსკოვი, 28 ოქტ. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ განიხილა შრომის მეცნიერულად მოწყობის საკითხი და აუცილებლად სცნო საბჭოს რეორგანიზაცია. საბჭოს უნდა დაეკისროს მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევათა შესწავლა და სისტემაში მოყვანა—ჩვენს მეურნეობასთან შეფარდებით—შრომის ნაყოფიერების გასაზრდელათ. კოლეგიამ დაადგინა შეადგინოს საბჭო ისეთ სპეციალისტებისაგან, რომლებიც მუშაობენ შრომის მეცნიერულად მოწყობის გარკვეულის ხაზით და რომელთაც შეუძლიათ პასუხისმგებელი ექსპერტობა შრომის სპეციალურ საკითხებში.

დღეს ხუთშაბათს, ოქტომბრის 30-ს საღამოს 7 ს. შესდგება

საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა

საქ. ცაკის მდივანი ს. თოდრია

ამა წლის 7 ნოემბრიდან ქ. ქუთაისში

დაიწყებს გამოსვლას ყოველ-დღიური გაზეთი

„წითელი ვარსკვლავი“

ორგანო მე-2 ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილებისა და ს. კ. პ. ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა.

გაზეთი ღირება თვიურად 70 კ. ცალკე ნომერი 3 კ. რედაქციისა და კანტორის მისამართი: ქ. ქუთაისი ლიუქსემბურგის ქ. სამხედრო სტამბის შენობა

უ. 4—1

კომინტერნში

მდგომარეობა შვედის კომუნისტურ პარტიაში

აგვისტოს შუა რიცხვებში [illegible] ში აშკარათ სჩანს, რომ იგი [illegible] ის კომუნისტურ პარ[illegible] ებს ნიადაგს სრული შეერთ[illegible] აშკარა გათიშვამდის [illegible] ისათვის ამ უკანასკნელებთან.

აგვისტოს გაზ. „პოლიტიკენში“ დაიბეჭდა ცეკას განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალის მიერ მოთხოვნილი რეფერენდუმი გადაწყვეტით უარყოფილ იქნა.

განხეთქილება.

ცენტრალური კომიტეტი 19 აგვისტოს გაეცნო კომინისტურ ინტერნაციონალის გადაწყვეტილებათ. ჰოეგლუნდის ჯგუფმა უარი განაცხადა, ამ ინსტრუქციების შესრულებაზე. 20 აგვისტოს ღამით შეუდგენ „პოლიტიკენის“ რედაქციისა და ხელმძღვანელობის შეცვლას. ჰოეგლუნდის ჯგუფმა ამაზე უპასუხა სრული განთიშვით.

ამის შემდეგ კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომმა მიმართა დეკლარაციით შვეციის კომუნისტურ პარტიას. იქ ნათქვამია, რომ ჰოეგლუნდის ჯგუფი კომუნისტურ ინტერნაციონალიდან სულ ერთიან გაიჭრა და აშკარად გადავიდა ბურჟუაზიის მხარეს. კომუნისტური ინტერნაციონალი თავის სექციათ სცნობს მხოლოდ ცენტრალურ კომიტეტის უმცირესობას. აღმასკომმა ამავე დროს გამოუშვა მოწოდება პარტიის მთლიანობის დასაცავათ. ჰოეგლუნდი ამჟამათ აწყობს თავის საკუთარ პარტიას, რომელსაც სახელად უწოდებს ისევ „კომუნისტურს“ და თანაც სცდილობს დაარწმუნოს ყველა, რომ მას სურს განაგრძოს ბრძოლა სოციალ-დემოკრატებთან. მაგრამ მისი წერილების კილოში აშკარათ სჩანს, რომ იგი [illegible] ებს ნიადაგს სრული შეერთ[illegible] ისათვის ამ უკანასკნელებთან.

1 სექტემბრიდან ჰოეგლუნდმა მოუშვა თავის საკუთარი ყოველ[illegible]დღიური ორგანო—„დენ ნია პოლი[illegible]კენ“.

პარტიის უმრავლესობა რჩება კომუნისტურ ინტერნაციონალის მხ[illegible]ვული.

ცხადია ჰოეგლუნდს პატარა [illegible] ცირესობის გარდა სხვა არავინ [illegible] ყვებოდა უკან. დიდი უმრავლეს[illegible] კი, რომელიც აქნაძლე მერყეო[illegible] განიცდიდა, გადაწყვეტით მიემხრო[illegible] ლა კომუნისტ. ინტერნაციონალს. [illegible] ლა მნიშვნელოვან ცენტრში პარტი[illegible] ჰყავს დიდი უმრავლესობა. სამი [illegible] თავრესი ქალაქი—სტოკჰოლმი, გ[illegible] ტებერგი და მალმოე საბოლოო[illegible] დადგა ინტერნაციონალის მხარე[illegible] ასევე მოიქცა უდიდესი ცენტ[illegible] ნობერტენი თავის 1.700 წევრით. ჰოეგლუნდის პარტია სცდილო[illegible] შეაკავშიროს თავის გარშემო ახ[illegible] გაზრდობა. ახალგაზრდობის [illegible] სექციიდან, სადაც ითვლება 12.0[illegible] წევრი, ჰოეგლუნდისმხარეს გადავიდა 28 სექცია—1000 წევრით. პარტი[illegible] ლი პრესის უდიდესი ნაწილი კომ[illegible] ნისტების ხელშია.

6 სექტემბერი იყო რეფერენდუმის უკანასკნელი დღე. უდიდესი უმრა[illegible] ლესობა ერთგული დარჩა კომუნი[illegible] ტურ ინტერნაციონალისა.

იმ ორი პროვინციალური ორგანოდან, რომელიც გაჰყვა ჰოეგლუნდს, ერთმა უკვე ზურგი შეაქცია მას და გადმოვიდა ჩვენ მხარეზე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარისტანი

„ხალხი უმუშევართათვის

ბათომი 29 ოქტომბერი. შრომის სახ. კომისარიატი შეუდგა „უმუშევართა სახლის“ აშენებას.

საკლავი საქონელი

ბათომი 29 ოქტომბერი. ყუბანიდან ბათომის მუშ. მთლიან კოოპერატივის განკარგულებაში მოვიდა საკლავი საქონლის პირველი პარტია რიცხვით 42 სული. მომავალში საკლავი საქონელი გამოიგზავნება რეგულიარულად

სომხეთი

სასოფ.-სამეურნეო გამოფენები

ერევანი. 28 ოქტ. ქირნახულის მოკრეფის დღე ვაგარშაპატში, ა[illegible]რაკში და აბარანში აღნიშნული [illegible]ნება სასოფლო-სამეურნეო გამოფ[illegible]ბის გახსნით, სადაც წარმოდგენ[illegible] იქნება ყველა დამახასიათებ[illegible] დარგი ამა თუ იმ რაიონის ს[illegible]ფლო მეურნეობისა.

რა სტკივა საქართველოს

III

პატარა საქმეები და პოლიტიკა

მ. კახიანი სწერს თავის პირველ წერილში, რომ საქართველოს უკანასკნელი ამბები იყვნენ „ნაკარნახევი და მოწყობილი იმპერიალისტების და მათი დამხმარე მე-2 ინტერნაციონალის დირექტივებით და ბრძანებით“.

ამ სიტყვებით მმართველი პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დიდ დახმარებას უწევს არალეგალურ წრეებს და ყველა მათ მიმდევრებს. ერთხელ დავმარცხდით, მეორეთ და მესამეთ ვცდით, რაკი იმპერიალისტები და მე-2 ინტერნაციონალი ხელს გვიწყობენ, რაკი გვეხმარებიანო, ასე იტყვიან, ლოღიკურათ, ეს აუცილებელია.

აჯანყების იდეოლოგიას უნდა გამოეთხაროს ძირი, საქართველო ვერ მოისვენებს, თუ მიეცა ხოლმე საკვები მასალა ამ იდეოლოგიას.

მ. კახიანი აძლევს ამისთანა მასალას, როცა ასე გადაჭრით ამბობს, —იმპერიალისტები და მეორე ინტერნაციონალი ეხმარებიანო.

რაში გამოიხატა ეს დახმარება? —„თურმე აჯანყების მოსაწყობათ მიღებული იყო ათი ათასი ლირა ავგისტოში“. „Курам на смех“, რუსები რომ ამბობენ. რა არის ათი ათასი ლირა, რა აჯანყება უნდა მოეწყოთ ამითი, ან ის საიდან სჩანს, რომ ეს ფული სწორეთ იმპერიალისტებმა გამოგზავნეს, რა ვიცით, რომ აქედან წასულმა ძველმა მთავრობამ არ გაანაღდა წაღებული ქონება და მისი საღირალი არ გამოგზავნა აქ?

რაში გამოიხატა კიდევ დახმარება? ალბათ რენოდელის წერილი. ერთ-ერთი მაჩვენებელი ამისა. რენოდელს მიუწერია წერეთლისათვის სხვათა შორის... „ნეტავ შემეძლოს ვუთხრა მათ (ქართველებს), რომ ჩემი და ჩემი პარტიის გამარჯვება არჩევნებში მოახლოვებელი იქნება მათი ტანჯვის დასასრულის. რასაკვირველია ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ საფრანგეთის ტრიბუნის სიმაღლიდან **ხმა მაღლა გავკიცხოთ მჩაგვრელებიო**“ (ხაზი ჩემია).

საკვირველი დახმარებაა, როგორც ვხედავთ, რაღა გააძლიერებენ აქ მენშევიკებს, თუ რენოდელმა ხმა მაღლა გაკიცხა ისინი საფრანგეთის ტრიბუნის სიმაღლიდან!

როცა საზღვარ გარეთის იმედი აქვს კაცს, ყოველნაირი გაფაჩუნება ნამდვილ დახმარებათ მოეჩვენება. აი სწორეთ იგივე მასალა, რომელსაც თავის წერილში ასახელებს მ. კახიანი—ჩხეიძის ლექცია, წერეთლის ლაპარაკი ერრიოსთან, ჩხენკელის მიღება საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ,—ასე პირდაპირ იყო დასახელებული ყოველივე ეს არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტის ფურცელში შეიარაღებულ გამოსვლების წინადღით. ხალხს დიდი რამე ეგონა ეს და აწიც ეგონება, თუ გაუხსნიათ, თუ სულ უჩიჩინე, რომ ეს არის ნამდვილი დახმარება საზღვარ გარეთიდანო.

საზღვარ-გარეთზე მართალია მხოლოდ ერთი. აქაური არალეგალური წრეებიდან იწერებოდა იქ, რომ ხალხი ყალყზე დგას, ველარ ითმენს, აჯანყების საკითხი დგას სერიოზულათ, შესაძლებელია დროებით ძალაუფლების ჩაგდება ხელში, მოსალოდნელია თუ არა ზურგის გამაგრება მანდედანო. იქიდან იწერებოდენ—თუ აჯანყებას მოაწყობთ, ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებთ, მერე დახმარებაც იქნებაო.

რასაკვირველია, არავითარი დახმარება არ იქნებოდა არც მერე. მაგრამ „ყალყზე“ დამდგარი ხალხისთვის საკმაო იქნებოდა უბრალო დაპირებაც, ს. ჟორდანია თუ ამის იმედს იძლევა, რაღა საეჭვოა, იფიქრებდა ის ხალხი და იფიქრა კიდეც.

მაშასადამე, აჯანყების მოწყობა უნდოდათ აქაურ არალეგალურ წრეებს, უნდოდა საზღვარ-გარეთის აიყოლიოს საქართველოს სოციალდემოკრატიისას.

მარტო ეს სჩანს სხვადასხვა დოკუმენტებიდან. ამაზე მეტი არაფერი არ სჩანს.

გუშინ მივიღე წერილი ჩემი ძმისაგან, გერმანიიდან იწერება,—აქაურ გაზეთებში არა ერთხელ იყო განცხადება—აჯანყება არ გვსურდა და ხალხს ყოველთვის ვეუბნებოდით აჯანყებაზე არ იფიქროსო. ეს, რამდენადაც მე ვიცი, ცოცხალი ტყუილია. მე სისაძაგლედ მიმაჩნია ის გარემოება, რომ ხალხს აჯანყება უჩიჩინო და მერე ხელი დაიბანო: ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართო. მე დარწმუნებული ვარ, ეს აჯანყებაც ძველი მენშევიკური პარტიის მოწყობილია. მაგრამ თუ ევროპაში ამ სულელურ ნაბიჯს მნიშვნელობა მიეცა მარტო იმიტომ, რომ კომუნისტებმა ასე სასტიკად მოეპყრნენ ტყვეებს...

არ შეიძლება მარტო ხალხს გადაბრალო, როცა ხალხს წინდაწინ აქეზებ, სისაძაგლეა, მართლა, ჩვენ არაფერ შუაში ვართო. უნდა შეგწევდეს იმდენი გამბედაობა, რომ შენ ნაკეთებ საქმეს შენ თავზე იღებდე. რაც უნდა ვერ ითმენდეს ხალხი, რაც უნდა ყალყზე იყოს ის დამდგარი, იარაღით არ გამოვა, აჯანყებას არ დაიწყებს, თუ არ აიმედებ, —დაგეხმარებიან ევროპის სახელმწიფოებიო.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია აქ დარჩენილი და საზღვარგარეთ გასული დახმარების ხალხის ფიხამე. როცა ის ამისთანა დახმარებით იმას აიმედებს, ხელში კი ნამდვილი თამასუქი არ აქვს არავისგან.

იმპერიალისტებმა წაიტეხეს ფეხი კოლჩაკზე, დენიკინზე, ვრანგელზე და საქართველოსათვის ალარ მოინდომებენ ფეხის წატეხას. უნდათ, მართალია, რომ აქ მოუსვენრობა, აჯანყებები იქნეს, წააქეზებენ კიდეც, შეპირდებიან რამეს, მაგრამ თუ ჰკუა გივარგა, თუ შორსმჭვრეტელობა გაქვს. არ დაუჯერები. განა ცოტა აქვს მაგალითები, რომ იმპერიალისტებს მიუსისიანებიათ ხოლმე ერთი სახელმწიფო მეორის წინააღმდეგ და მერე მიუტოვებიათ?

საქართველოსაც ასე მიატოვებენ ეს უნდა სცოდნოდა ნ. ჟორდანიას, ეს უნდა იცოდენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმაც, კერძოთ მ. კახიანმა, თორემ არალეგალურ წრეებში არ გამოილევა იმედი და ბოლო არ ექნება ქართველი ხალხის ბედიღბლით თამაშს.

იმედი ნაპერწკალივით ვარდება ცეცხლის მოსაკიდებელ მასალაში. არალეგალურ წრეებს თუ შერჩათ ის რწმენა, რომ იმპერიალისტები გვიწყობენ, გვიკარნახებენო, არასოდეს არ გადახედავენ თავის ტაქტიკას.

ვერც იმას ვიტყვით, რომ საქართველოში სულ არ მოიძებნება ცეცხლის მოსაკიდებელი მასალა. ვიმეორებ, რაც წინა წერილში ვსთქვი. საქართველოს უკანასკნელ ამბებს ნიადაგი ჰქონდათ შინაურ პირობებშიაც. არ შემიძლია დავეთანხმო მ. კახიანს, რომელიც ასე გადაჭრით ამბობს,— „შეიარაღებული გამოსვლები შედეგათ მოჰყვა არა ჩვენი პარტიის პოლიტიკასო“.

მე ვიცოდი, რომ ის ეროვნული უნდობლობა, რომელიც საშინლათ სტკივა დღეს საქართველოს, გამოწვეულია, როგორც წინეთ მმართველი მენშევიკური პარტიის, ისე დღეს გამეფებული კომუნისტური პარტიის პოლიტიკით.

ნ. ჟორდანიამ ერთ მოხსენებაში სთქვა, წვრილი ბურჟუაზიის ქვეყანაში, მთელი პოლიტიკა იღებება ყოველთვის წვრილ-ბურჟუაზიული ფერითო. სამი წლის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისტორია ამტკიცებს ამას. მართლა წვრილ-ბურჟუაზიული ფერი მიეცა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეიას. ფეხი მოიკიდა განკერძოების და ღვთისიანობის გრძნობამ, ქართველი უნდობლათ უყურებდა არა ქართველს და საერთო პოლიტიკაც ხელს უწყობდა ამ უნდობლობის გაღვივებას. ყველაზე გვიან მე დავბრუნდი რუსეთიდან და ველარ ვცნობდი საუკეთესო ამხანაგებს. როგორ ჰყურებოდა ხოლმე მათ სხვა რასებს, სომხების და ებრაელების შესახებ?

რაც შემდეგ 921 წელს, რა თქმა უნდა ვერ შეუწყობდა ამ უნდობლობის გაქარწყლებას. ვიმოწმებ ლენინს ისევ და ისევ. მისი სიტყვებია:

„ყოველ ერს უნდა ჰქონდეს უფლება გამოიყოს და შექმნას თავისი საკუთარი სახელმწიფო. რუსეთის ხალხი რესპუბლიკა სხვა ერებს, ხალხებს უნდა იზიდავდეს არა ძალდატანებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმებით. ერთიანობა და ძმური კავშირი ყველა ქვეყნის მუშებისა ვერ შეურიგდება ვერც პირდაპირ, ვერც არაპირდაპირ ძალდობას სხვა ერებზე“. („Право на свободное отделени и на образование своего государства за всеми нациями, входящим в состав государства. Республика русского народа должна привлекать к себе другие народы или народности не насилием, а исключительно добровольным соглашением на создание общего государства. Единство и братский союз рабочих всех стран не мирится ни с прямым, ни с косвенным насилием над другими народностями“. *)

საქართველოში არ გაღვივდებოდა ეროვნული უნდობლობის გრძნობა, რომ ლენინის ხაზი გატარებულიყო ეროვნულ საკითხში. გაღვივდა კი ისე, რომ ზღაპრული შეიქნა. არალეგალურ მუშაობაში ყოველთვის ვაყენებდი საკითხს სხვა ერებთან დამოკიდებულების შესახებ. მე ვამბობდი, რომ ჩვენი სოციალისტური მოვალეობაა გავაგებინოთ მეზობელ ერების მშრომელ ხალხს, ინტელიგენციას, რისთვის ვიბრძვით ჩვენ, უნდა იცოდენ, მათ რომ ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეს არის საერთაშორისო სოციალიზმის და დემოკრატიზმის მოთხოვნილება, რომ ამაში არც ერთი ერის მშრომელი ხალხი არ უნდა ხედავდეს მტრულ განწყობილებას თავისთან.

— რათ დავიჭერს ჩვენ მხარს, ან როგორ გაიგებს ჩვენ ბრძოლას რუსი, სომეხი ან ებრაელიო მეუბნებოდენ. თუ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მაინც დაიწერებოდა ფურცელი სხვა ენაზე, სტამბის გარეშემო მოუშავეები ხელს უშლიდენ დაბეჭდვას,—ჩვენ გვეზიზღება ქვეყანა, ვინც ქართველი არ არისო.

რა მწვერვალებამდის არის მისული ეროვნული სიძულვილი. ამას გვეუბნება ერთი სულ ახალი მაგალითი. ნაძალადევის კრებაზე არჩეულ მუშათა კომისიას მიუღია არალეგალურ ხელმძღვანელ ორგანოდან სასტიკი წერილი.—„ვინ მოგცათ თქვენ უფლება რომ თ მაშობ საქართველოს ბედიღბლით... სეითა სხვაა, იმას არც მოეთხოვება, ის რუსი ინტელიგენტია, ქართული იმას არაფერი შერჩენია გვარის მეტიო“

აი ამ საშინელ შოვინისტურ სტრიქონებს აწერია სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სახელი. კითხეთ, რატომ არ შემიძლია მე, ვსთქვათ „რუს ინტელიგენტს“ დავიცვა საქართველოს ეროვნული ინტერესები, ან რომელი საღი ჭკუის კაცი გაივლებს თავში, რომ საქართველოს ინტერესებისთვის არ ვარ მე დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე დამდგარი?!

როცა ამისთანა სიძულვილით ხარ გაღესილი სხვა ერებთან, სიძულვილის მეტს ვერაფერს დაიმსახურებს სხვა ერებისგანაც. ვინც ეროვნული სიძულვილის გაღვივებით „იბრძვის“ ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, უკეთესია სულ მოშორდებოდეს ამ ბრძოლის ასპარეზს. წმინდა საქმეს წმინდა ხელი უნდა...

შეუძლია თუ არა მმართველ პარტიას გვითხრას, რომ ყოველდღიური პოლიტიკა მისი სახელით ნაწარმოები ხელს არ უწყობს ეროვნული უნდობლობის ფეხმოკიდებას საქართველოში? ყოველდღიური პოლიტიკა, ვიმეორებ და არა პრინციპები მმართველი პარტიის.

ამაზე მე კიდევ მექნება ლაპარაკი. ჯერჯერობით ერთი კითხვა.

რას იტყვის მმართველი პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მ. კახიანი ერთი მაგალითის შესახებ ყოველდღიური პოლიტიკიდან.

ნათქვამია ხაზგასმით ხელმძღვანელების მიერ, რომ თბილისში ადგილი არ უნდა ექნეს პოლიტიკურ წმენდას დაწესებულებებში და იქ, სადაც შემცირება გამოწვეულია სხვა მოსაზრებით, ქართველი ელემენტი უნდა მოხვდეს სულ მცირე ნაწილი ამ შემცირებაში. წმენდა მაინც ხდება, წმენდას ეძება პოლიტიკური სარჩული და ქუჩაზე რჩება მეტი წილი ქართველი ელემენტი (რკინის გზების სამმართველო, საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო—ცესუ და სხვ).

რაკ ხდება დაწესებულებებში ამ ზრივ, ის არ უდგება იმ პრინციპს, რომელიც წამოყენებულია მმართველი პარტიის ხელმძღვანელების მიერ.

ეს წვრილმანიაო, იტყვიან. მაგრამ ამისთანა წვრილმანი მაგალითებისაგან შედგება ყოველდღიური პრაქტიკა, აქედან უჩნდება ნაპერწკალი ცეცხლის მოსაკიდებელ მასალას, აქედაა იწყება ყურება შავი ზღვის პირებისკენ, იმპერიალისტებისაკ ნ, ემმაკებისკენ და ემმაკების ბებიისკენაც,—მოვიდეს ვინმე სულერთია, ვინც იქნება, ოღონდ ქართველი კაცი ქუჩაზე არ ეგდოს საქართველოშიო.

ერთ მოსკოვის გაზეთში წერილი იყო სათაურით „Внимание великого к мелочам“. ლენინი ჰყავდა მხედველობაში წერილის ავტორს. დიდი ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა წვრილმანებს, პატარა საქმეებს. იცოდა, რომ პატარა საქმეების კილო ქმნის დიდი პოლიტიკის მუსიკას. შემლილი იყო ეს მუსიკა ამ ოთხ წელიწადში. ამაში უნდა დამეთანხმონ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები. ამიტომ ეძლეოდა ნიადაგი „ყალყზე“ დგომას, მიუკარებლობას, ამიტომ იჯერებდენ, ევროპიდან მოვიან დასახმარებლათო, იჯერებდენ იმიტომ, რომ უნდოდათ დაჯერება.

უნდა დამეთანხმონ თქო ვამბობ, თუმცა ჩემზე ადრე თითონ გამოთქვეს ეს აზრი მმართველი პარტიის ხელმძღვანელებმა თავის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და შეიტანეს პლენუმის რეზოლიუციაში.

ს. დევდარიანი

---

*) Н. Ленин. Пол. соб. соч. т. XIX, 295.

ს. დევდარიანის წერილების გამ

ზოგ ამხანაგს ეუცხოება და გაუკვირდება კიდეც, თუ როგორ ათავსებს ხან-და-ხან ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო, „კომუნისტი“, ს. დევდარიანის არა-კომუნისტურ წერილებს და აზრებს. ამ ბოლო ხანებში მან მოათავსა წერილები სათაურით: „რა სტკივა საქართველოს“, ამ წერილებში ის გადმოგვცემს არა მარტო იმას, თუ რა სტკივა მუშურ-გლეხურ საქართველოს, არამედ უმთავრესად იმ განწყობილებას, რომელიც გამეფებულია ინტელიგენტურ წრეებში, რომელთა გამომხატველათ ნებსით თუ უნებლიეთ გამოდის ს. დევდარიანი. ჩვენთვის არ არის ინტერესს მოკლებული გავიგოთ სხვადასხვა წრეების გასაჭირი—თუ **ვის რა სტკივა და რა აწუხებს**, თუ, რასაკვირველია, ეს ტკივილი და წუხილი არ დაემსგავსება ობივატელურ წუწუნს. ამიტომ ჩვენი აზრით, სწო- [illegible]

[illegible] ნი გაზეთის მუშა და გლეხი—მკითხველი.

უკანასკნელ გამოსვლების შესახებ საქართველოში ს. დევდარიანი ორიგინალურ შეხედულებას გამოსთქვამს, თითქო აქ საზღვარ-გარეთი არაფერ შუაშია. შიგნით იყო ასაფეთქებელი მასალა და ამიტომაც გამოვლა მოხდაო. ეს შემცდარი აზრია. რასაკვირველია, რომ შიგნით არ ყოფილიყო მიზეზი და უკმაყოფილება, არავინ გაჰყვებოდა მენშევიკებს, მაგრამ ისიც არ შეიძლება დაიმალოს, რომ უცხოეთი ამ გამოსვლებს გულის ფანცქალით უცდიდა, ხელს უწყობდა ეს—ფაქტია. და აი სწორედ მარქსის თქმით „ფაქტი უნდა აიღო ისე, როგორც არის, მიუმატებლათ და გამოუკლებლათ“.

ჩვენ პირველ წერილში ამბების შესახებ აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ გამოსვლები იყვნენ „ნაკარნახევი და მოწყობილი იმპერიალისტებისა და მათი დამხმარე 2 ინტერნაციონალის დირექტივებით და ბრძანებით“. ყველა გაიგებს, რომ ბრძანება იმას

კი არ ნიშნავს, რომ პარიზში [illegible] ლოთ დააჭერ „კნოპკას“ და [illegible] მოაწყობ აჯანყებას სოფელ გა[illegible] სურებში ან და გინდ პატრიკ[illegible] სადაც თურმე ვლასა მგელაძე „[illegible] ტით“ ხელში დასეირნობდა თ[illegible] რაზმით. შორიდან ბრძანებას ა[illegible] ლება უნდა ადგილობრივ და ამ[illegible] თვის სათანადო ხალხი. ამიტომ[illegible] ვწერდით ჩვენ: „აჯანყების მამოძ[illegible] ვებელი ძალა იყო უცხოეთი“, რ[illegible] მელიც ანხორციელებდა თავის გე[illegible] მებს ქართველი მენშევიკების ნ[illegible] ნაციონალ-დემოკრატების საშუალ[illegible] ბით“.

უცხოეთის როლის დაფასებაში არ გვეთანხმება ს. დევდარიანი [illegible] ლაპარაკობს, რომ მ. კახიანი თავის სიტყვებით დახმარებას უწევს არალეგალურ წრეებსო. ეს მართლა კომიკური რამაა. თუმცა დევდარიან[illegible] [illegible]

ნებს, კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებს, მაგრამ მიუხედავათ ა[illegible] კუზიანებისა ჩვენ სწორი სიმართლე მაინც უნდა ვსთქვათ. ოღონდ დევდარიანის პოლიტიკა, როდესაც ამ საკითხში რაღაცას მალავს. ამით სწორე[illegible] ის ეხმარება მენშევიკებს, ვინაიდან თვით კოტე ანდრონიკაშვილ[illegible] სცდილობს დაჟინებით და გადაკრ[illegible] დაგვიმტკიცოს, რომ არც იმპერია[illegible] ლისტები, არც სოციალისტები [illegible] არც თურმე საზღვარგარეთში მყო[illegible] ქართველი მენშევიკები არავით[illegible] დირექტივებს არ იძლეოდენ და არ[illegible] სჯეროდათ გამოსვლების შესაძლე[illegible] ლობა,—ეს ჩვენ გადავსწყვიტეთ, ჩ[illegible] ვემზადებოდით აქ და ჩვენვე მო[illegible] წყვეთ აჯანყებაო. დახეთ, რა გაბე[illegible] დული საქართველოს შვილი ყოფილა ეს კოტე ანდრონიკაშვილი!... მაგრამ ეს ასე როდი იყო! მშიშარა პარტიულ კომიტეტის არა ნაკლე[illegible] მშიშარა თავმჯდომარეს ეგონა, რ[illegible] გეგმებს და ბრძანებებს რეალური დ[illegible] მარება მოჰყვებაო, მაგრამ სასტი[illegible] მოსტყუვდა. და ახლა, ჩეკაში თითონ ჩაკარგულს, არ უნდა უჯერ[illegible]

„კომუნისტი"

მიიღება ხელისმოწერა ნოემბრისათვის
მუშა მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელებისა და
მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:
1 თვით 65 კაპ., 2 თვით—1 მან. 10 კაპ., წლის ბოლომდე—1 მან. 80 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით
თბილისში (ბინაზე მიტანით)
1 თვით . . 85 კ.
წლის ბოლომდე 1 „ 60 „
პროვინციაში (გაგზავნით)
1 თვით . . . 95 კ.
წლის ბოლომდე 1 „ 80 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი"-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს".

ელმწიფო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკა ელი თავისი შემადგენლობით ღრმა მწუხარებით აუწყებს მეგობ- ბს და საზოგადოებას ძვირფას ამხანაგის და საყვარელ თანამშრომლის

ქიმ ანდრია დიმიტრის ძე შონიას

როვოდ გარდაცვალებას ამა თვის 29-ს. პანაშვიდი ყოველ დღე საათზე მთავარ საავადმყოფოს სასვენში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგია ა მწუხარებით აუწყებს თავის წევრებს და საზოგადოებას თავის ვარელ წევრის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკის ორდინატორის

ქიმ ანდრია დიმიტრის ძე შონიას

უდროოდ გარდაცვალებას, ამა თვის 29-ს.

ელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის დამთავრებულ თა პირველი წყება ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას რფას და საყვარელ ამხანაგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკის ორდინატორის

ქიმ ანდრია დიმიტრის ძე შონიას

უდროოდ გარდაცვალებას ამა თვის 29-ს.

ხელოვნება

ახელმწიფო ოპერა
„დემონი".

მღერალმა ალექსანიანმა დემონის პარ- ი მთელი რიგი მხატვრული ღირებუ- ს მომენტები მოგვცა. კარგია როგორც ული, ისე ვოკალური შესრულება.

მარას პოეტურ სახეს იძლევა მომღე- ი ქალი ბოგოლეპოვა, განსაკუთრებით როსთან და მამასთან გამოთხოვების ნაში.

კავსაძე მღეროდა თავად სინოდალის პარ- ას. შესრულება მუსიკალურია, სცენური ე საკმაოთ მოფიქრებულია.

მშვენივრად ბგერს მომღერალ ქალის ნას ხმა. საუცხოვოთ შესრულა მსა- მა პროლოგი.

პიური ძველი მოსამსახურე ბლაგოო- ზოვი. გუდალის პარტიაში კარგია შა- ძე როგორც ვოკალურის, ისე სცენი- მხრივ.

მაზათ შესრულა თამარას ძიძა პარ- დობრჟანსკაიამ.

ავის ადგილზე გუნდიც. ბალეტი კარ- ცეკვავენ ლეონოვა და ალბერტი ორკესტრი შესრულ ბაში გამოყოფილია ა ლამაზი აკომპანიმენტები.

მუსიკოსი.

— დღეს, ხუთშაბათს 30 ოქტომბერს მიდის პირველად ამ სეზონში ოპერა დელიბასი „ლაკმე". მონაწილეობენ: კოპოვა, ბაბკინა, კულაგინი, ვენაძე, შარაშიძე და სხვა. დირიჟორობს სტოლერმანი. ბალეტი სერგეევის ხელმძღვანელობით და ლეონოვას მონაწილეობით.

— ლატავრა. დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში შანშიაშვილის ორიგინალური პიესა „ლატავრა".

დღეს თეატრებში

— ოპერა. პირველათ „ლაკმე".

— რუსთაველის თეატრი. პრემიერა „ლატავრა".

კინო

— არფასტო „დაკარგული საუნჯენი" მეორე სერია.

— სოლეი. „დაკარგული საუნჯენი" მეორე სერია.

— მინიონ. „არც მეგობარი, არც გაიძვერა".

— პალას. „მაცისტი დასასვენებლათ".

ბიბლიოგრაფია

გოგიბერიძე. „ადამიანის წარმოშობა"

თბილისი, 1924 წ. ფასი 60 კაპ.

საბუნებისმეტყველო ცოდნათა გავრცელებას მშრომელ ხალხში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დროში, როდესაც საუკუნოებით განმტკიცებულ რელიგიურ ცრუმორწმუნეობათა დასანგრევათ დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებს. რელიგიის გამხრწნელ გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა მეცნიერულ ცოდნით შეიარაღებას, დიდ მომზადებას, წინდახედულობას და ხანგრძლივ სისტემატიურ მუშაობას მოითხოვს.

ადამიანის და მთელი [illegible] ბუნების წარმოშობის საკითხის მეცნიერულ გაშუქებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მშრომელთა გათვითცნობიერებისათვის. მხოლოდ მე-19 საუკუნეში ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ჩარლზ დარვინმა და ნაწილობრივ კი იმაზე ადრე ფრანგმა ზოოლოგმა ლამარკმა ახადეს ფარდა ამ საიდუმლოებას, რომლის უკან ამოფარებული თავისუფლად თარეშობდა ყოველი რელიგია და პირველად ყოვლისა კი ქრისტიანობა. დარვინის და მის მიმდევართა კვლევა-ძიების შედეგების სავსებით გადაშლა და ლოღიკურ დასკვნამდე მისვლა მხოლოდ პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ არის შესაძლებელი და ეს შესაძლებლობა სავსებით გამოყენებულ უნდა იქნას.

ქართული ლიტერატურა ამ მხრივ ძალზე მოისუსტებს, თითქმის სრულ სიცარიელეს წარმოადგენს ყოველ ნაბიჯს, ყოველ ცდას ამ ნაკლულევანების დასაძლევათ ჩვენ დიდი სიხარულით უნდა შევხვდეთ, თუ ის ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებლათ არის შესრულებული.

ამხ. გრიგოლ გოგიბერიძის წიგნი „ადამიანის წარმოშობა" სწორედ ასეთ ცდას წარმოადგენს და ის აუცილებლად ღირსია საზოგადოების და პრესის ყურადღების.

გოგიბერიძის წიგნი იწყება წინასიტყვაობით, რომელსაც მიჰყვება შემდეგი თავები: შესავალი, ხალხურ-სარწმუნოებრივი თქმულებები, ბიბლია, მეცნიერთა შეხედულებანი, ლინეის კლასიფიკაცია, ლამარკის ევოლიუციონური თეორია, მეცნიერული წყაროები, ჩარლზ-რობერტ დარვინი და მისი თეორია, ჰექსლი, პალეონტოლოგიური აღმოჩენანი, ჰეკკელის გენეალოგია, მეტყველება, ადამიანის და ცხოველების სულიერ გრძნობათა შედარება და გარჩევა, აღმრიცხველობითი ანუ მათემატიკური ნიჭი და პროფ. კლააჩას თეორია.

წიგნს თანდართული აქვს უცხო სიტყვათა ლექსიკონი, რომელიც დახმარებას უნდა უწევდეს მკითხველს, მაგრამ ზოგიერთი სიტყვების განმარტება არაა სწორი და არამეცნიერული, როგორც, მაგალითად, სიტყვა **რეაქცია**, ან სიტყვა **კულტურულის** ახსნა.

წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს, რომ მან უმთავრესი ყურადღება მიაქცია საკითხის სრულ პოპულიარიზაციას, მაგრამ, სრულებით მიუდგომლად რომ ვსთქვათ ეს მიზანი მიღწეული ვერ არის. წიგნში ვერ არის დაცული აზრთა თანდათანობითი განვითარება და კავშირი, ბევრი ადგილები მეტად ბუნდოვანი და სრულებით გაუგ[illegible] მოუმზადებელი მკითხველისთვის. რაც შეეხება ამხ. გოგიბერიძის შეხედულებებს, ვერ ვიტყვით, რომ მას რაიმე ორიგინალური, საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოსაზრებები ეთქვას. წიგნის მე-7 გვერდზე მოყვანილ სხვადასხვა კუნძულების მცხოვრებთა თქმულებაზე, რომლებიც „ყველა ლაპარაკობს კვერცხზე და ზღვაზე" ავტორი რიხიანათ შენიშნავს: „ჩემის აზრით, კუნძულების შორის ზღვაში ცხოვრების პირობებმა გამოიწვიეს ასეთი შეხედულება ამ საკითხისადმი". არ ითქმის, რომ ეს მაინცდამაინც დიდი აღმოჩენა იყოს! რაც შეეხება ენას, გამოთქმას —ეს ხომ სულ უვარგისია.

ვერც აპარლების და კაჰკაჰის მატემატიკური ნიჭის შედარება (61 გვერდი) იძლევა მაინცდამაინც კარგ მეცნიერულ მაგალითს! არც მატერიალისტური თვალსაზრისია დაცული ამხ. გოგიბერიძის წიგნში. არ არის ნაჩვენები, თუ რა პირობები და გარემოება უწყობდნენ ხელს ადამიანის აზროვნების პროგრესს.

როგორც ნათქვამი იყო, ენა და აზრთა გადმოცემა ავტორისა სრულებით უვარგისია. ხშირად შეხვდებით ასეთ წინადადებებს: „პირველყოფილ სარწმუნოებას არ ჰქონდა დიდი ინტერესი, რათა აკვისუვალი აზროვნებისთვის რომ გზა ეჩვენა" (მე-11 გვ.). ან რას ნიშნავს „ცოდვის შეცმლობა"? (მე-12 გვ.) „ბიბლია დასწერა ჩვეულებრივმა ხალხმა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია ღვთაებრ ძალასთან, მიტომაც არ შეეძლოთ რომ რაიმე დაეწერათ ამერიკის შესახებ". (მე-13). გამოდის, რომ ბიბლიის დამწერნი თუ ღვთაებრივ (და არა ღვთაებრ) ძალასთან დაიჭერდენ კავშირს, მაშინ სულ ჭეშმარიტებას იტყოდენ როგორც ამერიკის, ისე მთელი ქვეყნის შესახებ. არ ვარგა ასეთი ქართული, მით უმეტეს სამეცნიერო წიგნებში. ან კიდევ: „ეს მოა ისეთ უხეირო და არა ჩვეულებრივ ადგილასაა გაჩენილი" (მე-26 გვ.) რას ნიშნავს სიტყვა „უხეირო" ამ შემთხვევაში? ან კიდევ მე-28 გვერდზე „კაპიტანს არ მოეწონა დარვინის ცხვირის მოყვანილობა და უარი განუცხადა მას მოგზაურთა შორის წასვლაზე". ოხუნჯობაა თუ სამეცნიერო ნარკვევია?. გაზეთ „მუშა"-ს 580 ნომერშიც იყო აღნიშნული ამხ. გოგიბერიძის ენის უვარგისობა და შეცდომები და ამიტომ მასზე მეტს აღარ შევჩერდები. ბლომათ არის წიგნში კორექტურული შეცდომებიც, წიგნის გარეგნობაც ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

მაგრამ ყველა ნაკლს შეურიგდებოდით, რომ წიგნს თავისი სათაური გაემართლებინა; სამწუხაროდ, წიგნის ახლო გაცნობის შემდეგ [illegible] ბელი მკითხველი ვერ გამოიტანს ნათელ წარმოდგენას ადამიანის წარმოშობის შესახებ. არის მოყვანილი ხალხური თქმულებები, მეცნიერთა შეხედულებანი, ისიც დაულაგებლათ, გადაუმუშავებლად და თვით საკითხზე კი გარკვეული პასუხი არ არის მიცემული.

ტი პასუხისმგებლობით და მომზადებით უნდა მოვკიდოთ ხელი ასეთი საკითხების გაშუქებას.

ბათომი.

მდგომარეობაში ჩააყენოს თავისი მეგობრები—ქართველი ხალხის უმთავრესი გამცემლები—ჟორდანია-წერეთელ-რენოდელები.

საზღვარ-გარეთის როლის შესახებ ს. დევდარიანი გვთხოვს საბუთებს: ჩვენ მიერ მოყვანილი საბუთები არასაკმარისათ მიაჩნია. ათი ათასი ლირა არ ეყოფა აჯანყებისთვის, რენოდელის წერილი და გაკიცხვა ან ჩხეიძის ლექცია არაფერია, წერეთელის და ჩხენკელის მუსაიფი ერრიო და დუმერგთან არავითარი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეს ხომ აჯანყების მზადება არ არისო. უცნაურ რამეს ბრძანებს სეითი. ასეთ რამეებზე, როგორც აჯანყებაა, ჭკუიანი და სერიოზული ხალხი არ ყვირის, ამას ჩუმათ და საიდუმლოთ აკეთებენ, როგორც რუსები იტყვიან С глазу на глаз. ხოლო მათი დანაშაული არაა, თუ ეს საიდუმლოება ჩეკაში ამოყოფს თავს. ეს ჩეკას თვისებაა—რას იზამ.. და რომ ყველაფერი ეს ფაცი-ფუცი ივნისში იყო და აგვისტოში კი მოხდა გამოსვლები—განა ეს არაფერს მოწმობს? ან და ჟულელი და სხვები ხომ სასეირნოთ ან და გაზაფხულის გასატარებლათ არ ჩამობრძანებულან საქართველოში? ეს ევროპის დავალება იყო, მაინც და მაინც იხმაურებით საქართველოში და დაგეხმარებითო. ნამდვილათ-კი ეს იყო უცხოეთის უდიდესი პროვოკაცია და მოტყუილება. მაკდონალდს საქართველოსთვის არა სცალია და თითქო ისტორიის დაცინვით თვით გახდა დასახმარებელი და დაეცა თავისი ბისკვიტის კაბინეტით (ბისკვიტის ჭამის გუნებაზე ვერ არის!) და ქეთილშობილ ერრიომ კი სრულებით ფურია დავთარი მენშევიკებს და საჩქაროდ იცნო საბჭოთა კავშირი. აი ასეთია დაბოლოება ევროპის „დახმარებისა". აი ახლა გამოვიდენ კიდევ ჩვენი წვრილ-ფეხა მენშევიკები და უთხრან ხალხს, თუ როგორ „გვეხმარება ჩვენ ევროპა"...

ს. დევდარიანი, სტოვებს რა უცხოეთს, უმთავრესს მიზეზს გამოსვლებისას ეძებს ჩვენ შინაურ პოლიტიკაში. ის სწერს: „ის ეროვნული უნდობლობა, რომელიც საშინლათ სტკივა დღეს საქართველოს, გამოწვეულია, როგორც წინეთ მშრომელი მენშევიკური პარტიის, ისე დღეს გამეფებული კომუნისტური პარტიის პოლიტიკით." და შემდეგ: „რაც მოხდა 1921 წელს, რა თქმა უნდა ხელს ვერ შეუწყობდა ამ უნდობლობის გაქარწყლებას". ის კიდეც პირდაპირ ამბობს, რომ ქართველი კომუნისტები დადიან ბუხარინის და არა ლენინის გზით.

კატეგორიულათ ვამტკიცებთ: **ეს არ არის მართალი.** შესაძლოა, ჩვენ შეცდომები გვქონდეს პრაქტიკაში, მაგრამ ჩვენ ვხელმძღვანელობთ და ვმუშაობთ ლენინიზმის გზით ეროვნულ საკითხში. ამხ. ლენინმა ჩვენ დაგვიტოვა ანდერძი: „კავკასიაში შექმენით ისეთი ნაციონალური ზავი, რომელიც შეუძლებელია ბურჟუაზიის წესწყობილების დროს"-ო. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს შევასრულეთ. ამიერ-კავკასიაში აგერ 4 წელიწადია სუფევს მტკიცე ეროვნული ზავი. საქართველოში-კი უკანასკნელ გამოსვლებმა ნათლათ დაგვიმტკიცა, რომ ეროვნულ საკითხს ჩვენ სწორედ კატარებთ, რაზედაც უფრო ვრცლათ ვიტყვით სხვა ადგილას. **და განა აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გლეხობა იარაღით ხელში გამოსული საბჭოთა საქართველოს დასაცავათ ეს [illegible] გამარჯვება არ არის ლენინიზმის ხაზისა ეროვნულ საკითხში?** აშკარაა, რომ ცუდი პოლიტიკა ყოფილიყო—მენშევიკების მზგავსი—ყველა ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდოდა და მართლაც სახიფათო იქნებოდა ჩვენი საქმე... ამაშიც სასტიკად მოტყუვდნენ მენშევიკები...

მაგრამ ს. დევდარიანი უკან იყურება (ეს მენშევიკების ჩვეულებაა, ამას გადაჩვევა უნდა!) და იხსენებს 1921 წ. გადატრიალებას საქართველოში ჯარის შემწეობით, აი აქ იყო შეცდომა, აქ დაიბადა უნდობლობაო [illegible]—თვით ამხ. ლენინს იმოწმებს. ლენინი ამბობდა: „რუსეთის ხალხის რესპუბლიკა სხვა ერებს, ხალხებს უნდა იზიდავდეს არა ძალადატანებით, არამედ მხოლოთ და მხოლოთ ნებაყოფლობითი შეთანხმებით". სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ იმავე დროს სხვა ხალხების რეს[illegible] [illegible] [illegible] [illegible] პუბლიკაა, და [illegible] არ იქცეოდა მენშევიკური საქართველო ან და უფრო სწორედ რომ ვსთქვათ—მისი ჟაიერობა. დაბადებიდან დაწყებული (მაისი 1918 წ.) იყო მოსისხლე მტერი ოქტომბრის რევოლიუციის და საბჭოთა რესპუბლიკისა. აი როგორ ახასიათებს თვით ამხანაგი ლენინი 1918 წ. ივლისში მენშევიკურ „საქმეებს":

„ჩვენ ვიცით, რომ კავკასიაში ჩვენი ამხანაგ-კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო იმიტომ, რომ მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობდენ მენშევიკები, რომლებიც აშკარად იჭერდენ კავშირს გერმანელ იმპერიალისტებთან ვითომდა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად.

თქვენ ყველამ კარგათ იცით, რომ საქართველოს ის დამოუკიდებლობა აშკარა მოტყუილებათ გადაიქცა,—ნამდვილათ კი არის ოკუპაცია და საქართველოს ხელში ჩაგდება გერმანელ იმპერიალისტების მიერ. გერმანულ ხიშტების და მენშევიკური მთავრობის კავშირი ბოლშევიკ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ" (ლენინი ტომი 15, გვ. 293).

მაშასადამე, მენშევიკური მთავრობის კავშირი ჯერ გერმანულ ხიშტებთან, შემდეგ ინგლისელ დაწმენდილ ჩექმებთან, ჯარებთან და მათ ჯორებთან მუშურ-გლეხურ რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1920 წ. მაისში ხელშეკრულებაც დიდი რუსეთისა და საქართველოს შორის, მაგრამ მენშევიკური მთავრობა თავისი სიაძაგლეს მაინც არ იშლიდა და გარდა რუსეთისა გამოდიოდა საბჭოთა აზერბეიჯანის და შემდეგ კი სომხეთის წინააღმდეგ. კვლავ განაგრძობდა მჭიდრო კავშირს ვრანგელთან „რვა მგელთან", (როგორც ერთმა ყოფ. მენშევიკმა თქვა), ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციასთან და იმპერიალისტების ლაქიებთანაც—ასეთია თვით მენშევიკურ ლაქიების ბუნება და თვისება.

აი ასეთი ვერაგულ პოლიტიკას უნდა შევბრძოლებოდით ჩვენ და უპირველეს ყოვლისა ჩვენ ქართველ კომუნისტებს უნდა დაგვესვა და კიდეც დავსვით საკითხი მენშევიკური მთავრობის არსებობის შესახებ. საქართველოს მენშევიკური მთავრობა [illegible] იმპერიალიზმის ნამდვილ [illegible] [illegible] წინააღმდეგ. [illegible] ასეთი იარაღი ჩვენ გზიდან უნდა მოგვეძღვნება. ბრძანოს ახლა ბატონმა დევდარიანმა, რომ ესეც არ არის ლენინის ხაზი. და ჩვენ კი მივმართავთ თვით ამხ. ლენინს. ის ლაპარაკობს: „ჩვენ უნდა უთხრათ სხვა ერებს, რომ ჩვენ ბოლომდი ინტერნაციონალისტები ვართ და მიზნათ ვისახავთ ყველა ერების მუშებისა და გლეხების ნებაყოფლობითი კავშირის შექმნას. ეს სრულიად არ უარყოფს ომებს. ომი, ეს—სხვა საკითხია, რომელიც გამომდინარეობს იმპერიალიზმის ბუნებიდან. თუ ჩვენ ვიბრძვით ვილსონს, ვილსონი კი პატარა ერს აქცევს თავის იარაღათ, ჩვენ ვამბობთ: ჩვენ ვებრძვით ამ იარაღს. ჩვენ არასოდეს ამის საწინააღმდეგო არაფერი გვითქვამს. ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, რომ სოციალისტურ რესპუბლიკას შეუძლია არსებობა შეიარაღებული ძალის უქონლად. ზოგიერთ პირობებში ომი შესაძლებელია აუცილებელი გახდეს".. (ლენინი. ტომი მე-15 გვერდი 235).

მაშასადამე, მარქსიზმის და ლენინიზმის შეხედულებით, თუ პატარა ხალხის პატარა მთავრობა მებრძოლ იმპერიალიზმის იარაღად გადაიქცევა, ამისთანა მთავრობა უნდა ჩამოაბრძანო ძირს და ძალა-უფლება გადასცე მშრომელ ხალხს,—ეს არ ავნებს არც ეროვნულ საკითხს, არც რევოლიუციას. დევდარიანიზმის აზრით-კი გამოდის, რომ ასეთი უბადრუკი მთავრობა, როგორიც იყო მისი ყოფილი მეგობარის—ნ. ჟორდანიას მთავრობა, მუდამ ჟამს უნდა არსებულიყო. ამაში, უკაცრავად, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ დავეთანხმებით პატივცემულ სეითს, და ნურც ამხ. ლენინს იმოწმებს მისი გარკვეული აზრი აქ მოყვანილია. ერთს—კი ვურჩევთ დევდარიანს: ლენინის ერთი წიგნს რომ გადაავლებს თვალს, მეორეშიც ჩაიხედოს, თორემ არ ივარგებს...

რაც შეეხება იმას, ვითომ ახლა ქართველი ელემენტი იწმინდება და ირეკება სხვადასხვა ადგილებიდან და სხვა ობივატელურ ხმებს და წუწუნის შესახებ შემდეგ ვიტყვით.

მიხ. კახიანი.

წერილები პროვინციიდან

როგორ მუშაობს საჯევახოს კოოპერატივი

სადგურ საჯევახოში არსებობს მთელიანი მომხმარებელი საზოგადოება, რომელსაც მრავალ განყოფილებები აქვს. მის სამოქმედო ასპარეზის მცხოვრებთა რიცხვი დიდია. წინად ეს კოოპერატივი, მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა სცდილობდა გაემაგრებია ის, ვერ იდგა დანიშნულების სიმაღლეზე, ვერ უწევდა გლეხობას იმ დახმარებას, რომელსაც უკანასკნელი საჭიროებდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საჯევახოს რაიონშიც, ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გაჩაღდა აღმშენებლობითი მუშაობა. მთავრობის დახმარებით სული მოითქვა ჩვენმა კოოპერატივმაც. გლეხობის უსაჭიროეს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, მან კვლავ მოიპოვა მცხოვრებთა ნდობა და ახლა საკმაოდ მომაგრებული და გაფართოებული ღირსეულად ასრულებს ჩვენი კუთხის ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურების ამოცანას.

მომხმარებელმა საზოგადოებამ გახსნა საავადმყოფო, მოიწვია ექიმები, ზოგ სოფლებში მოაწყო კრამიტის და ზოგან აგურის ქარხანა, ეხმარება სოფლებს გზების შეკეთებაში.

მშრომელი გლეხობა აღფრთოვანებულია ჩვენი კოოპერატივის ასეთი მუშაობით.

ახალგაზრდა მუშა მ. ყანია.

ახალი საკრედიტო ამხანაგობა

დ. ზანა (სენაკის მაზრა)

ამა წლის 3 აგვისტოს მოხდა დამფუძნებელი კრება ზანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობისა. დაესწრო 45 მეურნე, რომელნიც ერთხმად ჩაეწერენ ამხანაგობის წევრებად და გამოსთქვეს დიდი სიხარული ამ საქმის გამო. გადაწყდა საწევრო ერთი მანეთისა და საპაიო ხუთი მანეთის შემოტანა თითეული წევრისაგან. არჩეულ იქნა გამგეობა. მაგრამ სესხი, რომელიც ინსტრუქტორის განცხადებით მოუვა ამ დღეებში ამხანაგობას, სამი ათასი მანეთის რაოდენობით, სრულიად არ არის საკმარისი, რომ დააკმაყოფილოს მოთხოვნილება, რადგან რაიონის ყველა მეურნე შევა ამხანაგობის წევრად და აბა ვის უნდა გაუყონ სამი ათასი მანეთი. აუცილებლად საჭიროა სესხისათვის განზრახული თანხის გადიდება.

ბ. უჩაჰეიშვილი.

მარტვილის რაიონი (სენაკის მაზრა)

მარტვილის რაიონი დაშორებულია ქ. სენაკს 40 ვერსით. სწავლა-განათლების მხრივ ეს რაიონი ჩამორჩენილი იყო, მაგრამ ახლა თანდათან ვრცელდება და სწავლა-განათლებით დაინტერესებულია ხალხი. დ. მარტვილში არსებობს ცხრაწლედი, ხოლო თემებში ყველგან ოთხწლიანი სკოლები. რაიაღმასკომი ფოსტა-ტელეგრაფი, სასამართლო, გამომძიებელი და გლეხკომი აქვეა მოთავსებული.

აქვე არის პატარა ლამაზად გაშენებული ბაღი. შიგ სდგას ახლად გაკეთებული ს. გეგეჭკორის სახელობის კლუბი. რაიაღმასკომმა უკანასკნელ ხანში შეიძინა საკუთარი სამუსიკო იარაღები.

წელს მოსავალი ამ რაიონში საშუალოა მოწევა უკვე მოთავებულია.

უ.—ა.

საჯევახოს საავადმყოფო

გამოჩინებულის თემი კარგა მოზრდილი თემია ქუთაისის მაზრაში. ამ თემში შედის ათიოდე სოფელი და მოსახლეობა 1450 კომლისაგან.

ცენტრად ითვლება სადგური საჯევახო, სადაც მოთავსებულია ყველა ადმინისტრატიული და კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი.

აქვე არის სადგურთან მაღალ გორაზე მშვენივრად აშენებული საავადმყოფოც ათი საწოლით, მუდმივი ექიმით და მოსამსახურეთა პერსონალით. ეს საავადმყოფო ერთი წელი რაც გახსნილია გამოჩინებულის თემის აღმასკომის მეცადინეობით, მაგრამ მიუხედავად ამისა, 1-ლი იანვრიდან 1-ლ ოქტომბრამდე მასში გაუვლია 117 ავადმყოფს.

ავადმყოფთა შორის უმეტესი ნაწილი დაზღვეულები ყოფილა და უფრო კი მათი ოჯახის წევრები. ამ საავადმყოფოს მუდმივ მზრუნველად ითვლება საჯევახოს ახალგაზრდა ექიმი ამხ. ნიკურაძე, რომელიც სამშაბათისა და პარასკევის გარდა, დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე საავადმყოფოში ღებულობს მასთან შორეულ სოფლებიდან მოსულ ავადმყოფებს, ან და სოფლებისაკენ მიეშურება, სადაც კი გამოუძახებენ.

ეს საავადმყოფო დიდ შეღავათს აძლევს გამოჩინებულის თემის მცხოვრებს საექიმო დახმარებაში, მხოლოდ საჭიროა ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ ამ საავადმყოფოს მიექცეს მეტი ყურადღება და მისი მდგომარეობა-მოწყობა უკეთესად მოეწყოს: საავადმყოფოს ბევრი რამ აკლია, განსაკუთრებით თეთრეულობა, რკინის საწოლები ცოტაა, ავადმყოფნი იძულებული არიან თავიანთი ქვეშაგები მოიტანონ შინიდან, რაც ჰქმნის არა ჰიგიენურ მდგომარეობას, აგრეთვე თავიანთ ტანისამოსებში ატარებენ დროს საავადმყოფოში, რაც ყოვლად მიუღებლად უნდა ჩაითვალოს; საჭიროა აუცილებლად ხალათები ავადმყოფთათვის; ამას უნდა მიაქციოს ყურადღება აგრეთვე წითელმა ჯვარმა და გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ამ საავადმყოფოს დასათვალიერებლად და მის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

სადგურ საჯევახოში არსებობს აგრეთვე აფთიაქიც, სადაც ზოგიერთის გამოკლებით ყველა წამლები იშოვება მხოლოდ ფასით, დაზღვეულებს კი წამალს უფასოდ სამტრედიაში აძლევენ, რისთვისაც ავადმყოფის პირისუფალმა სამტრედიის დამზღვევ კასას უნდა მიმართოს.

მუშა უ. ჯაში.

ყურადღება უნდა მიექცეს

(ლეჩხუმის მაზრაღმასკომის საყურადღებოდ)

ლეჩხუმის მაზრის ყველა რაიონები თავის გეოგრაფიული მდებარეობით ძლიერ დაცილებული არიან ერთი მეორედან, მაგრამ თითქმის ყველა რაიონებში მოწყობილია: ფოსტა-ტელეგრაფი, საექიმო პუნქტები, აფთიაქები, კოოპერატივები და სხვა, ხოლო ლვირიშ-ნაკურალეშის რაიონი რამდენიმე ვერსის მანძილით არის დაშორებული ამ დაწესებულებებს.

ლვირიშ-ნაკურალეშის რაიონის მცხოვრები ზემოდ დასახელებულ დაწესებულებებს ვერ სწვდებიან განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში და ცუდი ამინდების დროს.

ადგილობრივი მცხოვრებლები საექიმო დახმარების მხრივ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან. როდესაც ვინმე ავად გახდება, პირისუფალს თუ საკუთარი ცხენი არ ჰყავს ისე ექიმს ვერ მოიყვანს, ვინაიდან ექიმი შორეულ მანძილიდან, და ისედაც საძაგელი გზით ფეხით ვერ წამოვა. ავადმყოფს პირისუფალი იძულებულია მიმართოს ადგილობრივ სოფლის ექიმბაშებს, რომლებსაც რა თქმა უნდა ექიმობის არაფერი არ გაეგებათ, მისცემენ ავადმყოფს რაღაც ბალახის ნახარშს და ამით სიცოცხლეს ასალმებენ ადამიანს.

ფოსტა-ტელეგრაფის მხრითაც იგივე მდგომარეობა იქმნება, ძლიერ საჩქარო დეპეშა რომ იყოს, ადგილობრივი მცხოვრები ორი კვირის შემდეგ მიიღებს. რაც შეეხება სასწავლებლებს სოფ. ნაკურალეშში გახსნილია შვიდ წლიანი შრომის სკოლა. შენობა სრულიად შეუფერებელია სასწავლებლისათვის, სხვა სოფლებში ზოგან არის ოთხ-წლიანი შრომის სკოლა, ზოგან კი სრულიად არა და ძალიან შორეულ მანძილზე დადიან პატარა ბავშვები სასწავლებელში მაგალითად სოფ. ზედა-ლვირიშს მენშევიკების დროს დაიწვა სკოლა და ახლა ბავშვებს უხდებათ 3—4 ვერსის მანძილზედ სოფ. ნაკურალეშში სიარული. ბავშვებმა ზამთარში ისეთი ქარ-ბუქიანი გორაკები უნდა გადაიარონ, რომ წარმოუდგენელია. რაღა უნდა ისწავლოს ამის შემდეგ შვიდი წლის ბავშვმა.

სამაზრო აღმასკომმა შეძლებისდაგვარად უნდა მიაქციოს ზემოდასახელებულ დეფექტებს ჯეროვანი ყურადღება.

გულშემატკივარი.

„კომუნისტი"-ს კანტორისაგან

პროვინციელ სხვადასხვა ორგანიზაციების და კერძო პირთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ განცხადებები მოწმობების დაკარგვის (და აგრეთვე სხვა ხასიათისაც)

უფასოდ არ დაიბეჭდება!

ქუთაისის პედაგოგიური ტეხნიკუმი

(განათლ. სახ. კომისარიატის საყურადღებოთ)

გასულ 1923 წლის სექტემბრიდან სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებით ქუთაისში დაარსებულ იქნა პედაგოგიური ტეხნიკუმი, რომლის მსმენელებს უნდა მისცემოდათ სტიპენდიები. ამ ტეხნიკუმის მიზანს შეადგენს ახალი მასწავლებლების კადრის შექმნა. ამ ტეხნიკუმებში თავი მოიყარა უმთავრესად ღარიბ წრიდან გამოსულმა სტუდენტობამ, რომლებსაც ქონდათ წყურვილი უმაღლეს სწავლის მიღებისა. მათში არიან შორეულ პროვინციებიდან ჩამოსული მსმენელები, კომკავშირისა და კომპარტიის წევრები.

გავიდა პირველი სამოსწავლო წელი და მსმენელებს არავითარი სტიპენდია და არც ერთდროული დახმარება არ მიუღია. რამდენჯერმე იქნა მსმენელების მიერ აღძრული შუამდგომლობა გაზეთის საშუალებით განათლების კომისარიატის წინაშე, მაგრამ არავითარი გადამჭრელი პასუხი არ მიგვიღია.

იმედია განათლების კომისარიატი მოგვაქცევს ყურადღებას და რადგან სტიპენდიების გაცემა შეწყვეტილია, ერთდროულ დახმარებას აღმოგვიჩენს, რათა სახელმძღვანელოების შეძენა მაინც მოახერხონ მსმენელებმა.

მსმენელი.

ჩვენ გვესაჭიროება ბაქანი

სადგურ გომსა და აგარას შუა არის მრავალი სოფლები, რომლებსაც უხდებათ დიდი გზის გავლა აღნიშნულ სადგურებამდი. ეს სოფლები არიან: მოხისი, ახალსოფელი, შაქშაქეთი, ბერძნაული, ფცა, აბისი, ავლევი, თამარაშენი, ცხრინისი და სხვა მრავალი. ზემოაღნიშნული სოფლის გლეხები ითხოვენ გაუკეთონ მათ პატარა ბაქანი. ეს ტეხნიკურადაც შესაძლებელია, რადგან გომსა და აგარას შუა მანძილი საკმაოდ დიდია. ასეთი ბაქანი დიდ სარგებლობას მოუტანს რკინის გზასაც და ჩვენ მიწის მუშებსა და გლეხებსაც. იმედია მოძრაობის უფროსი მიაქცევს ყურადღებას გლეხების თხოვნას.

მუშა ლ. ნ.

წარმოდგენები ხალხისათვის მისაწვდომი უნდა იყოს

სად. ქარელი

სად. ქარელში ყოველ კვირა იმართება წარმოდგენები. ეს, რა საკვირველია, კარგია, ხელს უწყობს ხალხის კულტურულად დაწინაურებას. მხოლოთ უბედურება ის არის, რომ ბილეთები ძლიერ ძვირია (სამ მანეთამდე) და თუ არ იყიდი ძალით გაგირიან ხელში. (ბილეთები ხელით იყიდება). ყველამ კარგათ იცის სალარო და წარმოდგენაზე თუ დასწრება უნდა წავა და იქ იყიდის, ან რა საჭიროა ძალით თავზე მოხვევა.

ქარელში წარმოდგენების მომწყობმა კომისიამ თუ მას სურს ხალხს დახმარება აღმოუჩინოს, კულტურულ გასართობი მისცეს, ფასებს უნდა დაუკლოს ბილეთებზე, თორემ წარმოდგენის დღეს კაცი გარეთ ვერ გამოსულა, სამი მანეთით არ დამაჯარიმონო.

მუშა [illegible]

სახალხო სახლს დამთავრება უნდა

ქვიანი (გურია)

აქ თითქმის ექვსამე წელია რაც დაიწყო სახალხო სახლის აშენება, მაგრამ სამწუხაროთ საქმე კარგად ვერ არის დაყენებული. უამრავი ქონება და მშრომელი ხალხის ნაშრომი იღუპება. ის მთელი ზაფხული წვიმაში ეყარა და ზამთარშიც ასე იქნება დატოვებული. დრო მიექცეს ამას ყურადღება სანამ ჯერ სულ არ გაფუჭებულა.

ქვიანის სახალხო სახლის შეფობა აიღო ლანჩხუთის „ეპომ", მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერ დახმარებას გვიწევთ. შეფობა მარტო სიტყვით როდია საქმე.

გ. ქვიანელი.

კულტურული მუშაობა და საბჭოთა აღმშენებლობა ნიგოითის თემში

გურია

ნიგოითის თემს გამოცოცხლება ეტყობა, გლეხის ნაწარმოებს ფასი დაედვა. ნიგოითში ეხლა კვირაობით დიდი ბაზრობა იმართება.

სწავლა განათლების საქმე კარგადაა დაყენებული. არსებობს შრომის სკოლები ნიგოითის თემის შემდეგ სოფლებში: ქვიანში, ჰყონაგორაში, ჰოლობარგში და თვით ნიგოითში, აგრეთვე აქ არსებობს ერთი შვიდწლედიც. პედაგოგების შემადგენლობაც შესაფერისია.

მხოლოდ აღსანიშნავია ერთი რამ: ქოხ სამკითხველოების საქმე ვერ დგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. არ მოდის არც ერთი გაზეთი, ხალხმა არ იცის თუ რა ხდება მის გარშემო. სამკითხველოს წიგნები გაბნეულია.

ნიგოითის თემში გაკეთებულია შარა გზები.

კოოპერატივები, კარგათაა მოწყობილი. საქონელი შედარებით შეღავათიან ფასებში იყიდება.

ქვიანში დაწყებულია სახალხო სახლი, რომელიც ჯერაც დაუმთავრებელია. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

გ. ქ.

გლეხობა ილტვის სწავლა-განათლებისაკენ

სოფელი ალისუბანი

ჩხარის რაიონი (შორაპნის მაზრა)

20 ოქტომბერს რაიონულ აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. ფანჩულიძის ინიციატივით შესდგა მრავალრიცხოვანი კრება, რომელსაც დაესწრო ამავე რაიონის პარტკომის პ. მდივანი ამხ. კ. მუჯირი.

მშრომელთა გლეხობამ ერთხმად მოითხოვა: „რათაც არ დაგვიჯდეს, სასწავლებელი შევაკეთოთო". ხელისუფლების წარმომადგენლებმა დახმარება აღუთქვეს. გლეხობამ აირჩია სასწავლებლის შემკეთებელი კომისია

ალისუბნელი გლეხი.

პროვინციის ქრონიკა

— **ფოსტა სოფლად.** სოფ. ახალსოფელში (თელავის მაზრა) გაიხსნა ახალი საფოსტო განყოფილება.

— **დახმარება მოუსავლიანობით დაზარალებულებს.** მოუსავლიანობის შედეგებთან საბრძოლველათ გადაცემული 45,000 მანეთიდან სიღნაღის აღმასკომმა გაანაწილა სხვადასხვა თემებს შორის 40.000 მან., ხოლო 5000 მან. გადასდო შემთხვევით გამორჩენილ დაზარალებულთა დასახმარებლათ.

— **ინვალიდების არტელი.** შორაპნის მაზრის დასახიჩრებულთა კავშირმა გადასწყვიტა ზესტაფონში დაარსოს ინვალიდთა არტელი.

— **სოფ. დვაბზოს** (გურია) გლეხკომმა ადგილობრივ გახსნა კოოპერატივი.

— **სახნავი მანქანა.** ლიუქსემბურგის გერმანელების ახალშენის გლეხკომმა გადასწყვიტა შეიძინოს მექანიკური სახნავი მანქანა (ტრაქტორი).

— **გლეხკომები და თესვის კამპანია.** გომის სარაიონო გლეხკომმა (გორის მაზრა) თავის კუთვნილ სახნავი ადგილიდან უკვე დათესა 100 დესეტინა მიწა, დარჩა 60 დესეტინა.

— **სკოლის მოწყობა.** სოფ. ბლის (გორის მაზრა) გლეხკომმა ადგილობრივი სკოლა მოაწყო თავის ხარჯით.

— სიღნაღის აღმასკომმა გადასდო ახალშენების საჭიროებისათვის [illegible] მანეთი.

— **სკოლა სოფლათ.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა სოფ. ბუგეულში (ქვემო-რაჭა) ხიდთან ააგოს სკოლის შენობა.

— **მეფუტკრეობა ქიზიყში.** სიღნაღის აღმასკომის დადგენილებით მეფუტკრეთა ამხ. „თაფლის წყაროს" მიეცა ფუტკრის საზამთრო ბინისათვის სამი დესეტ. მიწა სოფ. ვაქირში.

— **სამი თვის განმავლობაში,** გორის მაზრაში აღრიცხულია 1352 დაბადება, 519 გარდაცვალება და 162 ქორწინება.

— **გლეხკომების მუშაობა.** ოზურგეთის რაიგლეხკომმა გახსნა ოზურგეთში ფურნე და განზრახული აქვს მოაწყოს სამჭედლო და სხ. სახელოსნოები.

— **კოოპერატიული სასადილო გახსნა.** ამხ. უ. ჯაში გვაცნობებს, რომ სადგურ საჯევახოში ოქტომბრის შუა რიცხვებში გაიხსნა კოოპერატიული სასადილო. ადგილობრივ კოოპერატივს აქვს აგრეთვე თავისი საკუთარი პურის საცხობი, სადაც პურს ჰყიდიან 9 კაპ. გირვანქას და ხარისხითაც კარგია.

— **სოფ. საჭილავო.** (სამტრედიის რაიონი). ამ სოფელში ამხ. ლ. კანდელაკის ცნობით, არსებობს შრ. სკოლა, სამკითხველო და მუშათა კლუბი. კლუბთან არის დრამატ. წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს [illegible] ვლ. გვიშიანი. წრეში არის 4 ქალი და 13 კაცი.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგს: მოქალ. თ. ჩიქვანიამ და დ. კასრაძემ განიზრახეს გამოცემა ჩემი შრომისა „ქართული ლიტერატურის ისტორია“, რისთვისაც გაუმართნიათ წინასწარი ხელისმოწერა. ხელისმომწერთაგან მე ხშირად მომდის შეკითხვები: როდის გამოვა წიგნი და რა პირობებში აქვნებიან ისინი დაკმაყოფილებულნი. ამით ვაცხადებ, რომ არავითარი კავშირი გამოცემის საქმესთან მე არა მაქვს და ამიტომ არც პირობები ვიცი მისი; შემიძლია ვაუწყო დაინტერესებულ პირთ მხოლოდ ის, რომ დასაბეჭდად განმზადებული შრომა უკვე ჩაბარებული აქვთ გამომცემლებს და მეორე ტომის პირველი ნახევარი უკვე დაბეჭდილია.

პატივისცემით პროფ.

კ. კეკელიძე.

29 ოქტ. 1924 წ.

ჩვენი ფოსტა

წადვერის ალმასკომს. თქვენ მიერ გამოწერილი ათი ცალი „კომუნისტი“-ს ფული, კანტორამ მიიღო მხოლოდ 26 ოქტომბერს. ამიტომ გაზეთები გამოგეგზავნებათ პირველ ნოემბრიდან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 134.

ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატისა 1924 წლის ოქტომბრის 21.

თანამშრომელთა სიის გაფართოების შესახებ, რომელზედაც მუშა-მოსამსახურენი შრომის ბირჟაზე შემდგომი რეგისტრაციაში გატარებით დაიშვებიან.

ა|კ. შრ. სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წლის 13 მარტის თარიღით და 39 №-ით („ა|კ. შრ. სახ. კომ. უწყებები“ № 3—4—23 წ.) და 1924 წლ. 5 აპრილის თარიღით და 90 №-ით („ა|კ. შრ. სახ. კომ. უწყებები“ № 8—24 წ.) გამოცემულ დადგენილებათა დასამატებლად, ა|კ. შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა:

1. ყველა წარმოება-დაწესებულებას და მეურნეობას, როგორც სახელმწიფოს და საზოგადოს, ისე კერძოსაც მიეცეს უფლება შრომის ბირჟის გარეშე კვალიფიციურ მოსამსახურეთა დაქირავებისა სავალდებულო შემდგომი რეგისტრაციით ყველა თანამდებობებზე, გარდა შემდეგისა, რომელზედაც დაქირავება შრ. ბირჟების საშუალებით ხდება ჩვეულებრივი წესით, სანამ მოეწყობოდეს დაქირავების საშუამავლო ბიუროები, მ-2-ე ხარ სხის საქმის მწარმოებლები, 2 ხარ. არქივარიუსები, რეგისტრატორები, ჟურნალისტები, გადამწერნი, 2 ხარ მემანქანე-ქალები, მეროტატორნი და შაპიროგრაფზე მომუშავენი, ეკსპედიტორები, ტელეფონისტები მეტაბელენი, [illegible], 2 ხარ. მოანგარიშენი, კონტორის [illegible], ამწონნი, საქონლის ჩამიუთვლელნი, [illegible] ბიჭები საწყობებში, შიკრიკები, [illegible] და შვეიცრები.

2. შრომის [illegible] შემდგომი რეგისტრაციით მოსამსახურეთა დაქირავება ხდება იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია ა|კ. შრ. სახ. კომისარიატის მიერ 1923 წ. 13 მარტის თარიღით და 39 №-ით გამოცემულ დადგენილებასთან დართულ შრ. სახ. კომ. [illegible] ს. რ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს 1923 წ. 19 [illegible]

ა|კ. შრ. სახ. კომისარიატის ინსტრუქციაში შემდგომი რეგისტრაციის წარმოების და ვადების შესახებ იმ პირთა, რომელთაც ეხება ა|კ. შრ. სახ. კომ. ზემოთმოყვანილი დადგენილებები, რომელიც (ინსტრუქცია) დამატებით იქნება გამოცემული.

ა|კ. შრ. სახ. კომისრის მოადგილე
იაშვილი.

შრომის ბაზრის განყ. გამგე
გრიგორიანი.

განმარტება

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის.

1924 წლ. ოქტომბრის

„სპეც-განაკვეთების მიმღებ პირებთან დადებული ინდივიდუალურ და ჯგუფობრივ შეთანხმებათა რეგისტრაციის შესახებ“

თანახმად ა|კ. ს. ფ. ს. რ. შრ. სახ. კომისარიატის მიერ 26 აპრილ. 24 წლის თარიღით გამოცემულ ინსტრუქციისა, ს. ს. ს. რ შრომის სახალხო კომისარიატი ამით განმარტავს:

1. ყველა წარმოება-დაწესებულება ვალდებულია დასდოს იმ პირებთან, რომელნიც სპეც-განაკვეთებს იღებენ, ჯგუფობრივი ან ინდივიდუალური შეთანხმებები.

2. შეთანხმებანი მხარეთა მიერ ხელის მოწერიდან 7 დღის ვადის განმავლობაში, ასეთები უნდა გადაიგზავნოს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებში რეგისტრაციისთვის.

3. სპეციალისტებთან დადებული ინდივიდუალური ან ჯგუფობრივი შეთანხმებები არ ჩაითვლება კანონიერად, უკეთუ ისინი გატარებული არ არიან შრ. სახ. კომ ორგანოების რეგისტრაციაში. არ ჩაითვლება აგრეთვე კანონიერად შეთანხმებები დაწესებულ ნორმის გარეშე ჯამაგირის გაცემა.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი
მიქაძე.

[illegible] განყ. გამგე
[illegible]

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

კრებები

— 31 ოქტომბერს მოწვეულია ლენინის სახელობის ნორჩ პიონერების ბავშვთა კომორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს გაფართოებული პლენუმი სამაზრო საბჭოების თავმჯდომარეებთან ერთად.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. ინფორმაციული მოხსენება ამიერ-კავ. ლენ. სახ. ბავ. კომ. ორგ. ბიუროსი 2. საქ. ლენ. სახ. ბ. კ. ორგ. ცენტრალური საბჭოს ანგარიში. 3. მოხსენებები ადგილებიდან. 4. მომავალი მუშაობა სოციალური აღზრდის დარგში. 5. მუშაობა სოფლად. 6. ორგანიზაციული სტრუქტურა. 7. ბ. კ. ო. რესპუბლიკანური კურსების შესახებ. 8. მიმდინარე კითხვები.

ლენინის სახ. ნორჩ პიონერების ბავშვთა კომ. ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო.

— ხუთშაბათს 30 ოქტომბერს ა|წ. საღამოს სრულ 8 საათზე, ლენინის რაიკომის შენობაში შესდგება ორგანიზატორ ქალთა კრება. გამოცხადება ლენინის რაიონის ორგანიზატორ ყველა ქალების აუცილებელია.

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე ბიბინეიშვილი.

— ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, საღ. 6 საათზე, ს. კ. პ. ც. კ—ტის საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილ. **დანიშნულია საქართველოს რემედსას-ის ცეკას პრეზიდიუმის სხდომა,** რომელსაც უნდა დაესწრონ: ჩოდრიშვილი, კვირიკაძე, ესსენი, ორახელაშვილი მარ., კოსტანიანი, მუშიშვილი, რუხაძე არჩ., ჭელიძე, პოპოვი, ზაკსი და ვგურქოვი.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1. პრეზიდიუმის ბიუროს ოქმების დამტკიცება. 2. რემედსას-ის საორგანიზაციო გეგმა და კონკრეტიული ამოცანები, 3. დებულება რემედსას-ის უჯრედების შესახებ. 4. რემედსას-ის კვირეული. 5 მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმი.

— შაბათს 1 ნოემბ., ცენტრალურ პარტიულ კლუბში კინო „სურამის ციხე“ საქართველოს სახელმწიფო კინო მრეწველობის სურათი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კომუნისტების ოჯახების წევრთათვის შესვლა თავისუფალია.

— კვირას, 2 ნოემბერს ცენტრალურ პარტიულ კლუბში **ამხ. რუბენის მოხსენება „ჩვენი ტაქტიკა მენშევიზმთან ბრძოლაში“.**

მოხსენების შემდეგ კამათი. შესვლა მხოლოდ და მხოლოდ პარტიულ ბილეთებით.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

კლუბის გამგეობა.

ცენტრალურ პარტიულ კლუბში

ეწყობა

ანტირელიგიურ პროპაგანდის წრე. ხელმძღვანელი ამხ. მედვედევი.

წრის წევრებად მიიღებიან პარტიის წევრები და ახალგაზრდათა კომკავშირის აქტივი.

წრის პროგრამა:

ა) რელიგიის ისტორია. ბ) პარტია და რელიგია. გ) ანტირელიგიურ პროპაგანდის მეთოდები.

პირველი საორგანიზაციო კრება დანიშნულია ხუთშაბათს 6 ნოემბერს საღამოს 7 საათზე კლუბის შენობაში.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ განყოფილებაში ორი დღის განმავლობაში დილის 10 2 საათამდე. პეტროსიანი მისაკ, ტერ-სტეპანოვი არტემ, მთვარელიძე დიმიტრი, მამულოვი რაფაელი, რასულ ზადე—დავიდ.

ხსენებული ამხანაგები უნდა გამოცხადდენ ამხ. კომჯაიანთან.

ამხანაგების მობილიზაცია

— **ს. კ. პ. ცეკას საგიტ. საპროპაგანდო განყოფილება** სთხოვს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ს. კ. პ. ცეკას საგიტ. საპროპაგანდო განყოფილებაში ა. წ 5 ნოემბერს მანდატების და ინსტრუქციების მისაღებათ, მათ ევალებათ მაზრებში 7 წლის თავის ოქტომბრის რევოლიუციის კამპანიების ჩატარება.

1. გეგეჭკორი ს.—გორი, 2, დუმბაძე ლადო—დუშეთი, 3 რასულ-ზადე—ბორჩალო, 4. ლეჟავა შამშე—ლეჩხუმი. 5. კიკნაძე ნიკო—ქუთაისი. 6 თოდრია ს.—ოზურგეთი, 7 რუბენ—ბათომი, 8. ვაშაძე გალაქტიონ—თელავი, 9. რუხაძე არჩილ—ქვიათურა, 10. ოკუჯავა ნიკოლოზი—სიღნაღი, 11. ხასან-საბრი—ახალციხე, 12. სულტან-ოღლი—ახალქალაქი, 13. ნუცუბიძე გალაქტიონ—სენაკი, 14. გ რძელი—ფოთი 15. ცინცაძე ვანო—ზუგდიდი.

ს. კ. პ. ცეკას საგიტ. საპროპაგანდო განყოფილება.

პროფესიული

განყ. მუშაკთა სახლში

— პარასკევს 31 ოქტომბ. საღ. 6 ნახ. ს დაიწყება მუშაობა მასწავლებელთა პოლიტიკური გადამზადების კურსებზე. მუშაობა იწარმოებს ქართულ, რუსულ და თურქულ ენებზე. თურქულ ენაზე მუშაობა იქნება ხუთშაბათობით, საღ. 6 საათზე. რუსულ [illegible] დაიწყება 31 ოქტომბ. ამხ. სპირ[illegible] ლექციით პოლიტიკურ ეკონომიაში. ქართულ ჯგუფებზე მუშაობა [illegible] ხანში დაიწყება.

— ხუთშაბათს, 30 ოქტომბ. საღ. 7 ს. [illegible] 1. ამხ. გოგუაძის მოხსენება [illegible]

ბანკი

საბჭ. კავშირის საგარეო ვაჭრობისათვის

„რუსეთის კომერციული ბანკი“ თბილისის განყოფილება

„როსკომბანკ“

კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორის-მელიქოვის) № 5 (მეორე სართული, ყოფ. თბილისის სათავადაზნაურო სადგილ-მამულო ბანკი)

იხსნება 1924 წ. 1 ნოემბერს

ბანკი ფინანსიურ დახმარებას აძლევს საგარეო (საექსპორტო და საიმპორტო) და საშინაო ვაჭრობას და აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს:

1. ვექსილების და ვალების ვალდებულებათა აღრიცხვა.
2. სესხის გაცემა: ა) საქონლისა და საქონლის დოკუმენტების გირაოს ქვეშ. ბ) ფასიანი ქაღალდების, უცხოეთის ვალიუტის, ძვირფასი ლითონების, ტრატტების და დევიზების გირაოს ქვეშ.
3. ყიდვა და გაყიდვა, დავალების თანახმად, საქონლისა და სხვა ნივთებისა.
4. ყიდვა და გაყიდვა ბანკის ხარჯზე ფასიანი ქაღალდებისა, უცხოეთის ვალიუტისა, ტრატტებისა, დევიზებისა და ძვირფასი ნივთებისა.
5. ფულის გადაგზავნა და კრედიტივები საბჭოთა კავშირის ქალაქებში და საზღვარგარეთ.
6. საკომისიო ოპერაციები ვექსელების, ვალდებულებების, უცხოეთის ტრატტების, საქონლის და ყოველგვარ სხვა დოკუმენტების და ძვირფასი ნივთების გამოსყიდვაში.
7. ანგარიშების გასწორება რუსეთში და საზღვარგარეთ მესამე პირების ანდა დაწესებულებების ხარჯზე.
8. ფულების მიღება და გაცემა ანაბარებზე და მიმდინარე ანგარიშებზე.
9. ნივთების მიღება შესანახავად, და აგრეთვე წესდებით ნებადართული სხვა საბანკო ოპერაციები.

ნ. 109 3—1

საქართველოს

პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების ცენტრალური

— მაღაზია —

შოთა რუსთაველის პროსპ. № 22

სასწავლო სეზონისათვის დამზადებულია

დიდძალი სასწავლო წიგნები ყველა ენაზე

სასწავლო ნივთები და საკანცელარიო საგნები

კომ-სამკითხველოებისათვის საგანგებო ბიბლიოთეკა 160 წიგნიდან როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე 40 მანეთის ღირებულებით.

მაზრებს შეუძლიანთ დაიკვეთონ წიგნები

25 პროც. წინდაწინ გადახდით

დანარჩენის გადახდა შეიძლება

12 თვის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად

განყოფილება

სადგურისა და გოგოლის ქუჩის კუთხეში

ნ № 85—3—3

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 30 ოქტომბერს

„ლაკმე“

ხვალ, 31 ოქტომბერს

„პიკის ქალი“

შაბათს, 1 ნოემბერს

„ტოსკა“

3—1 ნ. № 110

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს

პრემიერა „ლატავრა“

შაბათს, 1 ნოემბერს

„მათრახის პანაშვიდი“

კვირას, 2 ნოემბერს

„მალშტრემ“

6—3 ნ. № 104

პროფესორი

ყივოტოვსკი

აძლევს ქართულ და რუსულ

სტენოგრაფიის გაკვეთილებს

[illegible] როგორც ცალკე, ისე ჯგუფობრივ, ცნობების მიღება ყოველ [illegible] დილის 10—12 საათამდე და საღამოს 2—5-დე. პლეხანოვის პრ. 7ქ

ქ № 2517—3—3

„რევოლიუციის მატიანე“

ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“ №№ 4—5 (9—10) გამოვიდა და ამ დღეებში დაურიგდება ხელის მომწერლებს

შინაარსი: 1) პირველი რევოლიუციის 20 წლის თავისთვის (მაზრკომების და ოლქკომების ცირკულიარული წერილი). 2) ს. თალაკვაძე—1905 წელი. 3) 1905 წელი ჩვენში (ცნობები მუშათა და გლეხთა მოძრაობიდან, შავი რაზმის გარშემო, სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა, მთავრობის რეპრესიები და სხ.) 4) მ. პოკროვსკი ჩვენი პირველი პროლეტარული რევოლიუციის 20 წლის თავი. 5) სერაფიონ ლომძე—ზოგიერთი მოგონებანი რევოლიუციონური მოძრაობიდან (1903—05). 6) ს. თალაკვაძე—პირველი მარქსისტი თეორეტიკი საქართველოში 90 წლების დასაწყისში. 7) „უთავბოლობის“ ნაყოფი (კრიტიკული შენიშვნები) ფ. შემოქმედელისა (ფ. მახარაძე), დაწერილი 1892 წ. ვარშავაში. 8) ზ. ჩიქვილაძე—თბ. სასულიერო სემინარია მე-80 წლ. 9) ჟანდარმერიის „საიდუმლო თანამშრომელნი“. 10) იასონ ჯორბენაძე—წარსულის ერთი ეპიზოდი (პროვოკატორ, სევ. ბახტაძე). 11) მოგონებანი: კ. ცინცაძისა, ს. თოდრიასი, ს. ლომთათიძისა, გ. ლაფანაშვილისა, სოფრომ მგალობლიშვილისა—სოც. რევოლ. მოძრაობა საქართველოში 1870—1880 წ. და ამხ. კამო დ. ი. შერმანისა. 12) ავტობიოგრაფიები მიხა ჩოდრიშვილისა და ნოე ლეჟავასი. 13) რევოლიუციის მსხვერპლნი: შალიკო ასკურავა, ამბაკო სამანიშვილი, ნესტორ კალანდარიშვილი, გარსო და გრიშა მამაცაშვილები, სპირიდონ დვალი, ირაკლი დუმბაძე, იუსტინე გოგოძე, ტიტე მშვიდობაძე. 14) პარტიული არქივი—კომუნისტების მუშაობა მენშევიკების ბატონობის დროს; რ. ს. დ. მ. პ. მოხსენება ამსტერდამის საერთაშორისო სოც. კონგრესისადმი, 15) ბიბლიოგრაფია. 16) ტრიბუნა—არაქელ ოკუაშვილი—პირველი მაისობა თბილისში. 17) სურათები: 1905 წ. ჩვენში (იმ დროინდელ გაზეთებიდან) 1. ცემა-ტყეპა, 2. გარბიან, 3. საპყრობილესკენ, 4. შეპყრობილი წითელი რაზმელები, 5. დაბა-სოფლებს სწვავენ; ხალხი იხიზნება, 6. პურ-მარილი, 7 დამსჯელი რაზმის უფროსი. იცკა რიყიანაშვილი, კოტე ცინცაძე, შალიკო ასკურავა, ამბაკო სამანიშვილი, ნესტორ კალანდარიშვილი, გარსო და გრიშა მამაცაშვილები, სპირიდონ დვალი, ირაკლი დუმბაძე.

წიგნი შეიცავს 350-მდე გვერდს და ცალკე ნომერი ღირს 1 მან. 50 კაპ.

3—1 ნ. 112

აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული

მთავარი საკურორტო სამმართველო

აცხადებს რომ 10 ნოემბრიდან იხსნება

შემოდგომის-ზამთრის-გაზაფხულის სეზონი

ქობულეთში. სანატორიუმი სრული პანსიონით

ყელის, ჭირკვლების და კანის ჭლექით დაავადებულთათვის, ფილტვების ჭლექით პირველ სტადიაში, ემფიზემით, ასტმით, სასუნთქავ გზების ბრონქიალურ კატარით, გულის კომპენსატორულ მანკით, გულის ასტმით და რევმატიზმით, იმ ნევრასთენიკებისათვის, რომელნიც დაავადებული არიან დაქანცულობით და ნევრასტენიით

სეზონი გრძელდება, მთელი წელიწადი სანატორიუმი საუცხოვოდ არის მოწყობილი, უხვი მზე, ზღვის სააბაზანოები.

გადასახადი: თვეში სრული პანსიონით—მკურნალობით და გარეცხვით კერძო პირებისათვის 150 მანეთი, კავშირის წევრებისა და მოსამსახურეებისათვის 115 მანეთი.

გადასახადი შეტანილი უნდა იქნეს ერთი თვის წინდაწინ ჯანმრთელობის კომისარიატის სალაროში.

სანატორიუმში სამკურნალოთ ჩამოსულთ დახვდება მთავარ საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელი ავტომობილით. ცნობებისათვის უნდა მიმართონ: ბათუმი, აჭარისტანის მთავარი საკურორტო სამმართველო ლენინის ქუჩა.

აჭარისტანის კურორტების მთავარი სამმართველო. 6—5

გამოვიდა და იყიდება

ექიმ. ივ. ინგოროყვას წიგნაკი

„აგარაკი ბახმარო“.

3—3 № 2485.

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

გულის, ფილტვების ავადმყოფობა და ტუბერკულიოზი. მალიარიის სპეციალური ექიმობა 914 შეშხაპ. ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების განსჭვრეტა, სურათის გადაღება და ექიმობა

რენტგენის სხივებით

მიღება ყოველდღე 9—1 საათამდის და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ქ. 2507 13—5

ს. ს. ს. რ. ა. ს. ფ. ს. რ.

საფეიქრო, ზეთის და საპნის ტრესტი

დირექცია-თბილისი, კომუნალური ქუჩა, 119, ტელეფონი № 14-28.

ტრესტი აერთიანებს:

1) ორ საპნის ქარხანას,
2) ორ ზეთის ქარხანას,
3) გლიცერინის ქარხანას,
4) ტუალეტის ფაბრიკას,
5) ქაღალდის სახვევ ფაბრიკას,
6) ბამბის ფაბრიკას ჰიგროსკოპიული განყოფილებით,
7) მაუდის ფაბრიკას ქალ. ქუთაისში.

ტრესტი ყიდის: ყოველნაირ ხარისხის საპონს—სარეცხის, ტუალეტის და მარმარილოს საპონს, ყველა ნომრების ნართავებს, ყველა ნომრების დახვეულ ძაფებს, ტეხნიკურ გლიცერინს, ქაღალდის და მატყლის ბამბას სხვადასხვა ხარისხებისას, საუკეთესო ღირსების ჰიგროსკოპიულ ბამბას, მატყლის და ნახევრათ მატყლის მაუდებს საზამთრო სეზონისათვის.

ამას გარდა მცენარეულობის ზეთის კრიზისის შემსუბუქების მიზნით მზადდება ბაზრისათვის

საჭმელად მოსახმარი ბამბის ზეთი

უმაღლესი ხარისხისა, რომელსაც სავსებით შეუძლია შესცვალოს გემოსა და ღირსების მხრივ მზესუმზირას ზეთი.

სახელმწიფო დაწესებულებებს და კოოპერატივებს შეღავათი.

ტრესტი თავის პროდუქციას ასაღებს მთელი ამიერ-კავკასიის ფარგლებში.

ნ. 108 1—1

1 ნოემბრიდან დაიწყება მეცადინეობა სახალხო განათლების კომისარიატის პრ. ტეხნ. განყ. მთავ. მმარ. გამგ-ში არსებულ

პ. ზუმბაძის და ზ. ინწკირველის

საბუღალტრო კურსებზე

კეცხოველის ქ. № 12 (ყოფილი ქალ. 1-ლი გიმნაზ. ლორის-მელიქოვის ქ.)

მეცადინეობა იწარმოებს ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე სრულიად ახალი მეთოდით საუკეთესო თეორეტიკოს და პრაქტიკოს ბუღალტრების ხელმძღვანელობით.

მსმენელნი შეისწავლიან ქართულ ენაზე ბუღალტერიის საფუძველს (მარტივ, ორმაგ ანუ იტალიანურ და ამერიკულ სისტემას) და სპეციალურ დარგებიდან: საბანკო, საფაბრიკო-საქარხნო, მუნიციპალურ (სამაზრო აღმასკომებში ანგარიშების წარმოება), სავაჭრო, დამზღვევ კასების, სააქციო საზოგადოებების, სამომხმარებლო-საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბუღალტერიას, კომერციულ არითმეტიკას, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო უფლებას, საბჭოთა აღმშენებლობას და სავაჭრო კორესპონდენციას (მიმოწერას).

მეცადინეობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საგნის პრაქტიკულად შესწავლას.

ჩაწერა, პროგრამის გაცნობა და დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე წიგნის მაღაზია „განათლება“-ში. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 6 ს. თავართქილაძესთან.

ნის. 57 9—8

მედიცინის [illegible]

[illegible]

მოზრდილების და ბავშვების შინაგან და ნერვიული სისტემის სნეულებათა მკურნალობა

ელექტრო-სინათლით

სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10—12 საათ. საღამოთი 5—7 საათ. (გარდა კვირა დღისა) პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილოვის) № 111 ბ. № 2

ქ. № 2531—25—5

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ საღამოს 5—7 საათამდე. ვენერიულ და სიფილისით ავადმყობთ დილის 7—8 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩის დასაწყისში.

25—25

ექიმი

ს. ა. გალუსტიანცი

შინაგანი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი; ქრონიკული და მწვავე [illegible] ტრიპერი, სიფილისი [illegible] ავადმყოფების მიღება დილის 25—4 საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღება 2—4 საათ. ელისაბედის ქ., 77 მეორე სახლი კირკის კუთხიდან

25—23 ქ. № 2320

დაკარგა „პროპუსკი“ სვირის რკინის ხიდზე გზის გასვლა-გამოსვლისა მოცემული თერჯოლის აღმასკომის თავმჯდომარის მიერ ნიკოლოზ ვლადიმერისძე იაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ. უფ. 2577 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა სენაკის მაზრის ნოქალაქევის რაიონიდან მიცემული სიმონ კარტოზიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2572 1—1

დაკარგა ზაზარი სიხაშვილის სახელზე მოწმობა სოფ. ანაგიდან მოცემული და პირადობის მოწმობა № 4951. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2571 1—1

დაკარგა საბჭოთა-მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 9333, პირადობის მოწმობა შრ. სახ. კომისარიატიდან მოცემული № 96 და სხვა საბუთები გორელიკ შოლევა-მანიევას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 2870 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 12681 რეგისტრაციის ქაღალდი და ჯარის ნაწილიდან მოცემული თავისუფლების ქაღალდი და მეტრიკა ამბაკო გოგლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2569 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის ფურცელი, მოცემული ლეჩხუმის მაზ. ლაილაშის რაიკომიდან ვლადიმერ ალავიძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2573 1—1

ტირაჟი 18.000

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.

პარტიული ცხოვრება

საბჭოთა იაჩეიკებმა უნდა აწარმოონ ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

საბჭოთა ხელისუფლება და კომპარტია აქტიურ და ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს დახავსებულ და [illegible] ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

სხვათა შორის ერთი ასეთი მკვიდ[illegible]თავანი არის ბიუროკრატიზმი, რომელსაც მუშათა და გლეხთა ხელისუფლების თითქმის მეოთხე წლის [illegible] კიდევ აქვს ფესვები გამდგანი ჩვენს სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებებში.

ბრძოლა ამ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ—პირდაპირი და უშუალო ამოცანას შეადგენს ჩვენი საბჭოთა დაწესებულებების პარტიულ იაჩეიკებისა.

მაგრამ აქ ამ თავითვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საბჭოთა იაჩეიკების მუშაობაში ჩვენ კიდევ გვაქვს მეტად საგრძნობი ნაკლოვანებანი, რომლებიც თავის მხრივ ძლიერ აფერხებენ ამ მიმართულებით ბრძოლის წარმოებას, ბიუროკრატიზმის ჩქარი ტემპით აღმოფხვრას.

როგორია საბჭოთა იაჩეიკების მდგომარეობა?

ჩვენი საბჭოთა პარტიული იაჩეიკები არ არიან უშუალოდ ჩაბმული თავიანთ საკუთარ დაწესებულებების აღმშენებლობის საქმეში, ისე, როგორც ეს საერთოდ საჭირო არის. ამასთანავე არ არის მჭიდრო კავშირი იაჩეიკების პარტიულ მუშაობასა და ამა თუ იმ დაწესებულებების ხელმძღვანელ წრეებთან დაწესებულებებში მუშაობის გამარტივების, შრომის მეცნიერული და ტეხნიკური ორგანიზაციის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და [illegible] ნაყოფიერების გაზრდის მიზნით.

[illegible] ნაკლოვანება თითქმის [illegible] ჩვენს დაწესებულებებში [illegible] მუშაობის გაუმჯობესების საქმეს, [illegible] ბიუროკრატიზმი, როგორც ერთი-ერთი მტერი შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, აფერხებს დაწესებულებების ყოველ დარგში წინმსვლელობას და მით მდგომარეობაც უფრო მეტად რთულდება.

აი ეს სისუსტე საბჭოთა უჯრედების ამ თავითვე უნდა აღმოვფხვრათ ძირშივე, რათა უზრუნველვყოთ საბჭოთა დაწესებულებების მიერ თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულება.

მაგრამ რა არის ამისათვის საჭირო? როგორი საშუალებებით შევსძლებთ ჩვენ საბჭოთა უჯრედების გამოცხოველებას და მის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას?

ამისთვის, სხვათა შორის, საჭირო არის საბჭოთა დაწესებულებების იაჩეიკების თათბირების გამართვა, რომლებიც განიხილავენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხებს. ამ თათბირებზედ შეძლებისდაგვარად უნდა იქნენ მოზიდული უპარტიო თანამშრომლებიც.

კონკრეტიულად კი ეს მუშაობა უნდა შეიცავდეს და წარიმართოს შემდეგი მიმართულებით: აღრიცხულ უნდა იქნენ თეორეტიულად საკმაოდ მომზადებული და აქტიური პარტამხანაგები, რომლებიც ჩაბმული და გამოყენებული იქნებიან უჯრედების ორგანიზაციულ, საპროპაგანდო და წრეების მუშაობაში; ამასთანავე ერთად საბჭოთა იაჩეიკების ყველა წევრები მიზიდულ უნდა იქნენ თავიანთი დაწესებულებების სტრუქტურის შესწავლის საქმეში მისი გამარტივების და გაუმჯობესების მიზნით. საბჭოთა იაჩეიკები უშუალო მონაწილეობას უნდა იღებდნენ საადმინისტრაციო და სამეურნეო თათბირებში.

ასეთი გზით საბჭოთა იაჩეიკები გამოაცხოველებენ თავიანთ მუშაობას და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრაც საბჭოთა დაწესებულებებში ადვილად მოხერხდება.

საბჭოთა იაჩეიკები უნდა დადგნენ თავის სათანადო სიმაღლეზე.

ამას უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ჩვენმა უმაღლესმა პარტორგანოებმაც.

შ. ა.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

კომკავშირის მუშაობა ქვემო ჭალის რაიონში

19 ოქტომბერს მოწვეული იყო ქვემო-ჭალის კომკავშირის სარაიონო კრება. კრების თავმჯდომარედ ამორჩეული იქნა ამხ. გვრიტაძე მხოლოდ მდივნად კი მეუნარგია. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის, რაიკომის მუშაობის შესახებ, მოხსენებები ადგილებიდან: კასპის და ლაგის ყანის უჯრედებისა და მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის, ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ, მოხსენება გააკეთა პარტკომის მდივანმა ამხ. გოგოლაძემ, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა ოქტომბრის რევოლიუციის ძირითადი მომენტები, მისი საერთაშორისო მნიშვნელობა და ის, თუ რა როლი ითამაშა კომუნისტურმა პარტიამ ამ რევოლიუციაში კომკავშირთან ერთად. მომხსენებელმა თავისი ვრცელი და შინაარსიანი სიტყვა დაამთავრა შემდეგნაირად: „ოქტომბრის რევოლიუცია, რომელმაც დაამხო კაპიტალისტური წესწყობილება, არ დამთავრდება მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზედ წითელი დროშის აფრიალებით. ოქტომბრის რევოლიუციის წითელი დროშა უნდა აღიმართოს მთელს მსოფლიოში. მუშების და გლეხების მჭიდრო კავშირი,—ძვირფასი მასწავლებლის ამხ. ლენინის ანდერძი—სავებით და მთლიანად უზრუნველჰყოფს საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებას.

მოუწოდებ ქვემო-ჭალის სარაიონო კრებას კომკავშირელებისას, მტკიცედ იდგეთ კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ და იბრძოლოთ ილიჩის ანდერძის განხორციელებისათვის. გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას! გაუმარჯოს კომ. ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომ-კავშირს“.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია.

მეორე საკითხის, რაიკომის მუშაობის შესახებ გაკეთებულ იქნა საანგარიშო მოხსენება რაიკომის მდივნის გვრიტაძის მიერ, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „ქვემო-ჭალის რაიკომი, როგორც ერთ-ერთი რაიკომი გორის მაზრაში, მაგალითია არაჩვეულებრივი მუშაობით როგორც კომკავშირის რიგებში, ისე უპარტიო ახალგაზრდობის შორის. ყველა დავალებებს პარტიისას კომ-კავშირელები ასრულებენ პირნათლად.

მენშევიკური ავანტიურისტული გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში ქვემო-ჭალის ახალგაზრდობამ გამოიჩინა დიდი გმირობა. კავშირი კომუჯრედებთან მჭიდროა. კულტურული მუშაობა საერთოდ მთელს რაიონში მოისუსტებს, რასაც, რასაკვირველია, მომავალში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მომავლისათვის უნდა დაარსდეს დრამ-წრეები, რომლებმაც სისტემატიურად უნდა აწარმოონ მუშაობა.

სარაიონო კრებამ რაიკომის მუშაობა სცნო სავსებით დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ კრებამ მოისმინა კასპის, ლაგის ყანის და ადგილობრივი ჭალის უჯრედების წარმომადგენელთა მოხსენებანი, და ბოლოს განხილული იქნა საკითხი შეფთან მჭიდრო კავშირის დამყარების შესახებ. რომ ქვემო-ჭალის უჯრედმა მტკიცე კავშირი გააბას შეფთან „თემქასთან“ უჯრედიდან არჩეული იქნა ერთი კავშირის წევრი „თემქა“-ში სამუშაოდ. კრება დაიხურა სრულ 3 საათზედ.

გ.—ა.

ს. სირიაჩქონის კომკავშირის უჯრედში

(ყვარლის რაიონი)

სოფ. სირიაჩქონში ა. ლ. კ. კ. არსებობს 1921 წლიდან. 1921 წელს ის ითვლიდა 7 წევრს, ამათგან ორი იყო ქალიშვილი. დღეს კი უჯრედში ითვლება 27 წევრამდე. ამასთანავე კომკავშირში უპარტიო ახალგაზრდობის ლტოლვა დიდია. უპარტიო ახალგაზრდების თანდასწრებით კრება იმართება კვირაში ორჯერ. დამოკიდებულება კომუჯრედის და კომკავშირის ორგანიზაციების ძლიერ კარგია; თითქმის ყოველთვის ვესწრებით ერთი-მეორეს კრებებზე. უჯრედს აქვს თავისი სამკითხველო, რომელიც ლიტერატურით ჯერჯერობით ღარიბია. გაზეთები მოდის მხოლოდ „ქვეყნის მუშა“ და „სპარტაკი“, რომელიც იკითხება გლეხებთან ხმამაღლა.

წელს კომუჯრედის წევრების მიერ დამუშავებული იქნა კომუნალურად ორი ქცევა მიწა. ეს ყანა დაითესა იმ მიზნით, რომ 15 პროც. მოხმარდეს ქვრივ-ობლებს და დანარჩენი კი 85 პროც. ლიტერატურა-გაზეთების გამოწერას.

პოლიტ-მეცადინეობა კარგად მიმდინარეობს. გადივართ პოლიტ-ანბანს და ვაწყობთ საუბრებს მეცნიერულ-პოპულიარულ კრებულიდან. ამასთანავე ჩვენი უჯრედი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ადგილობრივ კომუჯრედთან ერთად სოფლის ეკონომიურ აღმშენებლობაში.

[illegible]

კომკავშირელები უნდა იყვნენ მაგალითი უპარტიო ახალგაზრდობისათვის

დღეს, როგორც ვიცით, დაკვრითი ამოცანადაა გამოცხადებული შრომის ნაყოფიერების გადიდების და წარმოების გაუმჯობესების საკითხი.

პარტიის და სახელმწიფოს მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრი და ყურადღებაც სწორედ აქეთკენ არის მიმართული.

რასაკვირველია, ამ მუშაობაში უშუალოდ და აქტიურად უნდა იქნეს ჩაბმული მშრომელი უპარტიო მასებიც. პარტიამ და კომკავშირმა უნდა გამოიჩინონ თავიანთი [illegible], ცხოველმყოფელობა და ინი[illegible]. და ამ მხრივ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია სათანადო აქტიური ნაბიჯები და მიღწეულია საგრძნობი დადებითი შედეგები.

მაგრამ, როგორი უნდა იყვეს კომკავშირის როლი კერძოდ უპარტიო ახალგაზრდობის შრომის ნაყოფიერების გაზრდის და წარმოების განვითარების საქმეში ჩასაბმელად?

ცხადია, კომკავშირელი უნდა გახდეს მაგალითი უპარტიო მშრომელ ახალგაზრდობისათვის. ის უნდა გარდაიქცეს ძირითად ძალად და ფაქტორად ამ უპარტიო ახალგაზრდათა მასსების ასამოძრავებლად, ასამოქმედებლად.

მაგრამ როგორი გზით უნდა მოხდეს და რა პირობებში შესაძლებელია ყოველივე ეს?

ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი კომკავშირლები სავსებით და მთლიანად გაატარებენ თავიანთ საკუთარ წარმოებებში პარტიულ ხაზს, თუ კი ისინი განახორციელებენ პარტიის დირექტივებს და ცირკულიარებს შრომის ნაყოფიერების გაზრდის და წარმოების გაუმჯობესება-განვითარების საქმეში.

კომკავშირელმა უნდა გამოუცხადოს და აწარმოოს სასტიკი და ენერგიული ბრძოლა თავის რიგებში სამუშაო დროის გაცდენის, დაგვიანების, წარმოება-დაწესებულებებიდან 8 საათის სრული გამოყენებამდე წასვლის, განყოფილებებიდან განყოფილებაში უმიზნო სიარულის, იაჩეი[illegible] თა წინააღმდეგ.

ასეთ პირობებში კომკავშირელი გახდება მაგალითი უპარტიო ახალგაზრდობისათვის და ამასთანავე ერთად შესაძლებელი შეიქმნება მათი უშუალოდ და აქტიურად ჩაბმა შრომის ნაყოფიერების და წარმოების აღორძინების საქმეში.

აი ეს შეგნებული და ორგანიზაციული დარაზმვა კომკავშირლების მიერ ფართე უპარტიო ახალგაზრდა მასსებისა კი იქნება ერთი დიდი ნაბიჯი წინ ჩვენი ეკონომიური ორგანიზმის განსამტკიცებლად.

ასე რომ, შრომის ნაყოფიერების გაზრდის და მით ჩვენი ეკონომიურ სხეულის განვითარების საქმეში, რომელიც დღეს გამოცხადებულია დაკვრითი ამოცანად პარტიის და მუშათა კლასის მიერ,—უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი კომკავშირლებმაც, რომლებმაც თავის მხრივ უნდა დაიპყრონ და აამოძრაონ ამ მიმართულებით უპარტიო ახალგაზრდობა.

შ. რეჯაა.

მენშევიკური ავანტიურის მსხვერპლს ხსოვნას

(ამხ. სიმონ კუბლაშვილი)

ა | წ. 28-სექტემბერს, როდესაც ამხ. სიმონ კუბლაშვილი ქ. ჭიათურაში საგუშაგოებს ათვალიერებდა, უეცრად ბნელ ღამეში გადაიჩეხა კლდეში. საგრძნობლად დაზიანებული ამხანაგი საავადმყოფოში წაიყვანეს, რის შემდეგ იცოცხლა მხოლოდ ორი საათი.

ვინ იყო ამხ. სიმონი? იგი იყო უღარიბესი გლეხის შვილი, სიღატაკეში აღზრდილი. მართალია მისი მამა ღარიბი გლეხი იყო, მაგრამ მაინც დაასრულებია შვილს ქ. ზესტაფონში სამოქალაქო სასწავლებელი.

(1921 წ. ამხ. სიმონი საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე სდგება. მხოლოდ 1921—22 წლებში შორაპნის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწის თანამდებობას ასრულებს (უკანასკნელადაც ამ თანამდებობაზე იყო). აქაურ ყველა პასუხისმგებელ ამხანაგებს ახსოვთ ამხ. სიმონის თავდადებული და ენერგიული მუშაობა შორაპნის მაზრის მუშათა და გლეხთა მილიციაში. გვახსოვს სიმონის ანთებული სახე ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც შედეგად მოყვა ბანდიტიზმის განადგურება. უკანასკნელადაც ამას შეეწირა ამხ. სიმონი.

ა | წ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში ბანდიტურმა გამოსვლებმა სხვა ამხანაგებთან ერთად იმსხვერპლა ამხ. სიმონიც. მაგრამ ახსოვდეთ ვაჟბატონ ავანტიურისტებს, რომ ამხ. სიმონ კუბლაშვილისთანა გმირები არა კვდებიან ხოლმე, მათ რჩებათ მთელი რიგი ამხანაგებისა, რომლებიც სამაგიეროს უხდიან „დემოკრატიულ“ საქართველოს მამულიშვილებს.

ამხ. სიმონ, შენ მოკვდი, მაგრამ შენი სახე რისხვად მოევლინება აქაურ ბანდიტებს.

ა. ხვერელი.

საქ. ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა თათბირი

(თვითლიკვიდაციის 1 წლის თავის გამო)

თათბირის გახსნა.

28 ოქტომბერს ალმასკომის დარბაზში შესდგა ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა თათბირი მათი ორგანიზაციების თვითლიკვიდაციის 1 წ. თავის გამო. თათბირს დაესწრენ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელნი. თათბირს ხსნის ამხ. ს. ცინცაძე, რომელიც დელეგატებს წინადადებას აძლევს ფეხზე ადგომით პატივი სცენ მსოფლიო პროლეტარიატის უდიდეს ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნას.

პრეზიდიუმის არჩევა.

თათბირის პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ს. ცინცაძე, ლ. ფირცხალავა, შ. სიხარულიძე, მეგრელიშვილი, ა. თარაიან, ქერეჭაშვილი და ლომთათიძე.

სამდივნოში—ამხ. ამხ. ბიძ. ზარათაშვილი, დიასამიძე და ვ. ბერაძე.

საპატიო პრეზიდიუმი.

საპატიო თავმჯდომარეებად თათბირი ირჩევს ამხ. ამხ. ტროცკის, სტალინს, ზინოვიევს, მახარაძეს, ორჯონიკიძეს, ორახელაშვილს, კახიანს და ფარნიევს.

დღის წესრიგი.

მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენებანი ადგილებიდან, 2) სალიკვიდაციო მუშაობის მიმოხილვა თვითლიკვიდაციიდან 1 წლის განმავლობაში და 3) ამხ. მ. კახიანის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

მოხსენებანი ადგილებიდან

აჭარისტანის წარმომადგენელი ამხ. **დიასამიძე** მიმოხილავს ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა დღევანდელ მდგომარეობას აჭარისტანში. ლიკვიდაციის შემდეგ ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტები ჩაებნენ საბჭოთა მშენებლობაში დღემდე ყოფილ მარქსისტთაგან კომკავშირის წევრად მიღებულია 7. კომკავშირიდან კიდევ არის წინადადება შევავსოთ მისი რიგები ახალი სამკადრო ძალებით. მენშევიკურ ავანტიურის დროს ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფი, როგორც ერთი კაცი, დადგა რევოლიუციის სადარაჯოზე.

გორის მაზრის წარმომადგენელი ამხ. **ქერეჭაშვილი** აღნიშნავს, რომ 500 ყოფილ ახ. მარქსისტიდან 90 პროცენტი უკვე ჩაბმულია სახელმწიფო სამეურნეო მუშაობაში. ავანტიურის დროს ყოფილ ახ. მარქსისტები გვერდში ამოუდგნენ კომკავშირს, რომელსაც ავანტიურის სრულ უნიადაგობის გამო არ დასჭირებია ავანტიურის წინააღმდეგ გამოსვლა. ყოფილ მარქსისტთა შორის დიდია კომკავშირში შესვლის სურვილი, მაგრამ ჯერ-ჯერობით კომკავშირის წევრად ითვლება ყოფ. ახ. მარქსისტთა ძალიან მცირე ნაწილი.

სენაკის წარმომადგენელი ამხ. **კოდუა** გულდაწყვეტილია იმ გარემოებით, რომ დღემდე კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციაში არ არის მიღებული არც ერთი ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტი, ხოლო საბჭოთა მუშაობაში კი ჩაბმულია მხოლოდ 15 ახალგაზრდა.

ამა გარემოებას აღნიშნავენ აგრეთვე ქუთაისის წარმომადგენელი ამხ. **ვ. ბახტაძე** თელავის წარმომადგენელი ამხ. **კორიძე** და სიღნაღის წარმომადგენელი ამხ. **ზალდასტანიშვილი**.

ოზურგეთის წარმომადგენელი ამხ. სიხარულიძე აცნობს დელეგატებს, რომ ყოფილ ახ. მარქსისტები გურიაში ჩაბმულ იქნენ პოლიტწრეებში, პროფმუშაობაში და რამოდენიმე პროცენტი კომკავშირში. ყოფ. ახ. მარქსისტთა ავანტიურის წინააღმდეგ დარაზმვამ დაამტკიცა, რომ ჩვენი ამხანაგები მტკიცედ სდგანან კომინტერნის დროშის ქვეშ.

ფოთის წარმომადგენლის ამხ. **გ. გიორგაძის** მოხსენებით გამოირკვა, რომ კომკავშირში ჩარიცხული არიან ყ. ახ. მარქსისტები, როგორც ახალგაზრდა მუშათა წრიდან, ისე მოწაფეებიდან.

აფხაზეთის წარმომადგენელი ამხ. **მარ. ოკუჯავა** აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ახალგაზრდა მარქსისტთა ლიკვიდაციას არ ჰქონია ორგანიზაციული ხასიათი, მოხდა პერსონალური გამოსვლა ორგანიზაციიდან, რომელშიაც ითვლებოდა 40 წევრი. ჯერჯერობით ოფიციალურად გადასული 8 ახალგაზრდა. დანარჩენებსაც მუშაობისთვის თავი მინებებული აქვთ, მხოლოდ ოფიციალურად მათ ეს არ უღიარებიათ.

სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგი მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ა. ცინცაძე)

ყოფ. ახ. მარქ. ორგანიზაციების სალიკვიდაციო ჯგუფი აგრძელებდა თავის მუშაობას ყრილობის შემდეგ. [illegible] საგრძნობი ნაყოფი [illegible] ჩვენს პლატფორმაზე გადმოვიდა თითო-ოროლა არალეგ. ცეკას [illegible]ს ქვეშ დარჩენილი ახალგაზრდები, მათ შორის ახალგაზრდ. [illegible] ალეგალურ ცეკას წევრები, რომელიც სალიკვიდ. ყრილობის დროს ციხეში იჯდნენ. ყოფილი მარქ. ახალგაზრდობა რომ მტკიცედ სდგას კომინტერნის დროშის ქვეშ, ეს ცხადად დაამტკიცა მათმა პოზიციამ მენშევიკური ავანტიურის მიმართ. ყოფილი მარქსისტ. ახალგაზრდობა მასიურად განუდგა ავანტიერას და გვერდში ამოუდგა კომკავშირს.

ამჟამად თბილისის და მის მაზრაში სამუშაოზე გაგზავნილია 400 ამხანაგი. კომკავშირის წევრათ მიღებულთა რიცხვი მნიშვნელოვანია. ჩვენი მორიგი ამოცანა [illegible] ყველა აქტიური გავხადოთ კომკავშირის წევრად.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. ოპონენტები ითხოვდენ, რომ აქტიური ახალგაზრდობა მიღებულ იქნან კომკავშირის წევრებად.

სხდომა მეორე დღისათვის გადაიდო.

ჩაის კულტურის განსავითარებლად

ამხ. ვასილ კანდელაკის მოხსენება

(სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე)

კვირას, 26 ოქტომბერს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში ამხ. ვასილ კანდელაკმა გააკეთა მოხსენება ჩაის კულტურის შესახებ საქართველოში.

ჩაის გასაშენებელი საწარმოო გეგმა

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს დავალებული ჰქონდა უმაღლეს ცენტრალურ ორგანოების მიერ დასავლეთ საქართველოში ჩაის გასაშენებლათ საჭირო საწარმოო გეგმის შედგენა. გეგმა უკვე შედგენილია. ამ დარგისთვის გამოსადეგ ტერიტორიის რაოდენობა ასეული ათას დესიატინობით განიზომება. მხოლოდ საკითხის მთელი სიმძიმე იმაში მდგომარეობს, თუ როგორ იქნეს ჩაბმული გლეხობა ჩაის კულტურის წარმოებაში.

გეგმით განზრახულია მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში გაშენდეს 5000 დესიატინა მიწა, მათ შორის 1500 დეს. აჭარისტანში 1500 დეს. ოზურგეთის მაზრაში 1000 დეს. ზუგდიდის, 500 დეს. სენაკის და 500 სამურზაყანოს მაზრებში. ჩაის მოშენება მოსდებს პირველ ხანებში გლეხთა მიწების ისეთ ნაჭრებზე, რომლებიც როგორც „ეწერი“, უსარგებლოთ არის. შემდეგში, როცა გლეხი შეისწავლის ჩაის კულტურას და საქმე საკმაოთ მოგვარდება, გლეხი თვითონვე დაიწყებს ამ კულტურის გაფართოვებას.

დახმარების საჭიროება

ამ საქმის დასაწყებად სოფლის მეურნეს აუცილებლად უნდა მიეცეს შესაფერისი დახმარება. ამ მიზნით განზრახულია პირველ რიგში მოგვარდეს გლეხებში თვის საჭირო სესხის მიცემის საკითხი.

მომხსენებლის გამოანგარიშებით აუცილებელი იქნება თითეულ მეურნეს მიეცეს სესხად დესეტინაზე 400 მანეთი 7 წლის ვადით, რადგან ამ თანხის ნაწილი უნდა მოხმარდეს მელიორაციული ხასიათის მუშაობას. ამისთვის საჭირო იქნება სულ ორი მილიონი მანეთი.

ჩაის დასამუშავებელი ქარხნები.

ჩაის ფოთლის გადასამუშავებლად განზრახულია შესაფერი ქარხნების მოწყობა. მათ შორის ოთხი მთავარი ქარხანა (თვითეულად გადაიმუშავებს დღეში 35.000 გირ. ჩაის ფოთოლს) მოწყობილი იქნება ჩაის კულტურის მთავარი ცენტრები—აჭარისტანში 2 გურიაში—1 და სამეგრელოში—1. მეორე ხარისხოვანი ქარხნები, (რომლებიც გადაამუშავებენ დღეში 12.000 გირვ. ჩაის ფოთოლს) გაიხსნება საჭიროების მიხედვით სხვა რაიონებში იმ ანგარიშით, რომ ქარხნიდან რაიონის საზღვრები არ იქნეს დაშორებული 7 ვერსზე მეტად.

აგრიკულტურულ მუშაობისათვის.

რაიონის ბუნებრივ-ეკონომიური პირობათა დაწვრილებით შესასწავლად და ადგილობრივ ჩაის კულტურის შესახებ საჭირო ცდების საწარმოებლად მოწყობილი იქნება საცდელი დაწესებულებათა სათანადო ქსელი—(ერთი ცენტრალური სადგური ჩაქვში და ორი დამხმარე გურია-სამეგრელოში). აგრიკულტურული მუშაობის საწარმოებლად საჭირო იქნება 5000 დეს., 50 აგრონომიული ტეხნიკი და ხუთი აგრონომი.

ჩაის კულტურის განვითარებისათვის ხელის შესაწყობათ აუცილებელია პირველ ხანებში მაინც ამ კულტურისადმი პროტექციონული სისტემის შემოღება.

[illegible]

პირველ ორი წლის განმავლობაში ფაქტიურათ შესაძლებელი იქნება ჩაის გაშენება დაახლოვებით ათას დესიატინის სივრცეზე. საჭირო თესლეულობა კომისარიატს მოეპოვება. შემდეგი თესლეულობის მისაღებათ ჩაქვში გამოყოფილია განსაკუთრებული სათესლე ნაკვეთი—ზომით ასი დესიატინა.

სპეც. ექსპედიცია ჩაის კულტურის შესასწავლად.

ჩაის კულტურისა, გადამუშავების და გასაღების საკითხების დაწვრილებით შესასწავლათ, აუცილებლად არის ცნობილი უცხოეთის შესაფერ ჩაის რაიონებში სპეციალურ ექსპედიციის გაგზავნა.

სააქციონერო საზოგადოება.

მომხსენებლის აზრით ჩაის კულტურის განსავითარებლად ჩვენში აუცილებელია შესდგეს სააქციონერო საზოგადოება, რომელშიაც შევლენ საქართველოს, აფხაზეთის და აჭარისტანის მიწად-მოქმედების კომისარიატები, კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებანი, აგრეთვე ცენტროკავშირი და რუსეთის ჩაის ცენტრალური სამმართველო. ამ აქციონერულ საზოგადოებაში უმთავრესი მონაწილე თავის ქონებით (ჩაქვისა და სოლიბაურის მამულებით) იქნება საქართველო.

სავაჭრო დაწესებულებათა მონაწილეობა მომხსენებლის აზრით აუცილებელია უმთავრესად ფინანსიური მოსაზრებებით და აგრეთვე ჩაის გასაღების საქმეში ხელის შეწყობის მიზნით.

საჭირო თანხა.

მთელ ოპერაციისათვის ხუთი წლის განმავლობაში საჭირო იქნება სულ სამ ნახევარი მილიონი მანეთი.

ერთ-ერთი მთავარი საშუალებათ ამ თანხის მისაღებათ განზრახულია რუსეთის მასშტაბით ყველა ჩაის 0,25 პროც.-თ დაბეგვრა, რაც ყოველწლიურად მოგვცემს არა ნაკლებ 400,000 მანეთისა. მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ხუთი წლის საწარმოო გეგმა უკვე განხილულია და მიღებული აფხაზეთისა და აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოების მიერ.

სამელიორაციო მშენებლობა

(ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობები)

ტირიფონის ველის მოსარწყავად.

ამ ზაფხულზე ტირიფონის ველის გასაყვანად დაწყებული სამელიორაციო მუშაობა შეჩერებული იყო. ა-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს განკარგულებით ოქტომბრიდან მუშაობა ისევ განახლდა. მუშაობაში უმთავრეს მონაწილეობას იღებს ადგილობრივი სოფლების მოსახლეობა. ყოველდღიურად თავის ხარ-ურმით სამუშაოზე გამოდის 2000 გლეხი. ამჟამად ა | კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო აგებს სატინოზე სიფონებს პატარა მდინარეებზე პაწა-წყალსა და მეჯუდაზე, აგრეთვე შენდება რკინა-ბეტონის აკვედუკები ნაპრალებზე.

ელდარის ველის მოსარწყავად.

ამ ზაფხულზე სწარმოებდა კვლევა-ძიება ელდარის ველზე მოსარწყავი არხის გასაყვანად. ელდარის მოსარწყავი მოედანი უდრის 10 ათას დესეტინას. კვლევა-ძიება უკვე დასრულდა და ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა მოსარწყავი არხის პროექტის შესადგენად.

ყარა-საქხალის მიდამოების მოსარწყავად.

ა-წ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ გამოიმუშავა პროექტი ყარა-საქხალის მიდამოების (აზერბეიჯანი) მოსარწყავი არხის გასაყვანად. ყარა-საქხალის მიდამოები, რომლის მოედანი უდრის 10 ათასს დესეტინას, მშვენიერ ნიადაგს წარმოადგენს ბამბის მცენარისათვის

არხს სათავე ექნება მდ. მტკვარზე სოფელ ტარ-დალიართან. ამჟამად სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა არხის გასაყვანად.

ფოთის ჭაობების ამოსაშრობად

ა. | კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ უკვე დაიწყო მუშაობა ფოთის ჭაობების ამოსაშრობად. საქართველო პირობით შეეკრა „ქავჰიდროსტროის“, რომელსაც პირობის ძალით, ევალება გაიხსნას რაიონის პირად—ფოთის რაიონში [illegible] ტყეები, სივრცით 7 ათასი დესეტინა. დაკისრებული მუშაობა შესრულებულ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში.

მცხეთის წყალსადენი.

მუშაობა მცხეთის წყალსადენის გასაყვანად უკვე დასრულებულია. წყალსადენის მთელი სიგრძე უდრის 4 ვერსს. წყალი გამოყვანილია მცხეთის მონასტერთან [illegible]დან. არხის გასაყვანად [illegible] სი მანეთის რაოდენობით ა. | კ. წყალთა მეურნეობის [illegible]თველომ, ხოლო ამდენივე იქნა ადგილობრივ [illegible] წყალსადენის ოფიციალური გახსნა მოხდება ამ დღეებში.

ალაზნის ველის მორწყვა.

ა. | კ. წყალთა სამმართველომ სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინა ალაზნის ველის მოსარწყავი არხის ასაგები ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. ალაზნის ველის მორწყვა ხარჯთ-აღრიცხვით დაჯდება დაახლოებით 3 მილიონი მანეთი. მოსარწყავი მოედანი უდრის 50 ათას დესეტინას. კვლევა-ძიებისათვის კი საჭიროა 176.000 მან.

საერთაშორისო კოოპერატიული კონგრესი გენტში*)

საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის წარმომადგენლებმა, კომუნისტ-კოოპერატორებმა ბიუროში შემდეგი შინაარსის პროტესტი შეიტანეს:

„ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის კომუნისტ-კოოპერატორები საჭიროდ ვცნობთ—ენერგიული პროტესტი განვაცხადოთ კონგრესის წინაშე ჩვენი ქვეყნების კომუნისტ-კოოპერატორების სახელით იმის გამო, რომ ჩვენმა ნაციონალურმა ფედერაციებმა წაგვართვეს ყოველგვარი წარმომადგენლობა საერთაშორისო კოოპერატიულ კონგრესზე.

საფრანგეთსა და გერმანიაში, აგრეთვე იტალიაში კომუნისტურ მიმართულების კოოპერატივები წარმოადგენენ თვალსაჩინო უმცირესობას; კოოპერატიულ მოძრაობის ხელმძღვანელთ, რომელთაც მუდამ დემოკრატიზმის და ნეიტრალიტეტის პრინციპი აკერიათ პირზე, უფლება არ აქვთ, სდევნონ ეს კოოპერატივები, რასაც ვერც ალიანსი და ვერც კონგრესი ვერ მოითმენს.

ამის გამო ჩვენ იძულებულნი ვართ მივმართოთ კონგრესს და ალიანსის ცეკას თხოვნით, რათა მიიღოს ზომები, რომ მომავალში შეგვეძლოს ვისარგებლოთ ჩვენი კანონიერების უფლებებით“.

კონგრესის ბიურომ საჭიროდ და შესაძლებლად არ სცნო ამ პროტესტის გამოქვეყნება.

საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელთა სახელით წინადადება შეიტანეს, გაეგზავნოს მისალმება ბორინაჟის 35.000 გაფიცულ მუშას. კონგრესის მონაწილეთა უმრავლესობა ამ წინადადებასაც უარჰყოფს.

ამის შემდეგ საბჭოთა დელეგაცია თავის სახელით უგზავნის ბორინაჟის მუშებს მისალოც დეპეშას და 10.000 მან. დახმარების სახით.

შემდეგ დაისვა საკითხი სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა „სოციალისტმა“ ალბერტ ტომამ. ითქვა ბევრი ლამაზი სიტყვა. საერთოდ იგი იმას ამბობდა, რომ საჭიროა სამომხმარებლო კოოპერაცია დაუახლოვოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. მეურნეობის კაპიტალისტურ წესით წარმოების პირობებში იგი ინტერესთა არავითარ წინააღმდეგობას არ ხედავს ქალაქსა და სოფელს შორის (მწარმოებელსა და მომხმარებლის შორის). „მე [illegible] წილად, ამბობს მომხსენებელი, ეს წინააღმდეგობანი მხოლოდ გამომჟღავნება იყო იმისი, რომ სპეციალიზაციის საჭიროებას ყველა გრძნობდა, თუმცა გაურკვევლადო“, შემდეგ მომხსენებელი საჭიროდ სთვლის, რომ საწარმოო წამოწყებებში პასუხისმგებლობა წარმოებათა ხელმძღვანელობისთვის დაეკისროს თავისუფლად ფედერატიულათ შეკავშირებულ მუშათა და მოსამსახურეთა ჯგუფებს.

გერმანიის წარმომადგენელნი (კაუფმანი, ლორენცი) არავითარ წინააღმდეგნი არ იყვნენ ინტერვენციის, მაგრამ გადაჭრით უარჰყვეს მუშა-მოსამსახურეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება. ეს საკითხი გადაიდო დასამუშავებლათ.

შემდეგ სდგას ყველაზე უფრო მწვავე საკითხი: ნეიტრალიტეტი კოოპერაციაში. ამ საკითხზე მოხსენებით გამოდის მისტერ რეი (ინგლისიდან), რომელიც ამტკიცებდა, რომ კოოპერაცია უნდა ატარებდეს დამოუკიდებელ ხაზს, მან უნდა დაიცვას სრული ნეიტრალიტეტი და უნდა იყოს ყოველგვარ პარტიის და პროფკავშირის გავლენის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში კოოპერაცია, რომელიც აერთიანებს როგორც მუშებს, ისე ლიბერალებს, დაინგრევაო. აღნიშნა ისიც, რომ კომინტერნთან არსებულ კოოპერატიულ სექციას თავისი მცირე სექციები თითქმის ყველა ქვეყნებში აქვს; ამასთან კომინტერნი კოოპერაციას უყურებს, როგორც ბრძოლის საშუალებას სოციალიზმისათვისო. ჩვენ,—ამბობს მომხსენებელი და მიმართავს საბჭოთა დელეგაციას—ინტერვენციის დროს იმიტომ გიჭერდით მხარს, რომ ნეიტრალიტეტის თვალსაზრისით ვხელმძღვანელობდით; ნება მოგვეცით ისე ავაგოთ კოოპერაცია, როგორც ჩვენ გვსურსო.

მომხსენებლის წინააღმდეგ საპასუხო სიტყვით გამოდის ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელი ამხ. ფიშერი, რომელიც კითხულობს, რომელ ნეიტრალიტეტზე შეიძლება აქ ლაპარაკი? ალიანსი ხომ მთელი ქვეყნის კოოპერატივთა გაერთიანება არის? რა საჭიროა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც საჭიროდ არ დაინახავს დაიცვას კოოპერაცია ცალკე ქვეყნებში და არ გამოვა თავის წევრთა დასაცავად, რომელთაც ებრძვიან კოოპერაციის მტრები? ჩვენთვის საერთო არ არის ისეთი გაერთიანება, რომელიც ნეიტრალიტეტის პრინციპის გულისათვის არ დაადგება შეუპოვარ ბრძოლის გზას იტალიელ ფაშისტების წინააღმდეგ, რომელნიც იტალიის კოოპერაციას ანგრევენ, ბულგარეთის თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, რომელთაც ბულგარეთის მუშათა კოოპერატივს „ოსვობოჟდენიას“ ქონება წაართვეს, საფრანგეთის და გერმანიის კოოპერატივთა კავშირების წინააღმდეგ, რომელნიც კოოპერატორ-კომუნისტებს კოოპერაციაში მუშაობის საშუალებას არ აძლევენ.

შემდეგ მიუბრუნდა პრეზიდიუმს და უთხრა. თქვენ, კოოპერაციაში მტკიცე ნეიტრალიტეტის დაცვის საბაბით, არ გსურთ ზომები მიიღოთ კოოპერაციის მტრების წინააღმდეგ ცალკე ქვეყნებში, აქ კი პირზე ხელს აფარებთ საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელთ. ჩვენ, რასაკვირველია, ასეთის ნეიტრალიტეტის წინააღმდეგნი ვართო.

ამის შემდეგ ამხ. კისსინი (საბჭოთა რუსეთი) აღნიშნავს, რომ ალიანსი, ძალიანაც რომ სურდეს, ვერ იქნება ნეიტრალური ორგანიზაცია. იგი აერთიანებს ცალკე ქვეყნების კოოპერატიულ კავშირებს და ამ ქვეყნებში კი პოლიტიკურ პარტიათა შორის ბრძოლა სწარმოებს კოოპერაციის დაპყრობისათვის. კოოპერაცია შექმნილია მუშათა კლასის მიერ და ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს ნეიტრალური. საიდუმლოება ხომ აღარ არის, რომ ალიანსი თავისა რეზოლიუციებით გამოვიდა გენუესა და ჰააგის კონფერენციებზე? მიმართავს რა გერმანიის წარმომადგენელთ, ამბობს, თქვენც არღვევთ ნეიტრალიტეტს, როდესაც იბრძვით კომუნისტ-კოოპერატორების წინააღმდეგ. თვითეული ქვეყანა თავისებურად არღვევს ნეიტრალიტეტს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თქვენ, იცავთ რა ნეიტრალიტეტს, მუშათა კლასის წინააღმდეგ იბრძვით, ჩვენ კი, მივდივართ რა ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ, მუშათა კლასის ინტერესების დაცვის თვალსაზრისს ვადგივართო.

გერმანიის წარმომადგენელი ლორენცი საჭიროდ სთვლის კოოპერაციაში ნეიტრალიტეტის დაცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამბობს იგი—კოოპერაცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ყველა პარტია, დაინგრევა და ალიანსიც დაიშლებაო.

კამათის შემდეგ ქვეყნდება რეზოლიუცია ნეიტრალიტეტის შესახებ, წარდგენილი საბჭოთა რუსეთის, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სახელით, შემდეგის შინაარსისა:

„ვინაიდან, კოოპერატიულ მოძრაობის განვითარება როგორც ცალკე ქვეყნებში, ისე საერთაშორისო ფორმებში მჭიდროდ დაკავშირებულია მთლიანად მუშათა მოძრაობასთან;

თანამედროვე კოოპერატიულ მოძრაობის ობიექტიური პირობები აუცილებლად აბამენ კოოპერაციას მრავალმხრივ დამოკიდებულებაში მუშათა კლასის დანარჩენ ორგანიზაციებთან;

საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის მოღვაწეობა სავსებით ამტკიცებს, რომ კოოპერაციის ნეიტრალიტეტის სიტყვით აღიარება საქმით ნიშნავს ცალმხრივს სოლიდარობას განსაზღვრულ პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან;

კოოპერაციის ნეიტრალიტეტის საკითხში ერთად-ერთი გამოსავალი ამ საწინააღმდეგო მდგომარეობიდან იმაშია, რომ აშკარად და თანდათანობით განხორციელებულ იქნას კოოპერატიულ მოძრაობაში, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო ფორმებში, პრინციპები პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლისა და პროლეტარიატის კლასობრივ პოლიტიკის მთლიანობისა,—

კონგრესი ადგენს:

კოოპერაციამ ცალკე ქვეყნებში და საერთაშორისო გაერთიანებაში ხელი უნდა აიღოს ფორმალურ ნეიტრალიტეტზე და შეთანხმებაში უნდა შედიოდეს პროლეტარიატის და მშრომელ გლეხობის ყველა დანარჩენ ორგანიზაციასთან—შეერთებულად გამოსასვლელად კაპიტალიზმის უღლიდან მუშათა კლასის და მშრომელ გლეხობის ეკონომიურ და პოლიტიკურ განთავისუფლების საქმეში“.

კონგრესის პრეზიდიუმმა უარი სთქვა ამ რეზოლიუციის გამოქვეყნებაზე, ვინაიდან იქ ლაპარაკი იყო პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაზე. ჩვენ დავეთანხმდით სიტყვების „კლასობრივი ბრძოლის“ „კლასობრივ სოლიდარობის“-ით შეცვლაზე. მხოლოდ ამის შემდეგ ეყარა კენჭი რეზოლიუციას და მიიღო 183 ხმა წინააღმდეგ 320 ხმისა. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელთ 130-მდე ხმა ჰქონდათ. ამ რიგად 53 ხმა მივიღეთ იმ გზით, რომ რეზოლიუციას, ხმა მისცეს ინგლისის, ჩეხო-სლოვაკიის და ბულგარეთის დელეგატებმა, როგორც კომუნისტებმა, ისე ზოგიერთმა არაკომუნისტებმაც.

ამის შემდეგ კონგრესი გადადის საკითხზე პროფესიონალურ გაერთიანებებისადმი დამოკიდებულების შესახებ. ამ საკითხზე ინგლისელების თვალსაზრისი უფრო სწორია მათი პრინციპის მიხედვით, ვიდრე ფრანგებისა და გერმანელების, რომლებიც ნეიტრალიტეტის საკითხში ინგლისელებთან ერთად გამოდიოდენ საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ. ინგლისელები ამტკიცებდენ, რომ კოოპერაციის ნეიტრალიტეტის დაცვის მიზნით სასურველი არ არის კავშირი არც ერთ პროფესიონალურ გაერთიანებასთან საერთაშორისო მასშტაბითაო. ფრანგებს უნდოდათ—შეეტანათ რეზოლიუცია ამსტერდამის ინტერნაციონალთან კავშირის შესახებ, მაგრამ, როდესაც მათ გაიგეს, რომ საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს კავშირს მხოლოდ პროფინტერნთან, მაშინ შეიტანეს საკომპრომისო რეზოლიუცია, რომელიც ალიანსს საშუალებას აძლევს კავშირი დაიჭიროს როგორც პროფინტერნთან, ისე ყვითელ ინტერნაციონალთან.

ამ საკითხის გამო გამოვიდა ამხ. მელნიჩანსკი, რომელიც ამტკიცებდა, რომ კოოპერაციას არ შეუძლია პროფმოძრაობის გარეშე დგომა, ვინაიდან კოოპერაცია არის შექმნილი მუშათა კლასის ძალღონით პროფორგანოების დახმარებით.

ჩვენმა რეზოლიუციამ მიიღო 183 ხმა წინააღმდეგ 297 ხმისა. დანარჩენებმა თავი შეიკავეს. ინგლისელებმა უარი სთქვეს თავიანთ წინადადებაზე და ამგვარად გავიდა ფრანგების რეზოლიუცია.

საკითხი საქართველოს კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ კონგრესზე არ დასმულა, ვინაიდან ალიანსი ამ საკითხს სთვლის გადაწყვეტილად საქართველოს საბჭოთა კოოპერაციის სასარგებლოდ და უფლებას აძლევს შემდეგს კონგრესებზეც მიიღოს მონაწილეობა როგორც სრულუფლებიანმა წევრმა. ცეკავშირს კონგრესზე 3 ხმა აქვს, ხოლო ცენტრალურ კომიტეტში—ერთი.

„[illegible]“ [illegible] გუგუშვილი—მენშევიკი კონგრესზე არ გამოცხადდა.

კონგრესის დახურვის წინ ცენტროკავშირის თავმჯდომარემ ამხ. ხინჩუკმა წინადადება შეიტანა საბჭოთა კოოპერაციისთვის ერთი ადგილი მიეცათ ალმასკომში. ცეკაში შედიან ყველა საბჭოთა ქვეყნების წარმომადგენელნი, ხოლო ალმასკომში არც ერთი წარმომადგენელი არ არისო.

ეს საკითხი, ჩვენდა სასურველად გადაწყდა.

საერთოდ გადაწყვეტილი იყო თავი შეგვეკავებინა „ინტერნაციონალის“ მღერისაგან, მაგრამ კონგრესის დახურვის შემდეგ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ვერ შევსძელით. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მას შემდეგ, როდესაც თავმჯდომარემ კონგრესი დახურულად გამოაცხადა, ცალკე ქვეყნების წარმომადგენლებმა კოოპერატიული ჰიმნის მღერა დაიწყეს. მაშინ ყველანი ჩვენ, საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ამხ. ხინჩუკის მიუწვევლად, მოვგროვდით მასთან, მჭიდროდ შემოვერტყით გარს და ყველამ ერთხმად დავიწყეთ ინტერნაციონალის მღერა. ჩვენ შემოგვიერთდა ზოგიერთი წარმომადგენელი სხვა ქვეყნებიდან, დანარჩენებმა მღერა შესწყვიტეს და გაოცებულნი ბოლომდე ყურს გვიგდებდნენ. „ინტერნაციონალი“ [illegible] დიდ იგრიალა კონგრესის [illegible]თა უმრავლესობის ტაში[illegible].

ა. ერქ[illegible]

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 247

ელექტრომშენებლობა

ვინაიდან ელექტრომშენებლობამ ა|კავკასიაში მიიღო მასიური ხასიათი, ა|კ. გეგმათა სამმართველომ გამოიმუშავა დებულებები, რომელთაც ელექტრომშენებლობაში შეაქვთ გეგმიანობა და მტკიცეთ განსაზღვრული წესები.

ნებართვა ელექტრო-სადგურის ასაგებად.

გეგმათა სამმართველოს დებულებით, ისეთი ელექტროსადგურის ასაგებად, რომლის ძალოვნება 200 ცხენის ძალას აღემატება, ნებართვა უნდა გასცეს ა|კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ, ხოლო იმ სადგურების, რომელთა ძალოვნება ორასს ცხენის ძალას არ სჭარბობს, ნებართვას იძლევა რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოები.

ელექტრომშენებლობის გამგეობა.

ელექტრომშენებლობის საქმის და ელექტროსადგურების ექსპლოატაციის ხელმძღვანელობა და გამგეობა ეკისრებათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს, რომელნიც აწარმოებენ სახელმწიფო მშენებლობას და მეთვალყურეობას უწევს ყველა შენობებს.

ელექტროსადგურების აშენების საქმეში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოები თავის მუშაობას უთანხმებენ ა|კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს საქმიანობას.

ელსადგურების პროექტების განხილვა.

ელექტროსადგურების ყოველი პროექტი, ვიდრე მათ ასაგებად ნებართვა გაიცემოდეს, განხილულ უნდა იქნეს ტეხნიკური, ეკონომიური და ფინანსიური თვალსაზრისით. პროექტს ისეთი ელსადგურის, რომლის ძალოვნება 200 ცხენის ძალას არ აღემატება, განიხილავს რესპუბლიკის გეგმათა სამმართველო, ხოლო დიდი ძალოვნების ელსადგურების პროექტებს ა|კავკასიის გეგმათა სამმართველო. გეგმათა სამმართველოებში პროექტები წარდგენილი უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების სათანადო დასკვნით.

ახალი ელსადგურების და აგრეთვე უკვე არსებული ელსადგურების კაპიტალური გაფართოების პროექტებს გეგმათა სამმართველოში წარდგენის დროს უნდა ახლდეს საამშენებლო მუშაობის უშუალო ხელმძღვანელი ორგანოს (სახელმწიფო დაწესებულების, საამშენებლო კომიტეტის, კოოპერატივის გამგეობის და სხვა) საორგანიზაციო სქემა, განმარტებული ბარათი, ხარჯთაღრიცხვა, მშენებლობის ფინანსიური გეგმა და ცნობები იმ რაიონის ეკონომიური მნიშვნელობის და მდგომარეობის შესახებ, რომლისთვისაც შენდება სადგური.

ელექტრო სადგურების აგება უნდა ხდებოდეს იმ პროექტის მიხედვით, რომელსაც დაამტკიცებს ა|კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ან რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოები, ამასთანავე პროექტისგან გადახვევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ეს ეცნობა და დადასტურდება ზემოხსენებული დაწესებულებების მიერ.

ეკონომიური ცხოვრება

ადგილობრივი ბაზრის გამოკვლევა

ადგილობრივი ბაზრის მდგომარეობის გამოსაკვლევად ა|კ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაავალა თავის რესპუბლიკანურ რწმუნებულთ წარმოადგინონ საანგარიშო ცნობები ადგილობრივი ბაზრის მდგომარეობის შესახებ.

რწმუნებულთა საანგარიშო მოხსენებანი უნდა შეიცავდენ ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენად დატვირთულია ბაზარი ფართო მოხმარების და უპირველესი საჭიროების საგნებით. მოხსენებაში უნდა იქნეს აგრეთვე ცნობები საქონლის ნაკლებობის, კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ღონისძიების გაფართოების და საერთო საქონლის ბრუნვაში მათი მონაწილეობის შესახებ.

საანგარიშო მოხსენებები უნდა შეიცავდენ აგრეთვე საკითხს, რამდენად ღებულობს კოოპერაცია მონაწილეობას მოსახლეობისათვის გამომცხვარი პურის მიწოდების საქმეში, რამდენი შემოდის რესპუბლიკის ფარგლებში [illegible]ერი, შაქარი, მანუფაქტურა, რამდენად სრულდება ა|კავ. შინა ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებანი კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების და თავისუფალი ბაზრის მიერ, არის თუ არა ამ დადგენილებათა დარღვევის შემთხვევები.

ამ წინადადებასთან ერთად ა|კავ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატი თავის ადგილობრივ ორგანოებს ავალებს მიაქციონ ყურადღება, ეწევიან თუ არა კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები კერძო ბაზარზე თავის საბრუნავ საშუალებათა გასადიდებლად საბითუმო ვაჭრობის იმ ნორმადადებულ საქონლით, რომელსაც ისინი კრედიტათ ღებულობენ. სთვლის რა ასეთ მოვლენებს ყოვლად დაუშვებლად, ა|კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს თავის რწმუნებულთ ფხიზლათ თვალყური ადევნონ, რომ ადგილი არ ჰქონდეს ა|კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის იმ დადგენილებათა დარღვევას, რომელიც მიზნად ისახავს კერძო საბითუმო ვაჭრობასთან ბრძოლას.

კოოპერაცია

ცეკავშირის საბჭოს მეორე სესია

ცეკავშირის საბჭოს მეორე სესია

19 ოქტომბერს გაიხსნა ცეკავშირის საბჭოს მეორე სესია, რომელსაც დაესწრო საბჭოს 17 წევრი და გამგეობის თითქმის მთელი შემადგენლობა. სესიაზე მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1. გამგეობის საინფორმაციო მოხსენება ცეკავშირის საქმიანობის შესახებ და 2. გამგეობის მდგომარეობა.

ცეკავშირის გამგეობის მუშაობა

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ელიარდაშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კოოპერაციის ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის გამო მეტათ მძიმე და რთული ამოცანების გადაწყვეტა აქვს დაკისრებული.

ყველა იმ რაიონებში, სადაც არ არსებობდენ კოოპერატივები, მოწყობილი იქნა უჯრედები. მაისის პირველისათვის ცეკავშირში გაერთიანებული იყო 144 ძირითადი კოოპერატივი 80.000 წევრით, ხოლო პირველ ოქტომბრისათვის—152 კოოპერატივით—დაახლოვებით 150.000 წევრით. აჭარაში მოწყობილი იქნა კოოპერატიული კავშირი. გარდა ამისა ცეკავშირიდან მოწყობილია მუშათა, დაჭრილ-დასახიჩრებულთა და სამხედრო კოოპერაციის სექციები. ამ ჟამად ცეკავშირის გამგეობა აწყობს კოოპერატიულ კურსებს, რომელიც თეორიულათ და პრაქტიკულათ მომზადებულ მუშაკების საკმაო კადრს მისცემს ძირითად კოოპერატივებს.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მომარაგების საქმეს და აღნიშნა, რომ ცხრა თვის განმავლობაში ცეკავშირმა [illegible] 4 მილიონი მანეთის პირველ მოთხოვნილების საგნების განაწილება. მოსახლეობის მშრომელი ნაწილის მოთხოვნილების ძირითადი საგანს ამ ჟამად შეადგენს მანუფაქტურა—განსაკუთრებით ჩითი და ნარმა. ცეკავშირი ამ ჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს მოსკოვის სინდიკატებთან იქიდან მანუფაქტურის უშუალოთ მიღების შესახებ. სულ მოკლე ხანში ცეკავშირი პირდაპირ მოსკოვიდან მიიღებს 2 ვაგონ ფერთალს.

შემდეგ მომხსენებელმა დაახასიათა ფქვილის ოპერაციები და შეჩერდა ხილის, შვეიცარიული ყველის, თხილის და ღვინის დამზადებაზე; განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მომხსენებელმა აბრეშუმის პარკის ოპერაციებს.

მომხსენებელი შეეხო ცეკავშირის ფინანსიურ მდგომარეობას. თვითეულ მთლიან კოოპერატივს საშუალოთ მართებს ცენტრის 8.000 მან., რომელსაც იგი თავის საკუთარ თანხათ სთვლის და არ უბრუნებს ცეკავშირს. ფასების დაწევით ცეკავშირმა იზარალა 400.000 მან. ცეკავშირის დავალიანება ბანკებისადმი უდრის 2.300.000 მან.

ამხ. ელიარდაშვილის შემდეგ ამავე საკითხზე დამატებით მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. კორძაია, რომელიც დაწვრილებით აშუქებს ცეკავშირის მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას, რის შემდეგაც გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. ობოლაძემ, მელიქოვმა, ვ. ერქომაიშვილმა, ფოფხაძემ, ნაცვლიშვილმა, ბაქრაძემ, მელქაძემ, ბეჟანიძემ, ხუბუკალაშვილმა და ალ. ერქომაიშვილმა. ორატორების უმრავლესობა ხაზს უსვამს იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელიც დამყარებულია სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებთან და გლეხკომებთან და მოითხოვენ ზომების მიღებას ამ საკითხის მოსაგვარებლად.

გამგეობის შევსება

გამგეობის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. ქუთათელაძე, რის შემდეგ საბჭომ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1) ამხ. ალ. ერქომაიშვილის გადაყვანა და ვ. გოგიას და კ. ხომერიკის გამგეობის შემადგენლობაში შესვლა დადასტურებულ იქნეს; 2) საბჭოს მიერ არჩეულმა კომისიამ შეიმუშაოს [illegible]ლობა აღძრას უმაღლესი პარ[illegible] და საბჭოთა ორგანოების წი[illegible] კოოპერაციისათვის გრძელვა[illegible]ნი კრედიტის გახსნის შესახებ. 3) დაევალოს ცეკავშირში შემავალ ყველა კოოპერატიულ ერთეულებს შე[illegible] ცეკავშირში [illegible] 20-სათვის [illegible]მა 1000 მანეთი. შეგროვილი თანხა მთლიანად გადაიდოს საქართველოს კოოპერაციის საერთო საქმიანობის გასაუმჯობესებლად, შემოტანილი თანხები კოოპერატივებს ჩაეთვალოს საპაიო თანხად და დაუბრუნდეთ მათ საქონლის სახით; 4) დაევალოს ცეკავშირის გამგეობას გამოარკვიოს 22 წლის პარკის ოპერაციების დავალიანების საქმე და ამის შესახებ აცნობოს დაინტერესებულ კოოპერატივებს და 5) რწმუნებულთა მორიგი ყრილობა მოწვეულ იქნეს ა. წ. დეკემბრის დამლევამდი.

დასასრულ საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ცეკავშირის გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სთვლის.

პროფკავშირებში

დელეგატები ინჟინერთა საკავშირო ყრილობაზე.

1924 წლის 24 ნოემბერს მოსკოვში შესდგება ინჟინრების სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელზედაც გაგზავნილი უნდა იქნეს დელეგატები ყველა რესპუბლიკებიდან.

მაგრამ ვინაიდან საინჟინერო-ტეხნიკურ მუშაკების სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევა სრულიად საკავშირო ყრილობამდი ტეხნიკურათ მოუხერხებელია, ამიტომ ცენტრალურ ბიუროს პრეზიდიუმმა დაადგინა საინჟინერო-ტეხნიკურ მუშაკების სრულიად საქართველოს ყრილობა მოიწვიოს 1925 წლის იანვრის პირველ რიცხვებში. სრულიად საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები არჩეული იქნება საერთო საქალაქო კონფერენციაზე.

გამოფენის მოწყობა.

ცენტრალურმა ბიურომ გადაწყვიტა მოაწყოს საფაბრიკო-საქარხნო გამოფენა, რისთვისაც ცენტრალურ ბიუროს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ამხ. ბაბოვს გაეცნოს სრულიად რუსეთის ინჟინერთა ბიუროს მიერ გამოგზავნილ საინსტრუქციო ბროშიურას და ცენტრალურ ბიუროს შემდეგი სხდომისათვის წარმოადგინოს მოხსენება ამ საკითხის შესახებ.

მუშაობის გასაძლიერებლად.

ცენტრალურ ბიუროს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ამხ. ბაბოვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს მელითონეთა სექციის ბიუროს მუშაობაში, კერძოთ კი პროგრამის შემუშავებაში ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავე შეგირდების კურსებისათვის.

მბეჭდავთა მეოთხე ყრილობა

მეოთხე სხდომა

გრძელდება კამათი ც. ნ.-ტ. გამგეობის მუშაობის შესახებ. მოხსენების ამხ. ნიკიტინის საპასუხო სიტყვის შემდეგ მიღებულია რეზოლუცია, სადაც ყრილობა ცენტრ. გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს.

საქართველოს პოლიგრაფიული წარმოება

(მომხსენებელი ამხ. ხაჩაზიანი)

საქართველოს პოლიგრაფიული წარმოება და გაედიდება ტრესტი აერთიანებს 4 სტამბას, 1 ლითოგრაფიას, 1 ასოს ჩამომსხმელს და საფაბრიკო-საქარხნო სკოლის სტამბას. ტრესტს ჰყავს 671 მუშა-მოსამსახურე. შარშან წარმოებაში მუშაობდა 505 კაცი. ამ ჟამად მუშაობს 573.

კავშირი ცდილობდა გაეფართოვებია წარმოება და გაედიდებია შრომის ნაყოფიერება, მაგრამ მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა ამ მხრივ მოუხერხებელი ხდება, რადგან პოლიგრ. ტრესტს არ აქვს გამ[illegible]ბისეული ხასიათის მანქანები. წარმოება გაფართოვდა ოდნავ, მას შემდეგ, რაც ბონების საბეჭდმა ექსპედიციამ შესწყვიტა მუშაობა და მისი მანქანები პოლიგრ. განყოფილების ხელში გადავიდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პოლიგრაფიული განყოფილების შემოსავალი უდრიდა 560.126 მან. გასავალი—518,945 მან. წმინდა მოგება უდრის—21.180 მანეთს. ცალკე წარმოებაში ეწყობოდა საწარმოო თათბირები. ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტელი რჩება ნარდობით მუშაობის საკითხი.

პოლიგრ. განყ. მიზნად ისახავდა გაეიაფებია ბეჭდვა, რათა დაბეჭდილი წიგნი ხელმისაწვდომი ყოფილიყო ჩვენი მუშა-გლეხისთვის.

პოლიგრაფიული განყოფილების ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლის აგრეთვე საწარმოო დაწესებულებების დაქსაქსვა. მესამე სტამბის დაპატრონებას ფიქრობს „რაბოჩაია პრავდა“ ხოლო მეხუთე სტამბის გადაცემას მოითხოვს გაზეთი „მუშა“. თუ ეს სტამბები ზემოხსენებულ რედაქციებს გადაეცა, პოლიგრაფ. განყოფილებას გასაკეთებელი და სამუშაო აღარაფერი დარჩება.

პოლიგრ. ტრესტის მომავალ ამოცანებს შეადგენს დაწესებულებებზე დარჩენილ ვალების განაღდება, არსებული ყველა მანქანების ამუშავება და ამ გზით ბეჭდვის გაიაფება.

მეხუთე სხდომა.

მეხუთე სხდომაზე დაიწყო კამათი პოლიგრაფ. განყოფილების მუშაობის შესახებ. ამხანაგები მოუთითებდენ დეფექტებზე. ამავე სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენება მომავალ საორგანიზაციო,— სატარიფო—ეკონომიურ და კულტურულ დარგში მუშაობის შესახებ.

საბჭოთა სასამართლო

მკვლელობა

ამიერ. საქ. ოლქის სასამართლო ვ. ცინცაძის თავმჯდომარეობით და პროკურორის თანაშემწე გრიგოლიას მონაწილეობით ამჟამათ არჩევს ორი ვაჭრის მიხეილ მაისურაძისა და არტაშეს გევორქოვის საქმეს. დასახელებულ პირთ ბრალად ედებათ ს. ს. კ. 15, 16 და 146 მუხლებში გათვალისწინებული ბოროტმოქმედება, სახელდობრ,—თბილისის ავჭალის სამხედრო ცხენის მუშის კიორგი ყურაშვილის მკვლელობა წინასწარი განზრახვით.

გამოწვეულია 20-მდე მოწმე და ექსპერტ-ექიმები ვესელოვზოროვი და ბურჯანაძე. ბრალდებულთ იცავენ მ. მესხიშვილი და პოლუმორდვინოვი. საქმის შინაარსი საბრალდებლო დასკვნის მიხედვით შემდეგია:

1923 წლის პირველ ოქტომბერს საღამოს 10—11 საათზე გიორგი ყურაშვილი ჩუმათ ფანჯარიდან შეძვრა არტაშეს გევორქოვის ბინაზე უკანასკნელის ცოლთან, ეფროსინე გუსევასთან, სქესობრივ კავშირის დასამყარებლად. ყურაშვილს ხელი წაუვლია ქალისთვის. მაგრამ გუსევას ყვირილი მოურთავს. შემთხვევის ადგილზე გაჩნდენ მეზობლები და მილიციელნი, მაგრამ ყურაშვილი არ დაუპატიმრებიათ მისი ნაცნობ პირთა თხოვნის გამო. ნახევარი საათის შემდეგ შინ დაბრუნდა გევორქოვი. მისი მოსვლის წინ მეზობლებმა ამბავი აცნობეს გევორქოვს. ერთ თვის ნაცნობ[illegible] იგი იმ დღის [illegible] წავიდა თავმჯდომარის [illegible] მიამართის [illegible] ზის ხიდზე (ავლაბარში) [illegible] რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებთანაც მუქარით განაცხადა, რომ იგი ამ ხიდიდან გადააგდებს ყურაშვილს. ერთი კვირის შემდეგ—8 ოქტომბერს ამ ხიდის ქვეშ მართლაც აღმოჩნდა შუბლში სასიკვდილოთ დაჭრილი ყურაშვილი.

გამოირკვა, რომ 7 ოქტომბერს საღამოს მან მიხეილ მაისურაძესთან შეთანხმებით შეიტყუა ყურაშვილი მაისურაძის დუქანში (ხიდის ახლო), დაათრო იგი, შემდეგ სცემა და თავის ამხანაგის დახმარებით გადაათრია უგრძნობი ყურაშვილი ხიდზე, საიდანაც გადაისროლეს იგი ქვებში. ოთხი დღის შემდეგ ყურაშვილი გარდაიცვალა.

სწარმოებს მოწმეთა დაკითხვა.

სამხედრო ტრიბუნალში

ყაჩაღების გასამართლება

24 ოქტომბერს სამხედრო ტრიბუნალმა, ამხ. დ. ხიხაძის თავმჯდომარეობით, განიხილა საქმე წ. მოლაშქრე ივანე ქელეხსაშვილის, მოქ. მოქ. კიკნაძის, ბლიაძის და აზაროვის, რომელთაგან 3-ს ბრალდებოდა შეიარაღებულ ძარცვა-გლეჯის მოწყობა, ხოლო მეოთხეს, აზაროვს, დახმარების გაწევა ე. ი. ბოროტმოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 76 მ. და 76 მ. 2—ნაწ.

საქმის ვითარება ასეთია:

ყაჩაღთა ჯგუფს თავის სამოქმედო ადგილად ამოერჩია ხაშურის რაიონი. ჯგუფში შედიოდნენ ქ. სურამში მცხ. მიხა გაგულაშვილი, ზაქარია კიკნაძე, სისვაძე და წ|მოლაშქრე ივანე ქელეხსაშვილი. ჯგუფს დახმარებას უწევდა მოვაჭრე აზაროვი, რომელსაც აქტიური მონაწილეობა ძარცვაში არ მიუღია. ჯგუფის წევრად არ ითვლებოდა ბლიაძე, თუმცა ერთხელ იმანაც მიიღო მონაწილეობა ძარცვაში.

ხაშურის რაიონში „ცხრა მუხასთან“ შეიარაღებული ყაჩაღები ხშირად სძარცვავდენ მგზავრებს. მაგალითად: 1923 წ. 30 დეკემბერს მოქალაქის [illegible]რით გაძარცული იქნა მუშა კბილაძე თავისი ცოლით; ბოროტგამზრახველებმა მათ სცემეს და წაართვეს ფული, ორი ოქროს ბეჭედი. 1924 წ 11 იანვარს, გაძარცვეს აწყურელი გლეხები ალი-იზმელ-ოღლი და მაღომედ-აბალ-ოღლი, რომელთაც საშინლად სცემეს და წაართვეს სამი ფუთი თამბაქო, ფული და სხვადასხვა ნივთები.

ხაშურის რაიონის მილიციის უფროსმა გადასწყვიტა ამ ბოროტმოქმედების ლიკვიდაცია. 1924 წ. 13 იანვარს. მილიციელების მიერ შეპყრობილი იქმნენ ქ. სურამში მცხოვრები: გუგულაშვილი, სისვაძე და ბლიაძე.

დაპატიმრებულნი იქვე იქმნენ დაკითხულნი. ბლიაძემ განაცხადა, რომ არსებობს ყაჩაღთა ჯგუფი, რომლებიც, გუგულაშვილი და სისვაძეს გარდა, შედიან ქ. სურამში მცხოვრები ზაქარია კიკნაძე და წ|მოლაშქრე ივანე ქელეხსაშვილი, რომელთაც ბლიაძის ჩვენებით, გაძარცვეს აწყურელი თათრები და ერთი მუშა თავისი ცოლით.

ამის შემდეგ მილიციის უფროსმა გუგულაშვილი და კიკნაძე მილიციელების და პარტიულ ამხანაგების თანხლებით გაგზავნა ხაშურში, ბლიაძე კი თვითონ წამოიყვანა სურამში ქელეხსაშვილის, კიკნაძეს და აზაროვის შესაპყრობად. დაპატიმრებულებმა გუგულაშვილმა და კიკნაძემ ცადეს გაქცევა, მათ აუტეხეს სროლა. სროლის დროს მოკლულ იქნა გუგულაშვილი, სისვაძემ მოასწრო დამალვა.

დააპატიმრეს ქელეხსაშვილი, კიკნაძე და აზაროვი. დაზარალებულებმაც იცნეს როგორც ქელეხსაშვილი, ისე კიკნაძე. ამ უკანასკნელებმა განაცხადეს, რომ ნაძარცვს ინახავდენ მოვაჭრე აზაროვთან. გამოირკვა, რომ ბლიაძე მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა ძარცვაში. სასამართლომ დაამტკიცებულად სცნო დანაშაული ქელეხსაშვილის, კიკნაძის და ბლიაძის მიმართ ს. ს. კ. 76 მუხ., ხოლო აზაროვის მიერ ს. ს. კ. 76 მუხ. 2—ნაწ.

1) ივანე ქელეხსაშვილს: თავისუფლების აღკვეთა რვა წლით სასტიკი იზოლიაციით: მთელი ქონების კონფისკაცია და სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა ხუთი წლით სასჯელის მოხდის შემდეგ.

2) ზაქარია კიკნაძეს მისაჯა იგივე სასჯელი რაც ქელეხსაშვილს.

3) აზაროვს: თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით, სასტიკი იზოლიაციით, მთელი ქონების კონფისკაციით, სამოქალაქო უფლებების შეზღუდვით ხუთი წლით სასჯელის მოხდის შემდეგ.

4) ბლიაძეს: თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, სამი წლით, მთელი ქონების კონფისკაცია, უფლებათა შეუზღუდველად.

ტრიბუნალმა მიიღო რა მხედველობაში ბლიაძის ახალგაზრდობა (17 წ.) პირველად ჩადენილი დანაშაული, მას სასჯელი შეუცვალა პირობით სასჯელად, ხუთი წლის საცდელი [illegible] ქონების კონფისკაციის [illegible].

მუშათა ცხოვრება

25 ოქტომბრისთვის ვამზადებთ საჩუქარს.

რკ. გზის რონოდის საყუდის (დეპოს) მუშებმა საერთო კრებაზე დაადგინეს, რომ 25 ოქტომბრის სახელობაზე იქნას გამოშვებული ახალი სახალხო რონოდა თავის ელექტროსადგურით.

მეორე დღესვე შეუდგნენ მუშაობას ჩვენი მუშები. ყოველ დარგიდან მორიგეობით ორ-ორი კაცი მუშაობს. სულ თხუთმეტი დღეა, რაც დაიწყო მუშაობა და რონოდის 3 მეოთხედი ნაწილი უკვე შეკეთებულია.

მუშების უმრავლესობა მუშაობს უსასყიდლოდ და კვირა უქმე დღეებში 3-5-და 8 საათს თავიანთ სურვილით. ასე რომ რონოდის გამოშვებაში ადმინისტრაციას არავითარი შრომა არ ეხარჯება. ჩვენი მუშები დიდი ხალისით, მღერა-სიცილით და გულმოდგინებით ასრულებენ ამ საშვილიშვილო საქმეს.

რონოდა მალე გამოვა სრულებით გამზადებული და გალამაზებული.

მუშკორი შავსოფლელი.

—

განთავისუფლეთ მუშების სახლი ხუცებისაგან.

(თაილდმასკომის საყურადღებოდ)

მუშათა საბინაო კოოპერატივმა ამხ. კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის მუშებს ირაკლის ქუჩაზე გადასცა საერთო საცხოვრებელი მიზნით სახლი № 6. მუშების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ვინაიდან ყველა მათგანი ამ მხრივ დიდ კრიზისს განიცდიდა, ეგონათ, რომ ეხლა მაინც ეშველებოდათ რამე. მაგრამ, დახეთ უბედურებას!

სახლი დაკავებულია ხუცების მიერ, რომელთა გამოსახლებას არასფერი ღონე ეშველა. ძლივს-ძლივობით მოახერხეს და ჩაასახლეს იქ ოთხი მუშა; საუბედუროდ აქაც ათასგვარი დაბრკოლებები ხვდებათ მათ: მათი ჩასახლების შემდეგ დაიკეტა წყალი, სახლის კომენდანტი (მუშა) წავიდა ამის გამოსარკვევად წყალსადენის განყოფილებაში, სადაც გაიგო, რომ ხუცებს არ გადაუხდიათ რამოდენიმე თვის განმავლობაში წყლის ქირა და მათზე ირიცხება 300 მანეთი ვალი,— სანამდე ეს ვალი არ იქნება გადახდილი, წყალს ვერ მიიღებთო—ასეთი იყო პასუხი განყოფილებისა.

გასაკვირველია ასეთი პასუხი, შესაძლოა ხუცებმა სრულიად არ გადაიხადონ მათი ვალი და აქ მუშები რა შუაშია?

მუშკორი ტონკა.

—

რკინისგზელებში.

ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი.

(რკ. გზის პროფკავშირის და კლუბის ადმინისტრაციის საყურადღებოდ)

ვინც ამ ბოლო დროს ყოფილა ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (ყოფილ მუშტაიდში), იმან კარგად იცის, თუ როგორ გალამაზებულია და გაკოხტავებული იგი. კლუბის გარშემო გაშენებულია მშვენიერი ბაღი. კლუბის შენობა წინ მორთულია მრავალი ფეროვანი ყვავილებით, მის მარცხენა მხარეს ლენინის სურათი ყვავილებით არის გამოხატული და სხ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბაღი მშვენიერ მდგომარეობაშია მოყვანილი.

მაგრამ ყოველივე ამ მორთულობას ძალიან ცუდ ელფერს აძლევს ცუდი საზოგადოება. იქ ყოველთვის ნახავთ ქუჩის გარყვნილ ბავშვებს, რომელნიც უშვერი სიტყვებით ილანძღებიან დედის და მამის გინებით აქ ჩვეულებრივი მოვლენაა, ახლად შეკეთებულ სკამების ლაწა-ლუწი და სხვ.

ამას უსათუოდ ყურადღება უნდა მიაქციოს კლუბის ადმინისტრაციამ და სასწრაფოთ ალაგმოს მავნე ელემენტები.

ამ კლუბს არ შეეფერება ასეთი უწესრიგობა.

მუშკორი მსახიობი.

—

მოსპეთ ლოთობა რკინისგზელებში.

საბჭოთა ხელისუფლება სასტიკ ზომებს ღებულობს ლოთების და ყველა მათ ამყოლ-დამყოლ ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ კიდევ მაინც ვერ იქნა სამუდამოდ მოსპობილი ეს სენი. და ზოგიერთი მუშა-მოსამსახურეები თავისას არ იშლიან და ჩვეულებრივად ეწევიან ქეიფს და დროს ტარებას, როდესაც კი მათ ხელში გაჩნდება ფული. მაგალითად ამ თვეს 18 ოქტომბერს რკ. გზის მთავარ-სახელოსნოების მუშებმა მიიღეს ჯამაგირები და სწორედ ზოგიერთმა მათგანმა სახლის მაგივრად გასწიეს სამიკიტნოებისაკენ სადგურის ქუჩაზე და სხვა ამისთანა საქეიფო ადგილებისაკენ, რადგანაც გამოცდილმა მოქეიფეებმა იცოდნენ, რომ აქ ძნელად მიაგნებდენ თვით თავის ოჯახის წევრები ან სხვა ვინმეც.

ასეთი შემთხვევები რკინისგზელთა ცხოვრებაში ხშირია. მიიღეთ ზომები.

მუშა სიონელი.

—

მუშფაკელებში

საბჭოთა [illegible] დაგვიარსა მუშათა [illegible] და მასთან სხვადასხვა [illegible]. მსმენელთა მიღება [illegible]ტეტში წელს მშვენივრად [illegible] რა ანათლება ჰქონდა [illegible] და მიხედვით [illegible]. ახალ მიღებული მსმენელები [illegible] ავერი აღმოჩნდნენ, ამისათვის [illegible] ვიყვანეს [illegible]. მე-2-რე ვაგონის [illegible] და ვმეცადინეობთ კარგი გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით. სწავლა კარგად მიმდინარეობს, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც არის [illegible] მასწავლებელთა რაც [illegible] მიერ არჩეულ კომიტეტის [illegible]. იყო ასეთი განკარგულება, რომ პაპიროსი არავის არ უნდა მოეწია როგორც სამასწავლო ოთახში, ისე დერეფანში. მაგრამ [illegible] დღეები, კვირეები და ეს განკარგულება კი ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი.

მუშფაკელი.

—

ვინ გვიშველის?!

გემო-კვების კავშირის დადგენილებით, წარმოებათა ადმინისტრაციებმა, რომელთა მუშები შედიან წევრებათ გემო-კვების კავშირში, უნდა მისცენ მუშებს ავანსად ფული შეშის სასყიდლად.

სამხედრო წისქვილზე კი ადმინისტრაციას არ აქვს საშუალება, და მომარაგების განყოფილების უფროსები არ უშვებენ ასეთს. ზამთარი-კი ახლო მომავალია. მუშებმა აუცილებლად უნდა შეიძინონ შეშა.

ნუ თუ მომარაგების განყოფილებას არ შეუძლია მისცეს მუშებს ავანსად ფული შეშის სასყიდლათ?

ინფ. კამ—თან.

ფაბრიკა-ქარხნებში

ქარხანა „თემქა“

— საწარმოო თათბირის დადგენილებით, მუშაობის ნორმა, რომელიც გამოიხატება 40 პროცენტში, უნდა მოიხსნას და შემოღებულ იქნას თავისუფალი მუშაობის ნორმა.

— საწარმოო თათბირის წინადადებით შეკეთებულ იქნა სახარატო დაზგა და აგრეთვე სწარმოებს გადასინჯვა დაზგებისა რემონტის მიზნით.

— საზაფხულო პერიოდის გასვლის შემდეგ შეკეთებულია კლუბი და იმართება წარმოდგენები, აქ მუშაობს ორი დრამ. წრე: ქართული და რუსული, არსდებიან სხვა წრეებიც. კლუბთან გახსნილია „ლენინის კუთხე“.

— ამ დღეებში ქარხანაში გაიხსნება ორი წრე: პროფ-წრე და პოლიტ-წრე.

— 7 ნოემბერს გამოვა ადგილობრივი კედლის გაზეთის საიუბილეო ნომერი.

— სოფ. [illegible] (გორის მაზრა), რომლის [illegible] არის ქარხანა—გაუგზავნეს [illegible] ლიტერატურა და ახ. ქ. ქ. [illegible].

— ახალი კოლ. ხელშეკრულების დამტკიცება მოხდება [illegible] პროფკავშირთა ყრილობის დამთავრების შემდეგ.

ხეეული დგამის ფაბრიკა.

— მოხდა ახალი ფაბკომის არჩევნები.

— საკლუბო მუშაობა ჯერ კიდევ არ დაწყებულა, იგი დაიწყება ხეზე მომუშავეთა პროფკავშირის ყრილობის შემდეგ.

— სივიწროვის გამო ფაბრიკას მოუმატეს მეორე სართული.

— საწარმოო თათბირისათვის. ამორჩეულია დელეგატები და ჯერ თათბირი არ მომხდარა [illegible]ლობის დამთავრებას.

— მუშებმა მოაწყვეს კვირეული, რომლის მთელი შემოსავალი გადაიდო ლენინგრადის მუშების სასარგებლოდ.

— ფაბრიკასთან დაარსდა სპარტაკი, რომელშიაც ამჟამად ირიცხება 45 ბავშვი.

— დაზგები ცუდ მდგომარეობაშია, საჭიროებენ აუცილებელ და სასწრაფო შეკეთებას.

ინფ. ტონკა.

განათლების ფრონტზე

უფასო სწავლა.

განათლების კომისარიატის დადგენილებით, უფასო სწავლება დაწესებულია 1) [illegible] საფეხურის შრომის სკოლებში (1—4 განყ.) და 2) ყველა პედაგოგიურ და პროფ[illegible] ცენტრებში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებში.

სწავლის ფულის შემოღება.

განათლების კომისარიატის დადგენილებით, სახელმწიფო ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე, დროებით შემოღებულ იქნა სწავლის ფული მთელი რესპუბლიკის მასშტაბით სასწავლებლებში: 1) უმაღლეს სასწავლებლებში—50 მან. წელიწადში, 2) ტეხნიკუმებისა და შრომის სკოლების მ-8 და 9 ჯგუფებში—21 მან. და 3) შრომის სკოლების მე-5, 6 და მე-7 ჯგუფებში—15 მან. (აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში გარდა 50 მან., იქნება ოთხ-ოთხი მანეთიანი ცალკე გადასახადი, როგორც ფასიან ადგილებზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის, ისე დანარჩენებისათვის).

რკინისგზის სკოლები.

განათლების კომისარიატმა ამხ. მარიამ ორახელაშვილს დაავალა მოაწესრიგოს რკინისგზის სკოლების შენახვისა და მართვა-გამგეობის საკითხი.

შრომის ნორმები მასწავლებელთათვის.

განათლების კომისარიატმა ყველა მაზრაში განსაზღვრა განსაკუთრებული ფონდი, რომლის ფარგლებში უნდა სწარმოებდეს 1-ლ და მეორე საფეხურის სკოლის და სასოფლო-სამეურნეო სკოლების მასწავლებელთა დამაკმაყოფილება.

1-ლ და მე-2 საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის მიცემა უნდა სწარმოებდეს შემდეგი სახით: ჯგუფის მასწავლებელი 90 პროცენტი ან სარტყელის მაზრებში მთელ მუშაობისათვის იღებს 25 მან., 27 მ. და 50 კაპეიკს, ან 30 მან. ხოლო 100 პროც. სარტყელში მოქცეულ მაზრებში—27 მ. და 50 კ., 30 მან. ან 32 მან. და 50 კაპ.

საგნების მასწავლებლები 1-ლ და მე-2 საფეხურის სკოლებში კმაყოფილდებიან არსებულ წესით, ხოლო 90 პროცენტიან სარტყელის მაზრებისათვის წესდება 1-ლი ხარისხის განაკვეთი 6 მ. და 50 კ., 100 პროც. სარტყელის მაზრებისათვის კი 7 მან და 20 კ.

სპეციალურ ტეხნიკუმის მასწავლებელთათვის წესდება საერთო განათლების საგნებში 15 გაკვეთილი, სპეციალურ საგნებსა და უმაღლეს მათემატიკაში კვირაში 9 გაკვეთილი; ელემენტარულ მათემატიკაში, ფიზიკაში და პრაქტიკულ მეცადინეობაში კვირაში 12 გაკვეთილი: წესითი სავარჯიშო მუშაობა, ცდების მომზადება, კონსპექტების შედგენა და სხ. საერთო სამუშაო ნორმებში შედის. ხოლო კლასის დამრიგებლობა სპეციალურ ტეხნიკუმებში კმაყოფილდება სათანადო ხარისხის ერთი-მესამედი სატარიფო განაკვეთით.

მეცნიერება-ტეხნიკა

ელექტრონის გემი.

ბრემენში (გერმანია) ააშენეს პირველი საოკეანო ელექტრო-გემი „პიტსბურგ“, რომელმაც უკვე დაიწყო რეგულიარული მიმოსვლა გერმანიასა და ამერიკას შორის.

ელექტრონის ენერგიას გემი ღებულობს ორთქლის ტურბინების საშუალებით, ქვაბებს ათბობენ მაზუთით, მაზუთი ფეჩში იფანტება სპეციალური მანქანის საშუალებით, ისე რომ იწვის მთელი მაზუთი და ამრიგად „პიტსბურგ“-ის ორი მილიდან არასოდეს არ ამოდის კვამლი.

არაჩვეულებრივათ კარგათ არის მოწყობილი გემზე კატასტროფის დროს ხალხის გადარჩენის საქმე. არსებულ გემებზე, კატასტროფის დროს ნავების ჩაშვება წყალში შეიძლება მხოლოდ იმ მხარეზე, საითაც გადახრილია გემი. „პიტსბურგ“-ზე კი ელექტრონის მანქანების საშუალებით შეიძლება ყველა ნავების ჩაშვება წყალში.

განსაკუთრებით საყურადღებოა „პიტსბურგის“ სამზარეულო აქ ყველაფერი ელექტრონის არის, სამზარეულოში არ არის სიცხე, კვამლი. მთელი სითბო იხარჯება საჭმელის დასამზადებლათ.

ელექტრონის ფურნეში დღეში რამდენიმეჯერ ცხვება პური 2500 კაცისათვის.

ენკეს კუდიანი ვარსკვლავი.

ენკეს კუდიანი ვარსკვლავის გავლა მზის ახლო მიმდინარე წელს შენიშნეს პირველათ 31 ივლის იერკის (ამერიკა) ორმოცდიუმიან რეფრაქტორში.

4 სექტემბერს ასტრონომმა სელიკანოვმა შენიშნა ის ლესგაფტის სახელობის ინსტიტუტის ობსერვატორიაში (ლენინგრადში). ბრწყინვით კუდიანი ვარსკვლავი უდრიდა მეათე სიდიდის ვარსკვლავებს.

უკანასკნელათ კუდიანი ვარსკვლავი შენიშნეს 3 სექტემბერს მისი ბრწყინვა დიდდებოდა და მისი დანახვა შესაძლებელია გახდა უბრალო ჭოგრიტით მისი დანახვა შეიძლება მხოლოდ [illegible].

საარჩევნო რადიო-კამპანია.

პრეზიდენტის არჩევნებმა, რომელიც ახლა ამერიკაში ხდება. ცხადყო რადიოს უდიდესი როლი. საარჩევნო კრებები კამათით, ჩხუბით, დავიდარაბით, აურზაურით, რადიოს წყალობით ასე ვსთქვათ მთელი ქვეყნის თვალწინ ხდება. დემოკრატიული პარტიის კონფერენციის დარბაზში ისეთი საუცხოვო რადიო-აპარატები იყო დადგმული, რომ ამერიკის თითეულ ქალაქში ისმოდა არა მარტო ორატორების სიტყვები, არამედ უმნიშვნელო ხმაურობაც კონფერენციის დარბაზში.

მთავარ რადიო-გადამცემ აპარატთან შეერთებული იყო ოცზე მეტი შორმანძილზე მაწყვებელი რადიო-სადგური. ორატორების სიტყვები ისმოდა ამერიკის ყოველ კუთხეში. დაახლოვებითი ანგარიშით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიტყვები მოისმინა 25.000 000 ამერიკელმა.

მარკონის გამოგონების შემდეგ.

მარკონის მიერ მოკლე რადიო-ტალღების აღმოჩენის შემდეგ, ავსტრალიის მთავრობამ, რომელსაც განზრახული ჰქონდა მძლავრი რადიო-სადგურის მოწყობა, შეაჩერა მისი აგება მარკონის ცდების დამთავრებამდი საქმე იმაშია, რომ მარკონის გამოგონება შესაძლებლად ხდის ცნობების გადაცემას შორეულ მანძილზე ათჯერ უფრო სუსტი რადიო-სადგურის საშვალებით, ვიდრე ახლა.

ახალი კუდიანი ვარსკვლავი.

ენკეს კუდიანი ვარსკვლავის გარდა გერმანიაში, ბელსბერგის ობსერვატორიაში, ასტრონომმა ფინსლერმა 19 სექტემბერს აღმოაჩინა ახალი კუდიანი ვარსკვლავი. აღმოჩენის დროს კუდიანი ვარსკვლავი იყო მეშვიდე სიდიდის, ისე რომ მისი დანახვა [illegible] შეიძლება [illegible] ჭოგრიტით.

ქრონიკა

— **ხელფასის განსაზღვრა.** ა|კ. შრ. სახ. კომისარიატი ამ დღეებში გამოაქვეყნებს საერთო-საზოგადო სა[illegible] დაწესებულებებთან გაიხსნება სახელმწიფო შრომის შემნახველი კასები.

— **ახალი რადიო-სადგური თბილისში.** საკავშირო ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა, თბილისში მძლავრი გადამცემი რადიო-სადგურის ასაგებათ, გადასდო 550,00 მან.

— **ლუმელების მწმენდელთა არტელი.** თბილისში ცეცხლის მქრობელ რაზმთან დაარსდა ლუმელების მწმენდელთა არტელი.

— **მწრაფლ-დამხმარე ავტო-ეტლები.** ქ. ჯანმრთელობის განყოფილებამ იტალიაში შეუკვეთა ორი სწრაფლ-დამხმარე ავტო-ეტლები.

— **ვენერიული ავადმყოფობის წინააღმდეგ.** ქ. მე-3 საავადმყოფოსთან 1-ლ ნოემბრიდან დაიწყებს მოქმედებას კანის და ვენერიული განყოფილება.

— **საჩუქარი ახალწვეულებს.** როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანამ გადასცა 1-ლ დივიზიის პოლიტ-განყოფილებას 7,000 ცალი პაპიროსი და 1 ფუთი თამბაქო ახალწვეულთათვის დასარიგებლათ.

— **წყალი ნაძალადევს მუშებისათვის.** ტფ. წყალსადენი შეუდგა ნაძალადევში წყალსადენის გაყვანის გეგმის შედგენას, რომლის მიხედვით წყალი მიეცემა 500 ოჯახს.

— **ჩქარი მოზარდი ხეების ნერგები.** მიწად-მოქმედების კომისარიატმა გადასწყვიტა ამერიკაში შეიძინოს ჩქარი მოზარდი ხეების ჯიშის ნერგები, ზოგიერთ ხრიოკ ადგილებზე ტყის გაშენების მიზნით.

— **ტფ. ჯანმრთელობის განყოფილების** სხვადასხვა ქარხნებში და წარმოებებში ამ ხანად მოწყობილი აქვს 18 ადგილობრივი და 17 რაიონული ამბულატორია, სადაც მუშებს ეძლევათ უფასო საექიმო დახმარება.

— **ლენინგრადის დახმარებათ.** ხაჭეს სამმართველოს თანამშრომლებმა გადასდვეს 110 მან.

— **სოც. უზრუნველყოფის** კომისარიატმა დაგზავნა სოფლებში ახლად გამოცემული პლაკატები გლეხკომების მნიშვნელობის შესახებ ღარიბი მოსახლეობისათვის.

— **რამდენი წყალი დაიხარჯა.** 23—24 სამეურნეო წლის განმავლობაში წყალსადენის მიერ აღრიცხულია დახარჯული 334,876,499 ვედრო წყალი.

— **საბინაო კოოპერაცია.** საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტმა გამოიმუშავა წესები საბინაო კოოპერაციის წევრთა მონაწილეობის მისაღებათ საბინაო აღმშენებლობაში.

— **მუშათა სახლები.** ცენტრ. აღმშენებლობამ შეიმუშავა ასაშენებელ მუშათა სახლების ახალი ტიპის გეგმა, რომლის მიხედვით სახლები აშენებული იქნება ნაციონალურ სტილში.

— **პსიქოლოგიური ლაბორატორია.** ჯანსახკომს განზრახვა აქვს სულით-ავადმყოფთა [illegible] პსიქოლოგიური ლაბორატორია [illegible].

— [illegible]**მარება უმუშევართ.** 30 ოქტ. შრ. ბირჟა გასცემს ოქტომბრის დახმარებას საბჭოთა მოსამსახურეების სექციის უმუშევრებზე.

— **ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის მარკები.** სრულიად საქართველოს ინვალიდთა დამხმარე კომიტეტმა უკვე გამოუშვა ს. ს. ს. რ. სახკომსაბჭოს ა. წ. 12 სექტემბრის № 32 დადგენილებით ნებადართული თავისი მხატვრული საქველმოქმედო მარკები.

— **ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“** №№ 4—5 (9—10) გამოვიდა და ამ დღეებში დაურიგდება ხელის მომწერლებს. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი ამხ. წერილები: ს. თალაკვაძის, მ. პოკროვსკის, სერაპიონ ლომიძის, ზ. ჩიქვილაძის, იასონ ჯორბენაძის, კ. ცინცაძისა, ს. თოდრიასი, ხ. ლომთათიძისა, გ. ლაფანაშვილისა, სოფრომ მგალობლიშვილისა, შერმანისა, მახა ჩოდრიშვილისა და ნოე ლეჟავასი. პარტიული არქივი, ბიბლიოგრაფია, ტრიბუნა და სურათები: წიგნი შეიცავს 350-მდე გვერდს და ღირს 1 მან. 50 კაპ.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ს მეთაურში გაიპარა შემდეგი შეცდომები, რომლებიც ამახინჯებენ აზრს სწერია „უდიდეს შემოქმედებითი პოლვაწედ“ უნდა ჩაითვალოს“, უნდა იყოს—„უდიდეს შემოქმედებით მოღვაწედ“ უნდა ჩაითვალოს“; სწერია: „გარეშე საქმეთა სამინისტროს არ შეეშინდა ამ მუქარის“, უნდა იყოს —„გარეშე საქმეთა სამინისტროს არ შეუშინდა ამ მუქარის“.

შემთხვევები

— **ავტომობილის ქვეშ.** 28 ოქტ. საღამოს 5 საათზე თავისუფლების მოედანზე ავტომობილმა გაიტანა მოქ. ალექსანდრე გოროლეგინი. დაშავებული გადაიგზავნა საავადმყოფოში. შოფერი ლუკიანოვი შეიპყრეს.

— **გაუპატიურება.** 21 ოქტ. დღისით ქვემო-ავჭალაში მოქ. ვანო ისაკიძე უშან იშვილმა (65 წლის მოხუცი) გააუპატიურა თავის მეზობლის 11 წლის ქალი სონა ვანოს ასული ოქრუაშვილი. დამნაშავე შეიპყრეს.

— **მკვლელობა.** მანგლისიდან 8 ვერსის დაშორებით სოფ. პალეშნიკის მახლობლად მოქ. ივანე ჩუბინოვმა ვინტოვკით მოკლა აღნიშნულ სოფლის მცხოვრები მიხეილ ანისიმოვი. მკვლელი შეიპყრეს.

— **მკვლელობა.** 27 ოქტ. „პეტარა ლილოს“ მინდორზე მეველე სიმონ მუჩხაიშვილი ჩხუბის დროს ვინტოვკით მოკლა მწყემსმა ალექსანდრე ამირაშვილმა. მკვლელი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 28 ოქტ. ვერის დაღმართი № 3, მოქ. აგრაფინა ჯანაშიას ბინაზე შეიპყრეს კონსტანტინე კოლესნიკოვი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— 27 ოქტ. ღამის 10 საათზე რუსთაველის პრ. № 30, გაქურდეს მოქ. ლეინის საბეჭდი მანქანების სახელოსნო.

— **ჯიბგირობა.** 28 ოქტ. დღის 8 საათზე დესიმონოვის მოედანზე მოქ. [illegible] მამედ-ოღლის ჯიბიდან ამოაცალეს [illegible].